# ყოველდღიური სამართალი:

## სამართლებრივი გზამკვლევი მიგრანტებისთვის

# ყოველდღიური სამართალი:

## სამართლებრივი გზამკვლევი მიგრანტებისთვის

თბილისი, 2015

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და განხორციელებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) და მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის (კავკასიური ინსტიტუტი) მიერ.

**გამოცემაზე მუშაობდნენ:**

**გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი:** თამარ გვარამაძე
თეონა მაჭარაშვილი

**ავტორთა ჯგუფი:**
- თეონა მაჭარაშვილი
- სულხან სალაძე
- რატი თინიკაშვილი
- ნიკოლოზ სიმონიშვილი
- ნინო ხუხუა
- ქეთევან ბებიაშვილი
- ეკატერინე ფავლენიშვილი
- სერგო ისაშვილი
- ლაშა ბექიშვილი
- დარეჯან ესიტაშვილი
- გიორგი სანტურიანი
- რაჟდენ (გიორგი) ხიმშიაშვილი
- თამაზ ქაშიაშვილი
- თამარ დეკანოსიძე

**გამოცემაზე ასევე მუშაობდნენ:**
- ნინო ტავლალაშვილი
- თათია კაჭარავა
- ირმა პავლიაშვილი
- მარეხ მგალობლიშვილი
- დარეჯან ესიტაშვილი
- რეზო აჭარაძე
- ნინო ჩიხლაძე
- მერაბ ცინდელიანი
- გიორგი გოცირიძე
- თინათინ ტყეშელაშვილი

**რედაქტორი:** ზეინაბ სარაძე

**დაკაბადონება:** ზურაბ ჩერქეზიშვილი

**გზამკვლევში გამოყენებული**
**ზოგიერთი ილუსტრაციის ავტორი:** რუსლან ბერიძე

გზამკვლევი მომზადებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის “ევროკავშირსა და საქართველოს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა” ფარგლებში. მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ევროკავშირის პოზიციას.

# სარჩევი

**ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შესახებ ........ 15**

1. საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქის უფლებების დაცვის მექანიზმი ........ 15

2. მინდობილობა – საზღვარგარეთ მცხოვრები მიგრანტის მიერ საქართველოში სამოქალაქო-ადმინისტრაციული საკითხების მოგვარება ........ 18
   2.1. ზოგადი ინფორმაცია ........ 18
   2.2. ვის უნდა მიმართოთ მინდობილობის გასაფორმებლად და რა პროცედურებია საჭირო? ........ 19
   2.3. მინდობილობის გაუქმება ........ 20

3. საქართველოში მყოფი პირის უფლებების დაცვის სამართლებრივი მექანიზმი ........ 20
   3.1. უფლებების განხორციელება ადმინისტრაციული წარმოების მეშვეობით ........ 21
      3.1.1. სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების გადაწყვეტილება – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ინდაქტი) ........ 21
      3.1.2. სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი ........ 22
      3.1.3. ვადა ადმინისტრაციულ წარმოებაში. გაშვებული ვადის აღდგენა ........ 23
   3.2. პირის უფლებები ადმინისტრაციულ წარმოებაში ........ 23
      3.2.1. სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სამართლებრივი დახმარების გაწევის მოვალეობა ........ 23
      3.2.2. უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულებისთვის განცხადების გადაგზავნა ........ 24

3.2.3. განცხადების განხილვის მასალების გაცნობის უფლება ........ 25
3.2.4. საქმის გარემოებათა გამოკვლევა ........ 26
3.3. სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი ........ 26
3.3.1. ვადები ........ 26
3.3.2. ადმინისტრაციული საჩივრის შინაარსი ........ 28
3.4. სასარჩელო განცხადება ........ 29
3.5. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ........ 31

**ნაწილი II. პირის უფლებები საქართველოსთან სხვადასხვა სამართლებრივი კავშირის მიხედვით ........ 33**

4. ვიზა ........ 38
4.1. ზოგადი ინფორმაცია ........ 38
4.2. სად უნდა წარადგინოთ დოკუმენტაცია ........ 43
4.3. წარსადგენი დოკუმენტაცია ვიზის მისაღებად, ვადები და პროცედურა ........ 45

5. ბინადრობა ........ 54
5.1. ზოგადი ინფორმაცია ........ 54
5.2. სად უნდა წარადგინოთ დოკუმენტაცია ........ 55
5.3. წარსადგენი დოკუმენტაცია ბინადრობის ნებართვის მისაღებად, ვადები და პროცედურა ........ 56

6. მოქალაქეობა ........ 58
6.1. ზოგადი ინფორმაცია. ვის უნდა მიმართოთ მოქალაქეობის მისაღებად ........ 58
6.2. დაბადებით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება. ........ 58
6.3. საქართველოს მოქალაქეობის სპეციალური წესით მინიჭება. ........ 59
6.4. ნატურალიზაციით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება ........ 61
6.4.1. საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭება ........ 61
6.4.2. საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭება ........ 62
6.4.3. საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭება ........ 64

6.4.4. საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭება ........ 65
6.5. საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის პროცედურები ..... 66
6.5.1. ზოგადი ინფორმაცია ........ 66
6.5.2. საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა. ........ 67
6.5.3. საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა ........ 68

7. საქართველოს მოქალაქის პასპორტის მიღების პროცედურები .... 69

8. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის გაცემის პროცედურები ........ 72

9. თანამემამულის სტატუსი ........ 74
9.1. ზოგადი ინფორმაცია ........ 74
9.2. სად უნდა წარადგინოთ დოკუმენტაცია ........ 75
9.3. წარსადგენი დოკუმენტაცია თანამემამულის სტატუსის მისაღებად, ვადები და პროცედურა ........ 75

**ნაწილი III. სოციალური და პოლიტიკური უფლებები ........ 79**

10. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ........ 79
10.1. ზოგადი ინფორმაცია ........ 79
10.2. სად უნდა წარადგინოთ დოკუმენტაცია ........ 80
10.3. წარსადგენი დოკუმენტაცია განათლების აღიარებისთვის, ვადები და პროცედურა ........ 81

11. საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ლეგალიზაცია/აპოსტილით დამოწმება ........ 82
11.1. ზოგადი ინფორმაცია ........ 82
11.1.1. ლეგალიზაცია ........ 82
11.1.2. აპოსტილით დამოწმება ........ 82
11.2. სად უნდა წარადგინოთ დოკუმენტაცია ........ 83
11.2.1. ლეგალიზაცია ........ 83
11.2.2. აპოსტილით დამოწმება ........ 83
11.3. წარსადგენი დოკუმენტაცია განათლების აღიარებისთვის, ვადები და პროცედურა ........ 84
11.3.1. ლეგალიზაციისთვის საჭირო პროცედურები ........ 84
11.3.2. აპოსტილით დასამოწმებლად საჭირო პროცედურები ........ 85

12. ხმის მიცემა არჩევნებში საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების მიერ ........ 86
12.1. ზოგადი ინფორმაცია ........ 86
12.2. სად უნდა წარადგინოთ დოკუმენტაცია ........ 87
12.3. წარსადგენი დოკუმენტაცია საზღვარგარეთ ხმის მისაცემად (საკონსულო აღრიცხვაზე დადგომა), ვადები და პროცედურა ........ 88

13. ჯანდაცვის უფასო სახელმწიფო პროგრამები ........ 92
13.1. ზოგადი ინფორმაცია – საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა ........ 92
13.2. რეგისტრაცია სამედიცინო მომსახურების მისაღებად ........ 95
13.3. ჯანმრთელობის დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამები ........ 95

**ნაწილი IV. საოჯახო საკითხები ........ 98**

14. მშობლის უფლების შეზღუდვა ........ 98
14.1. მშობლის უფლების შეზღუდვის პროცედურები ........ 98

15. მემკვიდრეობა ........ 99
15.1. ზოგადი ინფორმაცია ........ 99
15.2. სად უნდა წარადგინოთ დოკუმენტაცია მემკვიდრეობის მისაღებად ........ 102
15.3. წარსადგენი დოკუმენტაცია მემკვიდრეობის მისაღებად, ვადები და პროცედურა ........ 102

16. მხარდამჭერი პირის დანიშვნა ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო ........ 106
16.1. ზოგადი ინფორმაცია ........ 106
16.2. სად უნდა წარადგინოთ დოკუმენტაცია მხარდამჭერის დასანიშნად ........ 108
16.3. წარსადგენი დოკუმენტაცია მხარდამჭერის დასანიშნად, ვადები და პროცედურა ........ 108

**ნაწილი V. ქონებრივი და სამეწარმეო საკითხები ........ 112**

17. სასოფლო-სამეურნეო მიწის პირველადი რეგისტრაცია საქართველოს მოქალაქის მიერ ........ 112
17.1. ზოგადი ინფორმაცია ........ 112
17.2. სად უნდა წარადგინოთ დოკუმენტაცია სასოფლო-სამეურნეო მიწის დასარეგისტრირებლად ........ 112
17.3. წარსადგენი დოკუმენტაცია სასოფლო-სამეურნეო მიწის სარეგისტრაციოდ, ვადები და პროცედურა ........ 112

18. ინდ. მეწარმე – რეგისტრაცია ........ 114

19. შპს – რეგისტრაცია ........ 116

20. მართვის მოწმობა ........ 118
20.1. ზოგადი ინფორმაცია – საქართველოს მოქალაქეები ........ 118
20.2. სად უნდა წარადგინოთ დოკუმენტაცია მართვის მოწმობის შესაცვლელად (საქართველოს მოქალაქეები) ..... 119
20.3. წარსადგენი დოკუმენტაცია მართვის მოწმობის შესაცვლელად, ვადები და პროცედურა (საქართველოს მოქალაქე) ........ 119
20.4. უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მართვის მოწმობა-ზოგადი ინფორმაცია ........ 122
20.5. სად უნდა წარადგინოთ დოკუმენტაცია მართვის მოწმობის შესაცვლელად (უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი) ........ 122
20.6. წარსადგენი დოკუმენტაცია მართვის მოწმობის შესაცვლელად, ვადები და პროცედურა (უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი) ........ 122
20.7. დაკარგული მართვის მოწმობა ........ 123

**ნაწილი VI. სისხლის სამართლის საკითხები ........ 124**

21. არალეგალური მიგრაცია ........ 124

22. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისთვის ........ 125

23. ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმები ........ 126

24. ნარკოდანაშაული ........ 129

**ნაწილი VII. საინფორმაციო ცნობარი საქართველოსთან კავშირის დასამყარებლად ........ 146**

25. დისტანციური სერვისები სამოქალაქო-ადმინისტრაციულ საკითხეზზე ........ 146

26. რა შესაძლებლობები არსებობს სამშობლოსთან კავშირის დასამყარებლად? ........ 147
26.1. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის კომპეტენცია ........ 147

26.2. განვითარების რესურსი თქვენთვის: უფასო ონლაინ განათლება და პროფესიული სწავლება ............................... 150
26.3. რა წვლილის შეტანა შეგიძლიათ თქვენ, მიგრანტების დაცვის და მხარდაჭერის კუთხით? ............... 151

27. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური მისიები და საკონტაქტო ინფორმაცია ....................................................... 152
27.1. ევროპა .................................................................................. 152
27.2. აზია ........................................................................................ 166
27.3. ჩრდილოეთი ამერიკა ........................................................... 172
27.4. სამხრეთი ამერიკა .................................................................. 173
27.5. აფრიკა .................................................................................... 174
27.6. ავსტრალია და ოკეანეთი ...................................................... 176

# ძვირფასო მიგრანტებო

მრავალწლიანი მუშაობის შედეგად და, განსაკუთრებით, სამწლიანი პროექტის ფარგლებში[1] მიგრაციის სფეროში განხორციელებული ინტენსიური საქმიანობის შედეგად ჩვენმა გუნდმა[2] შეაგროვა დიდი რაოდენობის ინფორმაცია მიგრანტების შესახებ. კერძოდ, პროექტის ფარგლებში მიგრანტებისთვის გაწეულია ასობით სამართლებრივი კონსულტაცია, ორასამდე სოფელში სამი ათასზე მეტ დაბრუნებულ, პოტენციურ მიგრანტთან თუ მიგრანტის ოჯახის წევრთან შედგა საუბარი, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ჩატარდა ფოკუსჯგუფი, რაც დაეხმარა ჩვენს გუნდს მიგრანტების წინაშე მდგარი გამოწვევების უკეთ გააზრებაში. მიგრანტებისგან და მათთან დაკავშირებული პირებისგან უშუალოდ მიღებული ინფორმაცია წარმოადგენს იმ ღირებულ რესურსს, რის საფუძველზეც ჩვენი გუნდი განსაზღვრავს, თუ როგორ და რა მიმართულებით განაგრძოს მუშაობა, რათა მიგრანტების უფლებები იყოს დაცული და მიგრაცია წარმოადგენდეს ქვეყნის განმავითარებელ და არა დამაბრკოლებელ ფაქტორს.

აღნიშნული საქმიანობის შედეგად კიდევ უფრო კარგად გამოჩნდა, თუ რაოდენ რთულია, ერთი მხრივ, საზღვარგარეთ მყოფი თანამემამულისთვის სამართლებრივი საკითხების მოგვარება სამშობლოში, ხოლო მეორე მხრივ – თუ რაოდენ რთულია მრავალი წლის განმავლობაში საზღვარგარეთ ცხოვრების შემდეგ დაბრუნებისას სამშობლოს სამართლებრივ სივრცეში ადაპტირება. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება, მართვის მოწმობა, საქართველოში ახლად ჩამოსული პირის მიერ ბიზნესის დაწყება და სხვა მრავალი – არის მხოლოდ რამდენიმე მაგალითი იმ ყოველდღიური საკითხებისა, რის შესახებ სამართლებრივი ცოდნა მნიშვნელოვნად გაგიადვილებთ დაბრუნებისას საქართველოში ადაპტაციას. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ყოველდღიურ საყოფა-

[1] „საქართველოსა და ევროკავშირს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა“, დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდებოდა 2012 წლის 21 დეკემბრიდან 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით.

[2] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) და მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის (კავკასიური ინსტიტუტი) თანამშრომლები.

ცხოვრებო საკითხებზე ჩვენი მკითხველის სათანადო ინფორმაციით აღჭურვა დაეხმარება მათ გრძელვადიან პერსპექტივაში გაიუმჯობესონ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რაც შეამცირებს საქართველოდან საზღვარგარეთ არალეგალურად გამგზავრების შემთხვევათა რიცხვს და მასთან დაკავშრებულ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რისკებს.

გარდა ამისა, გზამკვლევი მოიცავს საკითხებს, რომლებიც საინტერესო იქნება საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეებისათვის: საზღვარგარეთ ყოფნისას როგორ შეიძინონ უძრავი ქონება საქართველოში, როგორ გააფორმონ მინდობილობა, როგორ დაამყარონ კავშირი სამშობლოსთან, როგორ მიიღონ ინფორმაცია საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების შესახებ და სხვა. ერთი მხრივ, სახელმწიფოს პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენს მიგრანტის დაცვა – ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ, მეორე მხრივ, წარმატებული და ძლიერი დიასპორა ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში საქართველოს წინაშე გაჩნდა ახალი გამოწვევები – განავითაროს სხვადასხვა სფერო ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად ევროკავშირში თანდათანობით ინტეგრაციის მიზნით. ამ პროცესში საზღვარგარეთ მყოფი დიასპორის წევრების გამოცდილება და ცოდნა უაღრესად მნიშვნელოვანია. ამიტომაც ვთვლით, რომ მაქსიმუმი უნდა გაკეთდეს საზღვარგარეთ მყოფი თანამემამულეების დასაცავად და მათ მხარდასაჭერად.

შეჯამების სახით მოგახსენებთ, რომ აღნიშულ გზამკვლევს აქვს სამი ძირითადი მიზანი:

1. გაუადვილოს დაბრუნებულ მიგრანტებს და საქართელოს ყოფილ მოქალაქეებს საქართველოს სამართლებრივ სივრცეში ადაპტირება;
2. პოტენციური მიგრანტებისათვის სამართლებრივი ინფორმაციის მიწოდებით ხელი შეუწყოს არალეგალური მიგრაციის (და შედეგად, ტრეფიკინგის) შემცირებას;
3. ხელი შეუწყოს საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს, დაამყარონ საქართველოსთან სამართლებრივი და შედეგად სოციალურ-ეკონომიკური კავშირი; გააძლიეროს კავშირი მიგრაციასა და ორმხრივ (დიასპორის/მიგრანტებისა და საქართველოს) განვითარებას შორის.

აღნიშნული გზამკვლევი წარმოადგენს წლების განმავლობაში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საიას) მიერ გაწეული სა-

მართლებრივი კონსულტაციების კრებულს, რომელიც ეფუძნება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას (გზამკვლევში მითითებულია შესაბამისი წყაროები, რაც შესაძლებლობას მოგცემთ, დეტალურად გაეცნოთ კანონმდებლობას თქვენთვის საინტერესო სფეროში). სხვადასხვა თავის ავტორები არიან საიას კვალიფიციური იურისტები (იხ. ავტორთა ჯგუფი). თემები შეირჩა მიგრანტების მიერ ყველაზე ხშირად დასმული კითხვების მიხედვით.

გზამკვლევი დაყოფილია სხვადასხვა ნაწილად და ამ ნაწილებში შემავალ თავებად (იხ. სარჩევი). თითოეული თავის სტრუქტურა განსხვავდება სხვადასხვა თემის მიხედვით:

**ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შესახებ**

- აღნიშნული თავი მოიცავს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ დაიცვას თავი პირმა როგორც საქართველოში, ასევე, საზღვარგარეთ.

**ნაწილი II. პირის უფლებები საქართველოსთან სხვადასხვა სამართლებრივი კავშირის მიხედვით**

- აღნიშნული ნაწილი შეიცავს ინფორმაციას, თუ როგორ განსხვავდება პირის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოსთან მისი სამართლებრივი კავშირის მიხედვით (მოქალაქეობა, ბინადრობა, ვიზა, თანამემამულის სტატუსი და სხვა) და აღწერს, თუ როგორ უნდა მოიპოვოს პირმა საქართველოსთან სხვადასხვა სახის სამართლებრივი კავშირი (მოქალაქეობა და ა.შ.).

**ნაწილი III. სოციალური და პოლიტიკური უფლებები**

- აღნიშნული ნაწილი აღწერს, თუ როგორ შეუძლია პირს საზღვარგარეთ მიღებული განათლების საქართველოში აღიარება და პირიქით – როგორ უნდა მოახდინოს საქართველოში მიღებული განათლების ლეგალიზაცია საზღვარგარეთ წარსადგენად. ასევე, ამ ნაწილში აღწერილია ჯანდაცვის უფასო სახელმწიფო პროგრამები. გარდა ამისა, აღნიშნულ თავში მოცემულია ინფორმაცია, თუ როგორ შეუძლია საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეს ხმის მიცემა საქართველოს ხელისუფლების არჩევნებში.

**ნაწილი IV. საოჯახო საკითხები**

- აღნიშნული ნაწილი შეიცავს ინფორმაციას სხვადასხვა სახის საოჯახო საკითხზე, როგორებიცაა: მემკვიდრეობის მიღება, მშობლის უფლების შეზღუდვა (როდესაც ერთ-ერთ მშობელს სურს არასრულწლოვანი შვილის საზღვარგარეთ გაყვანა) და მხარდამჭერი პირის დანიშვნა (როდესაც პირს ესაჭიროება დამხმარე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო).

**ნაწილი V. ქონებრივი და სამეწარმეო საკითხები**

- ალნიშნული ნაწილი მოიცავს ინფორმაციას, თუ როგორ უნდა დარეგისტრირდეს სასოფლო-სამეურნეო მიწა, ინდ. მეწარმე და შპს და როგორ არის შესაძლებელი მართვის მოწმობის მიღება.

**ნაწილი VI. სისხლის სამართლის საკითხები**

- ალნიშნულ ნაწილში საუბარია არალეგალურ მიგრაციის შესახებ. აღწერილია, თუ რა დაცვის მექანიზმი არსებობს ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის და რა სახის ინფორმაცია უნდა იცოდეს მიგრანტმა ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების საზღვარზე გადატანის შესახებ. ასევე, ალნიშნული თავი აღწერს საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებს.

**ნაწილი VII. საინფორმაციო ცნობარი საქართველოსთან კავშირის დასამყარებლად**

- ალნიშნულ ნაწილში აღწერილია, თუ როგორ შეიძლება საზღვარგარეთ მცხოვრები დიასპორის წევრი ჩაერთოს და დაუკავშირდეს სამშობლოს (ინფორმაცია დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების შესახებ, რომელშიც შესაძლებელია დაინტერესებული დიასპორის წევრის/მიგრანტის ჩართვა).

  ამასთან, ამ ნაწილში მოცემულია ინფორმაცია, თუ როგორ შეუძლია საზღვარგარეთ მყოფ მიგრანტს, მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის განვითარებაში და რა რესურსი არსებობს თავად მისი შემდგომი განვითარებისთვის.

  გარდა ამისა, ალნიშნული ნაწილი მოიცავს სრულ საინფორმაციო ცნობარს მსოფლიოს მასშტაბით არსებულ საქართველოს საელჩო და საკონსულო წარმომადგენლობების შესახებ (სატელეფონო ინფორმაცია, მისამართი და ა.შ.).

ბუნებრივია, ალნიშნული გზამკვლევი მხოლოდ მცირე ნაწილია იმ დიდი მოცულობის ინფორმაციისა, რაც საჭიროა მიგრანტის დასაცავად და მხარდასაჭერად, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ ალნიშნული გზამკვლევი მკითხველს მიაწვდის იმ საბაზისო ინფორმაციას, რის საფუძველზეც უკეთ შეძლებს ორიენტირებას საკუთარ უფლებებსა და შესაძლებლობებში და ნებისმიერი დამატებითი კონსულტაცია უფრო ნაყოფიერი იქნება.

აქვე მნიშვნელოვანია ალინიშნოს, რომ გზამკვლევში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა საქართველოში 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარე-

ობით მოქმედ კანონმდებლობას და ზუსტი ინფორმაციისთვის აუცილებელია განახლებული ინფორმაციის მუდმივად გადამოწმება. საქართველოს კანონმდებლობა შეგიძლიათ იპოვოთ საქართველოს ოფიციალურ საკანონმდებლო მაცნეში, შემდეგ ბმულზე: www.matsne.gov.ge

თქვენი უკუგების შედეგად ჩვენი გუნდი მომავალშიც განაგრძობს საინფორმაციო მასალის კიდევ უფრო გამდიდრებას და დახვეწას, რაც აიტვირთება ჩვენს ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სოციალურ მედიაზე (www.gyla.ge და www.cipdd.org).

ჩვენი გუნდი დიდ მადლობას უხდის ევროკავშირს აღნიშნული გზამკვლევის დაფინანსებისთვის და გზამკვლევზე მომუშავე ავტორებს გაწეული შრომისთვის. გარდა ამისა, დიდ მადლობას ვუხდით დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს და ფონდ „Educare Georgia"-ს VI თავისთვის მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამო.

დამატებითი ინფორმაციის საჭიროების შემთხვევაში მოგვმართეთ თქვენი ადგილმდებარეობის მიხედვით (თუ იმყოფებით საზღვარგარეთ – მოგვმართეთ ცენტრალურ ოფისში):

**ცენტრალური ოფისი**
თბილისი, ჟ. კახიძის ქ. #15 ს.ი. 0102
ტელ: +(995 32) 293 61 01 / 295 23 53
ფაქსი: +(995 32) 292 32 11

იურიდიული კონსულტაციისთვის მიმართეთ:
თბილისი, უზნაძის ქ. #101
ტელ: +(995 32) 299 50 76
ელ. ფოსტა: gyla@gyla.ge

**გორის ოფისი**
გორი, სტალინის ქ. #19/1 ს.ი. 1400
ტელ: +(995 370) 272 646
ფაქსი: +(995 370) 279 842
ელ. ფოსტა: gori@gyla.ge

**რუსთავის ოფისი**
რუსთავი, კოსტავას ქ. #15 ა/5, ს.ი. 3700
ტელ: +(995 341) 255 337
ფაქსი: +(995 341) 240 566
ელ. ფოსტა: rustavi@gyla.ge

**თელავის ოფისი**
თელავი, ბარნოვის ქ. #10, ს.ი. 2200
ტელ: +(995 350) 230 745
+(995 350) 271 371
ელ. ფოსტა: telavi@gyla.ge

**ქუთაისის ოფისი**
ქუთაისი, მ. კოსტავას ქ. #11, ს. ი. 4600
ტელ: +(995 431) 241 192
ფაქსი: +(995 431) 214 585
ელ. ფოსტა: kutaisi@gyla.ge

**ზუგდიდის ოფისი**
ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. #3 (თაბუკაშვილის ქ. #21)
ტელ/ფაქსი: +(995 415) 22 77 70
ელ.ფოსტა: zugdidi@gyla.ge

**ოზურგეთის ოფისი**
ოზურგეთი, ეპისკოპოს გაბრიელის ქ. #25/10, ს. ი. 3500
ტელ/ფაქსი: +(995 496) 273 138
ელ. ფოსტა: ozurgeti@gyla.ge

**ბათუმის ოფისი**
ბათუმი, გორგასლის ქ. #89, ს. ი. 6000
ტელ: +(995 422) 276 668
ფაქსი: +(995 422) 222 950
ელ. ფოსტა: batumi@gyla.ge

**დუშეთის ოფისი**
დუშეთი, რუსთაველის ქ. #29
ტელ: +(995 346) 221 553
ელ. ფოსტა: dusheti@gyla.ge

**ჩვენი გუნდი გისურვებთ წარმატებებს და სამშობლოსთან სამართლებრივი კავშირების გაძლიერებას!**

პატივისცემით

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) და

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

# ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე

## 1. საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქის უფლებების დაცვის მექანიზმი

მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იმყოფებით, თუ თქვენ საქართველოს მოქალაქე ხართ, საქართველო ვალდებულია დაიცვას თქვენი უფლებები. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად:



**საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა.**[3]

საქართველო საკუთარი ემიგრანტი მოქალაქეების სამართლებრივ დაცვას ახორციელებს დიპლომატიური წარმომადგენლობების მეშვეობით (საზღვარგარეთ არსებული საქართველოს საკონსულო ან საელჩო).[4]

წარმომადგენლობის ძირითადი მოვალეობაა, დაიცვას საქართველოს მოქალაქეებისა და იურიდული პირების უფლებები,[5] თავისუფლებები და კანონიერი ინტერესები ადგილსამყოფელ სახელმწიფოში.

---

[3] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 13, პუნქტი 1.

[4] დეტალური ინფორმაცია საზღვარგარეთ არსებული საქართველოს საკონსულოებისა და საელჩოების შესახებ მოცემულია აღნიშნულ გზამკვლევში, იხ. სარჩევი;

[5] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანება #01-111 „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების საქმიანობის წესისა და ტიპობრივი დებულების დამტკიცების თაობაზე".

კერძოდ, საკონსულო თანამდებობის პირი:

- ვალდებულია, სამართლებრივად დაგიცვათ იმ ქვეყანაში, სადაც იმყოფებით (თქვენი ადგილსამყოფელი ქვეყნის პოლიციის, სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოების წინაშე, ასევე, კერძო სუბიექტების წინაშე).
- შეუძლია ყველანაირი რწმუნების გარეშე წარმოგადგინოთ (როგორც კერძო პირი ან როგორც კომპანია) იმ ქვეყნის სახელმწიფო ორგანოების წინაშე, სადაც იმყოფებით, ვიდრე განისაზღვრება სხვა პასუხისმგებელი პირი თქვენი უფლებების დასაცავად.

**სამართლებრივი დაცვა არ გულისხმობს სასამართლო განხილვის ან გამოძიების პროცესში უშუალო წარმომადგენლობას.**

- ვალდებულია, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სამართალდამცავ და მართლმსაჯულების ორგანოებთან წარმომადგენლობისას თვალყური ადევნოს, რომ ბრალდებული უზრუნველყოფილი იყოს წარმომადგენლის და, საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურებით.
- ვალდებულია შეხვდეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ან სადეპორტაციო ბანაკში (საიმიგრაციო ცენტრში) მყოფ საქართველოს ფიზიკურ პირს მისი მოთხოვნის შემთხვევაში ან საკუთარი ინიციატივით და პირადად დარწმუნდეს, რომ დაკავებულის მდგომარეობა და განთავსების პირობები შეესაბამება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ ნორმებს.
- ხელს უწყობს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების რეალიზაციის. უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით საკონსულო თანამდებობის პირი:
  - √ გასცემს სხვადასხვა ცნობას;
  - √ ადასტურებს საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების მიერ დოკუმენტის გაცემის ფაქტს;
  - √ ასრულებს და ამოწმებს დოკუმენტის თარგმანს;
  - √ უზრუნველყოფს დოკუმენტისა და ინფორმაციის გამოთხოვას;
  - √ ახორციელებს შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების რეგისტრაციას.[6]

[6] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1244.

- საკონსულო თანამდებობის პირი გასცემს საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის ცნობას ნასამართლობის შესახებ.[7]
- სამართლებრივ დაცვას უწევს საქართველოს ფიზიკურ პირს მის მიმართ მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის აუცილებლობის არსებობისას.
- ახორციელებს ღონისძიებებს საქართველოს გარდაცვლილი მოქალაქის დარჩენილი ქონების დაცვის უზრუნველსაყოფად.
- უზრუნველყოფს საქართველოს გარდაცვლილი მოქალაქის გადმოსვენებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას.

საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ სამართლებრივი დაცვა ხორციელდება ადგილსამყოფელ სახელმწიფოში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის დროს, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ბუნებრივ ან ტექნოგენურ კატასტროფასთან, საომარ ან საგანგებო მდგომარეობასთან, სანიტარიული, ფიტოსანიტარიული ან ვეტერინარიული მდგომარეობის გართულებასთან.

მეტიც, საზღვარგარეთ არსებული საქართველოს საელჩო[8] და საკონსულო[9] (წარმომადგენლობა) განსაკუთრებული დაცვის სტატუსით სარგებლობს, კერძოდ:

**ის შენობები, სადაც განთავსებულია ქვეყნის საკონსულო ან საელჩო წარმომადგენლობა – ხელშეუხებელია. ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ხელისუფლებას უფლება არა აქვს შევიდეს ამ შენობებში, თუ არ ექნათ წარმომადგენლობის მეთაურის თანხმობა.[10]**

აღნიშნული ნიშნავს შემდეგს: თუ თქვენ თვლით, რომ საზღვარგარეთ თქვენი უფლება ირღვევა, თქვენ შეგიძლიათ მიბრძანდეთ საკონსულოში ან საელჩოში და მოითხოვოთ დაცვა ადგილსამყოფელი სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან.

---

[7] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის #404 დადგენილება.

[8] საქართველოს კანონი დიპლომატიური სამსახურის შესახებ.

[9] საქართველოს კანონი საკონსულო საქმიანობის შესახებ.

[10] ვენის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ, მუხლი 22. ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობების შესახებ, მუხლი 31.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან სატელეფონო კონსულტირება შესაძლებელია სამუშაო დღის განმავლობაში 10:00-იდან 18:30 საათამდე (შესვენება 13:00-14:00) შემდეგ ნომერზე:

**ტელ: (995 32) 294 50 50**

გადაუდებელ და ფორს-მაჟორულ შემთხვევებში სამუშაო დღეების განმავლობაში 18:30 საათის შემდეგ და დასვენების დღეებში 24 საათის განმავლობაში სატელეფონო კონსულტირება შესაძლებელია შემდეგ ნომერზე:

**ტელ: (995) 577 98 40 20**

ელექტრონული ფოსტის მისამართია: consulinfo@mfa.gov.ge

## 2. მინდობილობა – საზღვარგარეთ მცხოვრები მიგრანტის მიერ საქართველოში სამოქალაქო-ადმინისტრაციული საკითხების მოგვარება

### *2.1. ზოგადი ინფორმაცია*

იმისათვის, რომ საზღვარგარეთ მყოფმა პირმა შეძლოს საქართველოში სხვადასხვა ადმინისტრაციული და სამოქალაქო გარიგების დადება, ქონების შეძენა-გასხვისება ან/და ნებისმიერი სახით განკარგვა (მაგალითად, საქართველოში მისი კუთვნილი სახლის შეძენა, გაქირავება და ა.შ.), მას შეუძლია პირადად განახორციელოს აღნიშნული ქმედებები ან **წარმომადგენლის მეშვეობით,** რა დროსაც უნდა გაფორმდეს მინდობილობა **(დავალების ხელშეკრულება).**

- მინდობილობა (დავალების ხელშეკრულება) იდება ნოტარიუსთან წერილობითი ფორმით მარწმუნებელსა (მინდობილობის გამცემი – მაგალითად, თავად საზღვარგარეთ მყოფი პირი, ვისაც სურს სახლის შეძენა) და რწმუნებულს შორის (ვისაც მინდობილობა ენიჭება – მაგალითად, საზღვარგარეთ მყოფი პირის ახლობელი, რომელიც წარმოადგენს მას საქართველოში).
- დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული მოქმედებს მარწმუნებლის სახელითა და ხარჯებით, რა დროსაც ვალდებულებები წარმოეშობა უშუალოდ მარწმუნებელს.

- მინდობილობის/რწმუნებულების გაცემისას ზუსტად უნდა მიეთითოს, თუ რა დავალების შესასრულებლად გაიცა მინდობილობა, რა მოქმედებების შესრულების უფლება ეძლევა მინდობილ პირს და მინდობილობის მოქმედების ვადა.

**ყურადღება! მნიშვნელოვანია, რომ რწმუნებულად აირჩიოთ სანდო პირი, რადგანაც რწმუნებულს ეძლევა შესაძლებლობა იმოქმედოს თქვენი სახელით.**

**გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შემდეგი:**
**მინდობილობის გაცემისას მარწმუნებელი უნდა მოერიდოს ზოგადი ხასიათის დავალების გაცემას. უმჯობესია, დავალება გაიცეს კონკრეტულ ნივთზე ან/და კონკრეტულ დაწესებულებაში ქმედების განხორციელებაზე, რადგან პირს, რომელსაც თქვენ მისცემთ შეუზღუდავ მინდობილობას, შეუძლია ბოროტად ისარგებლოს მინდობილობით და გამოიწვიოს თქვენთვის არასასურველი შედეგი (მაგალითად, გაყიდოს თქვენი კუთვნილი ნივთი თქვენი ნების საწინააღდეგოდ და ა.შ.).**

- დავალების (მინდობილობის) ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს გადანდობის უფლებით. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მინდობილ პირს უფლება ექნება, მასზე მინდობილი უფლება სანოტარო წესით სხვას (მესამე პირს) გადაანდოს, მაგალითად ადვოკატს.

## *2.2. ვის უნდა მიმართოთ მინდობილობის გასაფორმებლად და რა პროცედურებია საჭირო?*

- მინდობილობის/რწმუნებულების გაფორმება ხდება სანოტარო ბიუროში. ნოტარიუსი ამოწმებს გაცემულ მინდობილობას და ატარებს მას ელექტრონულ რეესტრში.[11]
- საქართველოს მოქალაქეს, რომელიც იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ, აქვს შესაძლებლობა გასცეს მინდობილობა ელექტრონული წესით (პროგრამა Skype-ის მეშვეობით), რისთვისაც საკმარისია იგი დაუკავშირდეს Skype-ის მეშვეობით ნებისმიერ სანოტარო ბიუროს და მოითხოვოს მინდობილობის გაცემა ელექტრონული წესით. აუცილებელია სანოტარო ბიუროში მინდობილობის გაცემას ესწრებოდეს ერთი მოწმე და მინდობილობაზე ხელმომწერი

[11] დეტალური ინფორმაცია იხ. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.notary.ge

პირი, რომლებიც დაადასტურებენ მინდობილობის/რწმუნებულების გამცემის ნების გამოვლენის ნამდვილობას.

- მინდობილობის (დავალების ხელშეკრულება) დადებისას ნოტარიუსის მომსახურება ფასიანია.
- საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს, მინდობილობა/რწმუნებულება გასცეს საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მეშვეობით, რისთვისაც იგი ვალდებულია მიაკითხოს საქართველოს საკონსულოს და ითხოვოს მის მიერ გაცემული მინდობილობის/რწმუნებულების დამოწმება.

### *2.3. მინდობილობის გაუქმება*

მარწმუნებელს შეუძლია ნებისმიერ დროს (თუნდაც ვადაზე ადრე) გააუქმოს მინდობილობის (დავალების) ხელშეკრულება, რაც ასევე უნდა მოხდეს ნოტარიუსის მეშვეობით.

## 3. საქართველოში მყოფი პირის უფლებების დაცვის სამართლებრივი მექანიზმი

საქართველოში დაბრუნებისას საქართველოს სამართლებრივ სივრცეში საადაპტაციოდ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სამართლის საბაზისო სისტემის ცოდნა, რაც მნიშვნელოვნად გაუადვილებს თითოეულ პირს საკუთარი უფლებების დაცვას. აღნიშნული მექანიზმები, რიგ შემთხვევებში, მოქმედებს დისტანციურადაც: სამართლებრივი დაცვის მექანიზმები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიგრანტებისთვის, რომლებიც სამშობლოს არიან მოწყვეტილი და კიდევ უფრო დაუცველ მდგომარეობაში იმყოფებიან.

სწორედ ამიტომ, ამ თავში მოკლედ არის წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული რამდენიმე ძირეული მექანიზმი, რომელიც დაგეხმარებათ საკუთარი უფლებების დაცვაში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებთან ურთიერთობისას.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საიას ან შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, გზამკვლევში მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის მიხედვით.

წარმოგიდგენთ ინფორმაციას უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ.

## *3.1. უფლებების განხორციელება ადმინისტრაციული წარმოების მეშვეობით*

### 3.1.1. სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების გადაწყვეტილება – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ინდაქტი)

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ფიზიკური პირის მხრიდან ნებისმიერ სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან ურთიერთობა განიხილება როგორც – ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა. შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობა განმარტავს ადმინისტრციული ორგანოს ცნებას და ასეთად მიიჩნევს – ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან დაწესებულებას, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს ასრულებს.[12]

ზემოაღნიშნული ურთიერთობისას, როგორც წესი, სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულება (მაგ. სამინისტრო, ან სხვა საჯარო უწყება, და ა.შ.) მმართველობის პროცესში სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღებისას (მაგ., სამშენებლო ნებართვის გაცემა, დევნილის სტატუსის მინიჭება და ა.შ.) გამოსცემს სხვადასხვა სახის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. მათ შორის, ყველაზე გავრცელებული არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (შემოკლებით, ინდაქტი), რომელსაც ყველაზე ხშირად. უბრალოდ, „გადაწყვეტილებას“ უწოდებენ.

საქართველოს კანონმდებლობით განმარტებულია ინდაქტის (გადაწყვეტილების) ცნება და ასეთად მიჩნეულია – სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართელობის დაწესებულების გადაწყვეტილება, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. კანონის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად (გადაწყვეტილებად) ჩაითვლება აგრეთვე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართელობის დაწესებულების მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართელობის დაწესებულების მიერ გამოცემული ან დადასტურებუ-

[12] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 2, ნაწილი 1, პუნქტი „ა“.

ლი დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები,[13] მაგალითად, ბრძანება, ცნობა, ნებართვა და სხვა.

**იმისათვის, რომ მოიპოვოთ თქვენთვის სასურველი ესა თუ ის სამართლებრივი სიკეთე, უნდა მიმართოთ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს (ზოგიერთი შემთხვევა განხილულია ამავე გზამკვლევში), რა შემთხვევაშიც სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულება შებოჭილია თქვენ მიმართ გარკვეული ვალდებულებებით, რაც წარმოადგენს სამართლებრივი დაცვის მექანიზმს თქვენთვის.**

### 3.1.2. სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართელობის დაწესებულებაში განცხადების/საჩივრის წარდგენის შემდეგ სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულება გადაწყვეტილებას იღებს განცხადების განხილვის პროცესის შედეგად (რასაც სხვაგვარად ეწოდება „ადმინისტრაციული წარმოება“). განცხადების განხილვის პროცესი – ანუ ადმინისტრაციული წარმოება, არის სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების საქმიანობა გადაწყვეტილების მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე, ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით.[14]

თავის მხრივ, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ორი საფუძველი არსებობს. კერძოდ:

- თქვენი განცხადება (რეგისტრაციის მომენტიდან)
- სახელმწიფოსთვის/ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება[15]

კანონმდებლობით განსაზღვრული ზოგადი წესის თანახმად (გარდა სპეციალური გამონაკლისებისა) **სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებამ გადაწყვეტილება განცხადების დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში უნდა მიიღოს.**

---

[13] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 2, ნაწილი 1, პუნქტი „დ“.

[14] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 2, ნაწილი 1, პუნქტი „კ“.

[15] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 2, ნაწილი 1, პუნქტი „კ“.

### 3.1.3. ვადა ადმინისტრაციულ წარმოებაში. გაშვებული ვადის აღდგენა

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დაგიწესდათ რაიმე ვადა ადმინისტრაციულ პროცესში, აღნიშნული ვადის ათვლა დაიწყება მხოლოდ თქვენთვის შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის გადმოცემის ან ამ ინფორმაციის ოფიციალური გამოქვეყნების დღიდან.[16]

თუ თქვენ გადააცილეთ ვადას, თქვენ გაქვთ უფლება, მოითხოვოთ გაშვებული ვადის აღდგენა, იმ შემთხვევაში თუ თქვენ დადგენილ ვადას გადააცილეთ არაბრალეულად – დაუძლეველი ძალის (მაგალითად, წყალდიდობა), ავადმყოფობის, თავად სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების ბრალით ან სხვა საპატიო მიზეზით. თუმცა, ამ შემთხვევაში, თქვენ გევალებათ **დაამტკიცოთ ვადის გადაცილების მიზეზი** (მაგალითად, ჯანმრთელობის ცნობით). ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულება უფლებამოსილია აღადგინოს გადაცილებული ვადა, თუ ეს აკრძალული არ არის კანონით და ზიანს არ მიაყენებს სხვა პირთა უფლებებს და კანონიერ ინტერესს.

სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულება თქვენს განცხადებას გადაცილებული ვადის აღდგენის შესახებ განიხილავს ხუთი სამუშაო დღის ვადაში.[17]

## 3.2. პირის უფლებები ადმინისტრაციულ წარმოებაში

### 3.2.1. სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სამართლებრივი დახმარების გაწევის მოვალეობა

როგორც წესი, განცხადების განხილვისას (ადმინისტრაციულ წარმოებაში) სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებს აქვთ სამართლებრივი დახმარების გაწევის მოვალეობა. კერძოდ, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართელობის დაწესებულებები ვალდებული არიან:

- განგიმარტოთ/აგიხსნათ თქვენი უფლებები და მოვალეობები;
- გაგაცნოთ განცხადების განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა;

[16] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 94, ნაწილი 2.

[17] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 94.

- აგიხსნათ ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება და საჩივარი;
- მიგითითოთ განცხადებაში დაშვებული შეცდომა.[18]

### 3.2.2. უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულებისთვის განცხადების გადაგზავნა:

ხშირად მოქალაქეები შეცდომით მიმართავენ სხვა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებას. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს თქვენი განცხადების ადრესატამდე მიწოდება. კერძოდ:

- თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების უფლებამოსილებას, სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულება ვალდებულია, არა უგვიანეს ხუთი დღისა, გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამასთან, სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულება ვალდებულია, ორი დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს განმცხადებელს განცხადებისა და მასზე დართული საბუთების უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით.[19]
- თუ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია ან შეუძლებელია უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების დადგენა, სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულება განცხადებას შესაბამისი დასაბუთებით დაუბრუნებს განმცხადებელს მისი შეტანიდან 5 დღის განმავლობაში.

**დაიმახსოვრეთ!**

**განცხადების წარდგენის კანონმდებლობით დადგენილი ვადა დაცულად ჩაითვლება მაშინაც, თუ თქვენ კანონით დადგენილ ვადაში განცხადება წარადგინეთ არაუფლებამოსილ სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.**

---

[18] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 85.

[19] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 80, ნაწილი 1.

სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში წარდგენილი განცხადება უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ რეკვიზიტებს:

- იმ სახელმწიფოს ან თვითმმართველობის დაწესებულების დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;
- განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;
- მოთხოვნას;
- განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;
- განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, თუ ასეთი საბუთები არსებობს.

ამასთან, განცხადებას უნდა დაერთოს ყველა ის საბუთი, რომლის წარდგენის ვალდებულებაც განმცხადებელს შესაძლოა კანონით ეკისრებოდეს. გარდა ამისა, განმცხადებელს უფლება აქვს, შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს წარუდგინოს ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტას (წერილობითი გადაწყვეტილების მიღებას – ინდაქტის გამოცემას).[20]

### 3.2.3. განცხადების განხილვის მასალების გაცნობის უფლება

თქვენ გაქვთ უფლება, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, გარდა იმ მასალებისა, რომლებიც წარმოადგენს შიდაუწყებრივი ხასიათის დოკუმენტაციას. დოკუმენტაციის გაცნობა უნდა მოითხოვოთ იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელიც ახორციელებს ადმინისტრაციულ წარმოებას.

> განსაკუთრებულ შემთხვევაში თქვენი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეგიძლიათ წარმოების მასალებს გაეცნოთ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში **ან სხვა სახელმწიფოში არსებულ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში.**

თქვენ გაქვთ უფლება, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტაციისა და სხვა მასალის ასლები. დაუშვებელია დაწესდეს რაიმე გადასახადი ან შეგექმნათ სხვა დაბრკოლება დოკუმენტის ან სხვა მასალის ასლის გადასაღებად ან ფოსტის მეშ-

[20] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 78.

ვეობით გასაგზავნად, გარდა საჭირო ანაზღაურებისა[21] (მაგ., ქაღალდის ფასი და ა.შ.).[22]

### 3.2.4. საქმის გარემოებათა გამოკვლევა

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი საქართველოს კანონმდებლობაში, რომელიც იცავს პირს რომელიმე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების მხრიდან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღებისაგან, არის საქმის გარემოებათა გამოკვლევის ვალდებულება. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულება ვალდებულია თქვენ მიერ წადგენილი განცხადების განხილვისას, შეისწავლოს ამ განცხადებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გადაწყვეტილება მიიღოს ამ საკითხების შეფასების საფუძველზე.[23]

გახსოვდეთ, რომ დაუშვებელია სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებმა მიიღონ გადაწყვეტილება ისეთ საკითხზე, რაც არ შეუსწავლიათ.

გასაჩივრების მექანიზმების შესახებ შემდეგ ქვეთავში ვისაუბრებთ.

## *3.3. სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი*

### 3.3.1. ვადები

გასაჩივრების შესაძლებლობა არის ძალიან მნიშვნელოვანი მექანიზმი თქვენი უფლების დასაცავად. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ინდაქტი, უფრო ხშირად ცნობილი როგორც „გადაწყვეტილება“, საბოლოო იურიდიულ ძალას მხოლოდ მას შემდეგ შეიძენს, როდესაც კანონმდებლობით დადგენილი გასაჩივრების ვადა გავა. გასაჩივრების ვადის გასვლამდე თქვენ გეძლევათ შესაძლებლობა,

---

[21] საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი შეადგენს: A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი – ერთი გვერდი – 0,05 ლარს; ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდვა – ერთი გვერდი – 0,10 ლარს; კომპაქტურ დისკზე ინფორმაციის ჩაწერა – 1 დისკი – 2,65 ლარს; დისკეტაზე ინფორმაციის ჩაწერა – 1 დისკეტა – 1,3 ლარს; ინფორმაციის ჩაწერა ინფორმაციის მომთხოვნის ვიდეოკასეტაზე – 1 საათი – 2,75 ლარს; ინფორმაციის ჩაწერა ინფორმაციის მომთხოვნის აუდიოკასეტაზე – 1 საათი – 0,50 ლარს. (საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონი).

[22] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 99.

[23] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 96.

გაასაჩივროთ გადაწყვეტილება, თუ თვლით, რომ იგი არღვევს თქვენს უფლებებს.

პირველი ეტაპი, რომელიც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასასაჩივრებლად გამოიყენება, არის **ადმინისტრაციული საჩივარი.** კანონის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი არის – დაინტერესებული მხარის მიერ (პირი, რომელსაც ეხება გადაწყვეტილება) უფლებამოსილ სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით, იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული გადაწყვეტილების გაუქმების, შეცვლის ან ახალი გადაწყვეტილების გამოცემის ან სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების მიერ რაიმე მოქმედების განხორციელების (ან განხორციელებისგან თავის შეკავების) შესახებ.[24]

გასაჩივრების პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნდა გაითვალისწინოთ, არის ვადები. თუ თქვენ გადააცილებთ გასაჩივრების ვადას და არ გაასაჩივრებთ თქვენი ინტერესების საწინააღდეგო გადაწყვეტილებას, გასაჩივრების ვადის გასვლის შემდგომ იგი შეიძენს საბოლოო იურიდიულ ძალას და თქვენ ვეღარ შეძლებთ იდავოთ აღნიშნულ გადაწყვეტილების გამო, თუ რაიმე ახალი გარემოება არ იქნება აღმოჩენილი.

გახსოვდეთ, რომ:

**ადმინისტრაციული საჩივარი უნდა წარადგინოთ გადაწყვეტილების გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოქმედებს რაიმე სპეციალური კანონი კონკრეტულ შემთხვევებში.**[25]



ანუ, გამონაკლისების და სპეციალური წესების გარდა, ზოგადად, ადმინისტრაციული გასაჩივრების ვადა არის 30 დღე. ამ დროში თქვენ უნდა შეიტანოთ საჩივარი ადმინისტრაციული გასაჩივრების წესით, თუ ფიქრობთ, რომ გადაწყვეტილება არღვევს თქვენს უფლებებს.

ერთ-ერთი გამონაკლისი ზოგადი წესიდან სწორედ მიგრანტებს ეხება. კერძოდ, კანონმდებლობის თანახმად, უცხოელის საქართველოდან გა-

[24] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 180;

[25] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 2, ნაწილი 1, „ი" პუნქტი.

ძევების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასასაჩივრებლად დადგენილია უფრო მცირე ვადა – 10 დღე.

უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისთვის საქართველოდან გაძევების თაობაზე გადაწყვეტილების გაცნობიდან **10 დღის ვადაში.**[26]

რაც შეეხება სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის **ქმედებას** ან **ქმედებისაგან თავის შეკავებას**:

სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების ქმედება უნდა გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ.[27]

**დაიმახსოვრეთ!**

**სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართელობის დაწესებულების მიერ თქვენთვის ჩაბარებულ გადაწყვეტილებაში უნდა იყოს მითითებული ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა, ორგანო/სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადები და გასაჩივრების წესი. თუ აღნიშნული ინფორმაცია არ იქნება მითითებული გადაწყვეტილებაში (ინდაქტში), თქვენ გაქვთ უფლება, მოითხოვოთ გასაჩივრების უფლების განმარტება და, ამასთან, გასაჩივრება შესაძლებელი იქნება გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში.**[28]

### 3.3.2. ადმინისტრაციული საჩივრის შინაარსი

ადმინისტრაციულ საჩივარში აღნიშნული უნდა იყოს:

- სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების დასახელება, რომელშიც შეიტანება ადმინისტრაციული საჩივარი;
- ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა და მისამართი;

[26] საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, მუხლი 56.

[27] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 180.

[28] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 12.

- იმ სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების დასახელება, რომლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მოქმედება საჩივრდება;
- გასაჩივრებული გადაწყვეტილების (ინდაქტის) დასახელება;
- მოთხოვნა;
- გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა;
- ადმინისტრაციულ საჩივარზე დართული საბუთების ნუსხა, თუ საჩივარს რაიმე დოკუმენტი დაერთვის;
- თუ ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს გადაეცა გადაწყვეტილება, ადმინისტრაციულ საჩივარს უნდა დაერთოს მისი ასლიც.[29]

სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულება ვალდებულია განიხილოს თქვენი ადმინისტრაციული საჩივარი და გადაწყვეტილება მიიღოს **ერთი თვის ვადაში.** თუმცა, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ აუცილებელია დამატებითი ვადა, სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულება უფლებამოსილია გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და გააგრძელოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა, არა უმეტეს, 1 თვის ვადით.[30]

## *3.4. სასარჩელო განცხადება*

როგორც წარმოდგენილ გზამკვლევში უკვე აღინიშნა, პირველი ეტაპი, რომელიც ადამინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასასაჩივრებლად გამოიყენება, არის ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა. თუმცა, ადმინისტრაციულ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება, გასაჩივრების თვალსაზრისით, არ წარმოადგენს საბოლოო გადაწყვეტილებას და დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, ადმინისტრაციულ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ როგორც ადმინისტრაციული საჩივრის წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ისე გასაჩივრებულ ინდაქტზე (გადაწყვეტილებაზე) მიღებული გადაწყვეტილება, სარჩელის საფუძველზე გაასაჩივროს **სასამართლოს წესით.**

[29] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 181.

[30] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 183.

## რა მოთხოვნით შეიძლება აღიძრას სასამართლო სარჩელი?

თქვენ შეგიძლიათ წარადგინოთ სარჩელი და მისი მეშვეობით მოითხოვოთ სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების გადაწყვეტილების გაუქმება. ამასთან, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალური წესებისა, **ზოგადად, თქვენ შეგიძლიათ წარადგინოთ სარჩელი, თუ კონკრეტული გადაწყვეტილება ან მისი ნაწილი პირდაპირ ზიანს გაყენებთ და, თუ თქვენ თვლით, რომ ამ გადაწყვეტილებით იზღუდება თქვენი უფლებები.**[31]

გახსოვდეთ, რომ იმ შეთხვევაშიც, თუ სახელმწიფო დაწესებულების/ადგილობრივი თვითმმართველობის **უარი გადაწყვეტილების მიღებაზე** პირდაპირ ზიანს გაყენებთ, თქვენ გაქვთ უფლება, მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ გადაწყვეტილების მიღება (ინდაქტის გამოცემა). როგორც წესი, ამ ტიპის სარჩელებს ეწოდება **სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.**[32] ამასთან, თუ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს გადაწყვეტილების (ინდაქტის) გამოცემაზე უარის მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელის სასამართლოში ისეთი მოთხოვნებით წარდგენის შესაძლებლობასაც, როგორიცაა, მაგალითად, სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე. **სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე** შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს გადაწყვეტილების (ინდაქტის) გამოცემას (მაგ., საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალდებულების მოთხოვნა). როგორც ჩვენ მიერ უკვე განხილული სხვა სარჩელების დროს, ქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელის აღძვრაც დასაშვებია მაშინ, თუ სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს აყენებს თქვენს კანონიერ უფლებას ან ინტერესს.[33]

## რა ვადაში უნდა იქნეს წარდგენილი სარჩელი?

გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალური შემთხვევებისა, სარჩელი უნდა წარუდგინოთ სასამართლოს გადაწყვეტილე-

---

[31] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 22.

[32] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 23.

[33] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 24.

ბის გაცნობიდან, ან, თუ გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული – ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისთვის დადგენილი ვადის **(1 თვე)** გასვლიდან **ერთი თვის ვადაში.**[34]

გახსოვდეთ, რომ თქვენი სარჩელი უნდა პასუხობდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და უნდა მომზადდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.[35]

## *3.5. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა*

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით საჯარო ინფორმაცია არის – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე, საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.[36]

კანონით განსაზღვრულია საჯარო დაწესებულების ცნებაც: ესაა სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულება, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში.[37]

### საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე, გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

---

[34] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 22.

[35] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 177.

[36] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 2, ნაწილი 1, პუნქტი „მ“

[37] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 27, პუნქტი „ა“.

საჯარო ინფორმაციის მისაღებად საჭიროა, რომ პირმა წარადგინოს წერილობით განცხადება. აუცილებელი არ არის, განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, საჯარო დაწესებულების ელექტრონული რესურსების საშუალებით.[38]

## საჯარო ინფორმაციის გაცემა

საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს თქვენ მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს გარკვეულ დროს (კერძოდ, თუ თქვენ მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს სხვა დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებას და დამუშავებას ან დიდი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას).

თუ საჯარო ინფორმაციის გასაცემად საჭიროა ათდღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, მოთხოვნისთანავე გაცნობოთ აღნიშნულის შესახებ.[39]

---

[38] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 37.

[39] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 40.

# ნაწილი II. პირის უფლებები საქართველოსთან სხვადასხვა სამართლებრივი კავშირის მიხედვით

საქართველოში თქვენი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება თქვენი სამართლებრივი მდგომარეობით, ანუ იმით, თუ რა სამართლებრივი კავშირი გაქვთ საქართველოსთან.

მოკლედ განვიხილოთ ძირითადი სახეობები.

1. **საქართველოს მოქალაქე** – აღჭურვილია საქართველოს კონსტიტუციაში მითითებული ყველა უფლებითა და მოვალეობით.
2. **საქართველოს ვიზის ან ბინადრობის მფლობელი უცხოელი** – აღჭურვილია კონსტიტუციაში მითითებული ყველა უფლებითა და მოვალეობით, გარდა პოლიტიკური ჯგუფის უფლებებისა (მაგალითად, არჩევნებში მონაწილეობა, საჯარო სამსახურში დასაქმება და ა.შ.)
3. **თანამემამულის სტატუსის მქონე პირი** – თუ თქვენ გაქვთ მინიჭებული უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსი (სტატუსის მიღების შესახებ პროცედურები დეტალურად არის გაწერილი ამავე გზამკვლევში – იხ. სარჩევი), თქვენ გეკუთვნით კანონის[40] მე-11 მუხლით გათვალისწინებული გარკვეული პრივილეგიები, კერძოდ:

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც კანონიერი საფუძვლით იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, სარგებლობს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით. გარდა ამისა, მას აქვს შემდეგი პრივილეგიები:

- საერთაშორისო ფედერაციის თანხმობის შემთხვევაში უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს სპორტულ შეჯიბრებაში საქართველოს სახელით, ეროვნული ნაკრები გუნდის შემადგენლობაში;

---

[40] საქართველოს კანონი უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ – იხ. www.matsne.gov.ge

- თუ ის არის იმ სახელმწიფოს მოქალაქე, რომლის მოქალაქეებსაც საქართველოში შემოსასვლელად ვიზა ესაჭიროებათ, უფლებამოსილია, ვიზის გარეშე გადმოკვეთოს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და იმყოფებოდეს საქართველოს ტერიტორიაზე, არა უმეტეს, 30 დღისა;
- საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე განცხადების შეტანისას მომსახურების საფასურს იხდის საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული შეღავათით;
- უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით საქართველოში მიიღოს ზოგადი და უმაღლესი განათლება;
- საჯარო სამსახურში შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, თუ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეს შესაძლებლობა აქვს, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ დიასპორისთვის განკუთვნილ სხვადასხვა მიზნობრივ პროგრამაში.

4. **თავშესაფრის მაძიებლის სტატუსის მქონე პირი** – თუ თქვენ ბრძანდებით თავშესაფრის მაძიებლის სტატუსის მქონე პირი, გაქვთ შემდეგი უფლება-მოვალეობები:

- ისარგებლოთ მთარგმნელობითი მომსახურებით და მიიღოთ ინფორმაცია ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების პროცედურის შესახებ;
- მიიღოთ დროებითი განთავსების შესახებ მიმართვა და უფასოდ იცხოვროთ მიმღებ ცენტრში, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გამოყოფილ დროებითი განთავსების სხვა ადგილზე;
- მიმღებ ცენტრში, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გამოყოფილ დროებითი განთავსების სხვა ადგილზე განთავსებისას მიიღოთ ხელშეწყობა გადაადგილებასა და ბარგის გადატანაში;
- მიიღოთ სხვა სახის დახმარება;

- საქართველოს მოქალაქის მსგავსად ისარგებლოთ განათლების უფლებით;
- ისარგებლოთ სამედიცინო და სოციალური დახმარებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
- გამოითხოვოთ განცხადება;
- განთავისუფლდეთ ნებისმიერ ინსტანციაში განცხადების განხილვასთან დაკავშირებული გადასახადებისაგან და ისარგებლოთ უფასო მთარგმნელობითი მომსახურებით;
- ისარგებლოთ შრომითი მოწყობის უფლებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოთ სასამართლოს;
- ინფორმირებული იყოთ გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან დაკავშირების შესაძლებლობის თაობაზე;
- ისარგებლოთ საქართველოს კანონმდებლობით უცხოელისათვის მინიჭებული უფლებებით, თუ ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ საქართვეოლოს კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამასთან, თავშესაფრის მაძიებელი ვალდებულია:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულს მიაწოდოს მისი განცხადების განხილვისთვის ყველა აუცილებელი საბუთი;
- დროებითი განთავსების შესახებ მიმართვის მიღებიდან 15 დღეში გაემგზავროს მიმღებ ცენტრში ან სამინისტროს მიერ გამოყოფილ დროებითი განთავსების სხვა ადგილზე;
- სამინისტროს მიერ გამოყოფილის ნაცვლად სხვა საცხოვრებელი ადგილის არჩევისას სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულს აცნობოს ზუსტი მისამართი და გადაადგილების შემთხვევაში რეგულარულად მიაწოდოს მას განახლებული ინფორმაცია;
- დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა და მიმღებ ცენტრში განთავსების, ქცევის და მიმღები ცენტრიდან გასახლების სამინისტროს მიერ დადგენილი წესი;
- სამინისტროს მიერ დადგენილ ვადაში გაიაროს სავალდებულო სამედიცინო შემოწმება ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებაში.

მნიშვნელოვანია, რომ თავშესაფრის მაძიებლის მიერ თავშესაფრის მაძიებლის ვალდებულებების მოთხოვნათა შეუსრულებლობას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო განიხილავს როგორც მიმღებ ცენტრში განთავსების უფლებაზე უარის თქმას.

5. **ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი** – თუ თქვენ ბრძანდებით ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი, კანონის[41] მე-19 მუხლით გათვალისწინებულია უფლება-მოვალეობები, კერძოდ;

ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირს უფლება აქვს:

- ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებიდან სამი თვის განმავლობაში იცხოვროს მიმღებ ცენტრში, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო მიერ გამოყოფილ დროებითი განთავსების სხვა ადგილზე და ისარგებლოს იმავე უფლებებით, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს თავშესაფრის მაძიებლის სტატუსის მქონე პირმა;
- ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებიდან 3 თვის განმავლობაში საცხოვრებლად აირჩიოს სამინისტროს მიერ გამოყოფილი ადგილი ან განთავსდეს სხვა ადგილზე საკუთარი ხარჯით;
- „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს – საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მიზნით;
- დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში ან გაემგზავროს სხვა ქვეყანაში;
- საქართველოს მოქალაქის მსგავსად ისარგებლოს განათლების უფლებით;
- ისარგებლოს სამედიცინო და სოციალური დახმარებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

---

[41] საქართველოს კანონი ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის შესახებ, იხ. www.matsne.gov.ge

- ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით უცხოელისათვის მინიჭებული უფლებებით, თუ ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ საქართველოს კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

გახსოვდეთ, რომ ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე (თუ ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირს არ აქვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და ასეთი დოკუმენტის მოპოვება შეუძლებელია) გაიცემა „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ" გაეროს 1951 წლის კონვენციის 27-ე და 28-ე მუხლებით განსაზღვრული დროებითი ბინადრობის მოწმობა და სამგზავრო დოკუმენტი.

ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე დროებითი ბინადრობის მოწმობა და სამგზავრო დოკუმენტი გაიცემა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.[42]

ამასთან, სამგზავრო დოკუმენტის ფორმასა და გაცემის წესს ადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ" გაეროს 1951 წლის კონვენციის შესაბამისად. ხოლო ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი ვალდებულია:

- დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა;
- წინასწარ აცნობოს სამინისტროს, რომ სურს ადრე არჩეული საცხოვრებელი ადგილის შეცვლა;
- გაიაროს ყოველწლიური რეგისტრაცია.

6. **ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მქონე პირი** – თუ თქვენ გაქვთ მონიჭებული ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი (სტატუსის მოსაპოვებლად საჭირო პროცედურები გაწერილია ამ გზამკვლევში, იხ. სარჩევი), თქვენზე ვრცელდება კანონით[43] გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

შემდეგ თავებში განვიხილავთ, თუ როგორ მოვიპოვოთ ესა თუ ის სამართლებრივი კავშირი საქართველოს სახელმწიფოსთან (ვიზა, ბინადრობა, მოქალაქეობა და ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი) და მათთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები.

---

[42] ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

[43] საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, იხ. www.matsne.gov.ge



# 4. ვიზა

## *4.1. ზოგადი ინფორმაცია*

საქართველოს ვიზა წარმოადგენს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქარველოში ყოფნის კანონიერ საფუძველს. იმისათვის, რომ მაქსიმალურად გაზარდოთ ვიზის მიღების შესაძლებლობა, დარწმუნდით, რომ სწორად შეარჩიეთ ვიზის სახეობა.[44] კერძოდ, ქვემოთ არსებული თითოეული სვეტიდან უნდა შეარჩიოთ თქვენთვის ყველაზე რელევანტური ერთი სახეობა:

| დანიშნულების მიხედვით: | საქართველოში შემოსვლის სიხშირის მიხედვით: | საქართველოში შემოსვლის ხანგრძლივობის მიხედვით: |
|---|---|---|
| 1. ორდინარული | 1. ერთჯერადი | 1. გრძელვადიანი |
| 2. საიმიგრაციო | 2. მრავალჯერადი | 2. მოკლევადიანი |
| 3. ტრანზიტული | | |
| 4. სპეციალური | | |
| 5. დიპლომატიური | | |

**განვიხილოთ თითოეული მათგანი, რათა სწორად შეარჩიოთ ვიზის სახეობა.**

### დანიშნულების მიხედვით:

#### *ორდინარული ვიზა*

თქვენ გესაჭიროებათ ორდინარული ვიზა ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში:

**C1 კატეგორიის** – თუ ტურისტული მიზნით მოემგზავრებით საქართველოში;

**C2 კატეგორიის** – თუ ნათესავებისა და მეგობრების მოსანახულებლად მოემგზარებით საქართველოში;

**C3 კატეგორიის** – თუ საქართველოში მოემგზავრებით:

[44] საქართველოს მთავრობის დადგენილება #280, 2015 წლის 23 ივნისი „საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესის დამტკიცების თაობაზე“.

- √ საქმიანი შეხვედრებისა და მოლაპარაკებების გასამართავად;
- √ სამეცნიერო სემინარის, კონფერენციის, სხვა სამეცნიერო კვლევითი, პედაგოგიური ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად;
- √ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად;
- √ ჟურნალისტური საქმიანობის განსახორციელებლად;
- √ თუ ბრძანდებით საქართველოს ნავსადგურში მდგომი გემის ეკიპაჟის წევრი, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული არ არის უვიზო მიმოსვლა;
- √ თუ ბრძანდებით საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვის/სამგზავრო გადაყვანის დროს სატვირთო/სამგზავრო ავტომანქანის ძირითადი ან დამატებითი მძღოლი.

**C4 კატეგორიის** – თუ საქართველოში მოემგზავრებით:

- √ სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი მდგომარეობის არსებობისას, ჰუმანიტარული დახმარების მისაღებად ან გასაწევად;
- √ საქველმოქმედოდ;
- √ თუ ბრძანდებით საქართველოს მოქალაქის მეურვე ან მზრუნველი;
- √ თუ ბრძანდებით საქართველოს მოქალაქის მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი;
- √ თუ მოემგზავრებითსაქართველოში სამკურნალოდ;
- √ თუ მოემგზავრებით საქართველოში ნათესავების და ახლობლების საფლავების მოსანახულებლად;
- √ თუ მოემგზავრებით საქართველოში წმინდა ადგილების მოსალოცად და რელიგიური კონტაქტების დასამყარებლად.

### *საიმიგრაციო ვიზა:*

თქვენ გესაჭიროებათ საიმიგრაციო ვიზა ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში:

**D1 კატეგორიის** – თუ საქართველოში მოემგზავრებით:

- √ სამუშაოდ;
- √ თუ ბრძანდებით კომპანიისა ან ფირმის წარმომადგენელი ან კონსულტანტი, რომელიც საქართველოში მოემგზავრება სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად;

√ თუ ბრძანდებით უცხოელი და მოემგზავრებით საქართველოში სამუშაო, გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე;

√ თუ მოემგზავრებით სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად.

**D2 კატეგორიის** – თუ საქართველოში მოემგზავრებით:

√ მეცნიერული მისიით;

√ სპორტული მისიით;

√ კულტურული მისიით;

√ საგანმანათლებლო მისიით;

√ თუ ბრძანდებით თავისუფალი პროფესიის ადამიანი;

√ თუ მოემგზავრებით საქართველოში სტაჟირების გასავლელად ან მოხალისედ;

√ თუ ბრძანდებით მედიის თანამშრომელი, რომელიც საქართველოში მოემგზავრება სამუშაოს შესასრულებლად.

**D3 კატეგორიის** – თუ საქართველოში მოემგზავრებით:

√ სასწავლებლად ან კვლევის ჩასატარებლად საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან მის ბაზაზე;

√ საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში საქართველოში სასწავლებლად.

**D4 კატეგორიის** – თუ საქართველოში მოემგზავრებით ოჯახის გაერთიანების მიზნით.

**D5 კატეგორიის** – თუ საქართველოს ტერიტორიაზე გაქვთ საკუთრება უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 35 000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს[45] ან თუ ბრძანდებით საკუთრების მქონე პირის ოჯახის წევრი.

**ტრანზიტული ვიზა** გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს გავლით აპირებთ შესვლას სხვა სახელმწიფოში; ასეთ შემთხვევაში, ვიზა გაიცემა 10 დღის ვადით.

---

[45] უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებას ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული ორგანოს სერტიფიცირებული შემფასებელი.

### საქართველოში შემოსვლის ხანგრძლივობისა და სიხშირის მიხედვით:

#### *ერთჯერადი მოკლევადიანი ვიზა*

ერთჯერადი მოკლევადიანი ვიზა შეიძლება გაიცეს თქვენ მიერ სავიზო განაცხადში მოთხოვნილი დღეების მიხედვით, მაგრამ, არა უმეტეს, 30 დღისა.

#### *მრავალჯერადი მოკლევადიანი ვიზა*

მრავალჯერადი მოკლევადიანი ვიზა შეიძლება გაიცეს, არა უმეტეს, 5 წლის მოქმედების ვადით. ამასთან, მიაქციეთ ყურადღება, რომ ასეთი ვიზის ფლობის შემთხვევაში, **თქვენი საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 90 კალენდარულ დღეს ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში.**

მრავალჯერადი მოკლევადიანი ვიზა გაიცემა თქვენზე მხოლოდ მაშინ, თუ წინა წლის განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ერთხელ მაინც იმყოფებოდით საქართველოში და, თუ გაქვთ საკმარისი საფუძველი მრავალჯერადი მოკლევადიანი ვიზის მისაღებად (დეტალურად იხ. ქვემოთ).

#### *მრავალჯერადი გრძელვადიანი ვიზა*

გრძელვადიანი ვიზა გაიცემა მრავალჯერადი შესვლის უფლებით, 90 კალენდარული დღის ან 1 წლის მოქმედებისა და საქართველოში ყოფნის ვადით. გრძელვადიანი ვიზა 1 წლის მოქმედების ვადით გაიცემა მხოლოდ D5 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზის გაცემის შემთხვევაში. გრძელვადიანი ვიზა დიპლომატიური აკრედიტაციის ან საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღების წინაპირობაა.

### უვიზოდ შემოსვლისა და დარჩენის უფლება:[46]

თქვენ შეგიძლიათ საქართველოში შემოსვლა და დარჩენა ნებისმიერი 90 კალენდარული დღის განმავლობაში, 180-დღიან პერიოდში, თუ საქართველოში შემოსვლისას (საზღვრის გადაკვეთისას) თქვენ გაქვთ მოქმედი ვიზა ან ბინადრობა რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნიდან:

---

[46] საქართველოს მთავრობის დადგენილება #256, 2015 წლის 5 ივნისი „იმ ქვეყნების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა ვიზების ან/და ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელებს შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა შესაბამისი ვადითა და პირობებით".

1 ავსტრალიის თანამეგობრობა
2 ავსტრიის რესპუბლიკა
3 ამერიკის შეერთებული შტატები
4 არაბთა გაერთიანებული საამიროები
5 ახალი ზელანდია
6 ბაჰრეინის სამეფო
7 ბელგიის სამეფო
8 ბულგარეთის რესპუბლიკა
9 გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა
10 დანიის სამეფო
11 დანიის სამეფოს ტერიტორიები – ფარერის კუნძულები და გრენლანდია
12 დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთი ირლანდიის გაერთიანებული სამეფო
13 დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთი ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საზღვარგარეთის ტერიტორიები–ბერმუდის კუნძულები, კაიმანის კუნძულები, ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულები, ფოლკლენდის კუნძულები, ტერკსის და კაიკოსის კუნძულები, გიბრალტარი
14 დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დამოკიდებული ტერიტორიები – ჯერზი, გერნზი, კუნძული მენი
15 ესპანეთის სამეფო
16 ესტონეთის რესპუბლიკა
17 იაპონია
18 ირლანდიის რესპუბლიკა
19 ისლანდია
20 ისრაელის სახელმწიფო
21 იტალიის რესპუბლიკა
22 კანადა
23 კატარის სახელმწიფო
24 კვიპროსის რესპუბლიკა
25 კორეის რესპუბლიკა
26 ლატვიის რესპუბლიკა
27 ლიტვის რესპუბლიკა
28 ლიხტენშტაინის სამთავრო

| | |
|---|---|
| 29 | ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო |
| 30 | მალტის რესპუბლიკა |
| 31 | ნიდერლანდების სამეფო |
| 32 | ნიდერლანდის სამეფოს ტერიტორიები – არუბის და ნიდერლანდის ანტილის კუნძულები |
| 33 | ნორვეგიის სამეფო |
| 34 | ომანის სასულთნო |
| 35 | პოლონეთის რესპუბლიკა |
| 36 | პორტუგალიის რესპუბლიკა |
| 37 | რუმინეთი |
| 38 | საბერძნეთის რესპუბლიკა |
| 39 | საფრანგეთის რესპუბლიკა |
| 40 | საფრანგეთის რესპუბლიკის ტერიტორიები – საფრანგეთის პოლინეზია და ახალი კალედონია |
| 41 | საუდის არაბეთის სამეფო |
| 42 | სლოვაკეთის რესპუბლიკა |
| 43 | სლოვენიის რესპუბლიკა |
| 44 | უნგრეთი |
| 45 | ფინეთის რესპუბლიკა |
| 46 | ქუვეითის სახელმწიფო |
| 47 | შვედეთის სამეფო |
| 48 | შვეიცარიის კონფედერაცია |
| 49 | ჩეხეთის რესპუბლიკა |
| 50 | ხორვატიის რესპუბლიკა |

## *4.2. სად უნდა წარადგინოთ დოკუმენტაცია*

**ვიზის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ:**

1. **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს,** თუ თქვენ ბრძანდებით საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფი უცხოელი და გსურთ საიმიგრაციო ვიზის მიღება.
2. **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს** ოფიციალური სავიზო ელექტრონული პლატფორმით (ვებ-გვერდით) – e-VISA PORTAL-ით სავიზო განაცხადის წარდგენის შეთხვევაში (იხ. https://www.evisa.gov.ge/GeoVisa/).

3. **საზღვარგარეთ[47] საქართველოს ოფიციალურ საკონსულო წარმომადგენლობას,** რომელიც უფლებამოსილია საზღვარგარეთ გასცეს ნებისმიერი კატეგორიის ვიზა.
4. **ახლომდებარე წარმომადგენლობას** – თუ თქვენს ადგილსამყოფელ ქვეყანაში არ არის საქართველოს წარმომადგენლობა, ვიზის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ ახლომდებარე დიპლომატიურ წარმომადგენლობას.[48]
5. **ადგილსამყოფელ ქვეყანაში მდებარე წარმომადგენლობას** – თუ თქვენ იმყოფებით მესამე სახელმწიფოში, თქვენ შეგიძლიათ ვიზის მისაღებად მიმართოთ ადგილსამყოფელ ქვეყანაში მდებარე წარმომადგენლობას, თუ თქვენ გაქვთ ადგილსამყოფელი ქვეყნის მრავალჯერადი შესვლა-გასვლის მოქმედი ვიზა ან მოქმედი ბინადრობის ნებართვა. ამ შემთხვევაში, ადგილსამყოფელი ქვეყნის ვიზის ან ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა 3 თვით უნდა აღემატებოდეს მოთხოვნილი ვიზის მოქმედების ვადას.
6. **სახელმწიფო საზღვარზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს[49]** – არსებულ საერთაშორისო მიმოსვლისთვის გახსნილ სასაზღვრო გამტარ პუნქტში, ინსპექტირების შედეგად. საზღვარზე ვიზის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი კატეგორიის ვიზებისა და შემდეგ შემთხვევებში:
   - გამონაკლის შემთხვევებში, საერთაშორისო სამართლებრივი ან ჰუმანიტარული საფუძვლებიდან ან საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, როდესაც უცხოელი ვერ აკმაყოფილებს ვიზის მისაღებად დადგენილ მოთხოვნებს და პირობებს, უცხოელზე შეიძლება გაიცეს B4 კატეგორიის ერთჯერადი მოკლევადიანი ვიზა, 30 კალენდარული დღის მოქმედების ვადით;
   - C3 კატეგორიის ვიზა – საქართველოს ნავსადგურში მდგომი გემის ეკიპაჟის წევრებზე, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული არ არის გემის ეკიპაჟის უვიზო მიმოსვლა;

[47] საქართველოს მთავრობის დადგენილება #280 – საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესის დამტკიცების თაობაზე, მე-12 მუხლი.

[48] საზღვარგარეთ საქართველოს წარმომადგენლობების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ამავე გზამკვლევში, იხ. სარჩევი.

[49] საქართველოს მთავრობის დადგენილება #280 – საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესის დამტკიცების თაობაზე; მე-13 მუხლი.

- C4 კატეგორიის ვიზა – სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი მდგომარეობის არსებობისას ჰუმანიტარული დახმარების მისაღებად ან გასაწევად საქართველოში მომავალ პირებზე;
- ტრანზიტული ვიზა.

## *4.3. წარსადგენი დოკუმენტაცია ვიზის მისაღებად, ვადები და პროცედურა*

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვიზის მისაღებად უნდა მოამზადოთ შემდეგი დოკუმენტაცია:[50]

**სავიზო განაცხადი**[51] (აღნიშნული განაცხადის ბლანკი ხელმისაწვდომია თავად ვიზის გამცემ ორგანოში);

- ვიზის გაცემის მიზნით უფლებამოსილი პირი ავსებს სამინისტროს ნორმატიული აქტით დადგენილი ფორმის სავიზო განაცხადს, ხოლო სამინისტროს მიერ C კატეგორიის მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემის მიზნით – e-VISA PORTAL-ზე (იხ. https://www.evisa.gov.ge/GeoVisa/) განთავსებულ სავიზო განაცხადს.
- საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ვიზის გასაცემად უფლებამოსილი პირი ავსებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნორმატიული აქტით დამტკიცებული ფორმის სავიზო განაცხადს.
- ვიზის მიღების მსურველი პირის ოჯახის წევრები და სხვა თანმხლები პირები, მიუხედავად ასაკისა, ვიზის მისაღებად ავსებენ და ვიზის გამცემ ორგანოს წარუდგენენ დამოუკიდებელ სავიზო განაცხადს.
- სამინისტროსა და წარმომადგენლობას სავიზო განაცხადი წარედგინება ვიზის მოქმედების ვადის დაწყებამდე, არა უმეტეს, სამი თვით ადრე, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს – საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო გამტარ პუნქტში ინსპექტირებისას.

---

[50] საქართველოს მთავრობის დადგენილება #280 – საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესის დამტკიცების თაობაზე; მე-19 მუხლი.

[51] საქართველოს მთავრობის დადგენილება #280 – საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესის დამტკიცების თაობაზე; 21-ე მუხლი.

- საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საიმიგრაციო ვიზის გასაცემად სამინისტროს სავიზო განაცხადი წარედგინება უცხოელის საქართველოში კანონიერი საფუძვლით ყოფნის ვადის ამოწურვამდე, არა უგვიანეს, 45 დღისა.
- სავიზო განაცხადის წარდგენა შესაძლებელია წინა ვიზის მოქმედების ვადის განმავლობაშიც, მაგრამ მისაღები ვიზის მოქმედების ვადის დაწყებამდე, არა უმეტეს, სამი თვით ადრე.

სავიზო განაცხადი ივსება და ვიზის გამცემ ორგანოს წარედგინება:

- ვიზის მიღების მსურველი სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირის მიერ
- არასრულწლოვანი ან მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირის ერთ-ერთი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ
- მხარდამჭერის მიერ, თუ ვიზის მიღების მსურველი პირი წარმოადგენს მხარდაჭერის მიმღებ პირს
- კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული მინდობილობის მქონე პირის მიერ

**სამგზავრო დოკუმენტი** *(მაგალითად, პასპორტი, პირადობის მოწმობა, დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა)*

ვიზის მისაღებად წარდგენილი სამგზავრო დოკუმენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ვიზის მოქმედების ვადას, არა ნაკლებ, სამი თვით;
- უნდა შეიცავდეს ვიზის ბლანკის დასატანად ვარგის, არა ნაკლებ, ორ თავისუფალ გვერდს, გარდა e-VISA PORTAL-ის (იხ. https://www.evisa.gov.ge/GeoVisa/) მეშვეობით სამგზავრო დოკუმენტისა;
- არ უნდა იყოს დაზიანებული და არ უნდა შეიცავდეს არაოფიციალურ ჩანაწერებს. e-VISA PORTAL-ის (იხ. https://www.evisa.gov.ge/GeoVisa/) მეშვეობით წარდგენილი სამგზავრო დოკუმენტის შემთხვევაში მოწმდება სამგზავრო დოკუმენტის პერსონალურ მონაცემთა გვერდი;
- გაცემული უნდა იყოს წინა 10 წლის განმავლობაში.

**ბაჟის ან მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი** – საგარეო საქმეთა სამინისტროს დადგენილი საკონსულო მოსაკრებლის,[52] ხოლო სამინისტროს მიერ ვიზის გაცემისას/მოქმედების ვადის გაგრძელებისას, ასევე, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ვიზის გაცემისას[53] – დადგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა უცხოელი გათავისუფლებულია საკონსულო მოსაკრებლის/სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;

**წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი**, თუ სავიზო განაცხადის ან ვიზის გასაცემად საჭირო სხვა დოკუმენტის წარდგენა ხდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მეშვეობით;

**ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი**, თუ უცხოელს საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე ყოფნისათვის დაეკისრა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ჯარიმა;

**დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ შემდეგ გარემოებებს:**

- მგზავრობის მიზანს (მაგალითად, თუ მოემგზავრებით ტურისტული მიზნით – ტურისტული სააგენტოს ჯავშანი, თუ მოემგზავრებით საგანმანათლებლო სემინარზე – ორგანიზატორის მოსაწვევი და დასტური ღონისძიების თაობაზე, და ა.შ.);
- მგზავრობისა და საქართველოში ყოფნის ვადის განმავლობაში საკმარისი ფინანსური სახსრების არსებობას (მაგალითად, ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან ან სახელფასო ცნობა);
- სამოგზაურო დაზღვევის ფლობას, ხოლო საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფი პირისთვის ვიზის გაცემის შემთხვევაში – ჯანმრთელობის დაზღვევის ფლობას:[54]
    - √ ვიზის მიღების მსურველი პირი უნდა ფლობდეს საქართველოში ყოფნის პერიოდში მოქმედ სამოგზაურო/ჯანმრთელობის დაზღვევას, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დაფარავს მის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და გარდაცვალებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯს. სამოგზაურო/ჯანმრთელობის დაზღვევა უნდა მოქმედებდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

---

[52] საკონსულო მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონი.

[53] სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონი.

[54] საქართველოს მთავრობის დადგენილება #280 – საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესის დამტკიცების თაობაზე; მუხლი 19.

√ ვიზის მისაღებად განმცხადებელმა უნდა წარადგინოს სამოგზაურო დაზღვევა შემდეგი პირობის დაცვით – გრძელვადიანი ვიზის მისაღებად წარსადგენი სამოგზაურო დაზღვევა მოქმედი უნდა იყოს ვიზის მოქმედების ვადის განმავლობაში;

√ მრავალჯერადი ვიზის შემთხვევაში, მეორე და ყოველი შემდგომი ვიზიტისას სამოგზაურო დაზღვევის ფლობის ფაქტი მოწმდება საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო-გამტარ პუნქტში ინსპექტირებისას. განმცხადებელი სავიზო განაცხადის წარდგენისას ადასტურებს, რომ ინფორმირებულია საქართველოში შემდგომი ვიზიტების პერიოდში სამოგზაურო დაზღვევის ფლობის აუცილებლობის თაობაზე;

√ საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფი პირისთვის ვიზის გაცემის მიზნით წარსადგენი ჯანმრთელობის დაზღვევა მოქმედი უნდა იყოს მისაღები ვიზის მოქმედების ვადის განმავლობაში.

- **უცხოელის მიერ საქართველოში საცხოვრებელი ადგილის არსებობას** (მაგალითად, ქირის ხელშეკრულება, სასტუმროს ჯავშანი, საცხოვრებლის მესაკუთრის წერილობითი თანხმობა, რომ უცხოელი მასთან იცხოვრებს მისი საქართველოში ყოფნის პერიოდში, და ა.შ.);
- **საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტით გავლისას პირის დანიშნულების ქვეყანაში შესვლის გარანტიებს**, გარდა საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვისას საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე სატვირთო ავტომანქანის ძირითად და დამატებით მძღოლებზე ტრანზიტული ვიზების გაცემის შემთხვევისა.

საქართველოში მგზავრობისა და საქართველოში ყოფნის ვადის განმავლობაში საკმარისი ფინანსური სახსრების მინიმალური რაოდენობა საქართველოს გრძელვადიანი ვიზის გაცემის შემთხვევაში არის სავიზო განაცხადის წარდგენის დღისთვის საქართველოში დადგენილი საარსებო მინიმუმის ხუთმაგი ოდენობა.

√ საქართველოს მოქალაქის, საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე პირის ან საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის მიერ მოწვევა უნდა გაიცეს დამტკიცებული ფორმით.[55] ვიზის გამცემ ორგანოს მოწვევა უნდა წარედგინოს საქართველოში სანოტარო წესით დამოწმებული დედნის სახით, გარ-

[55] იხ. საქართველოს მთავრობის დადგენილება #280 – საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესის დამტკიცების თაობაზე: www.matsne.gov.ge

და იმ შემთხვევისა, როცა შესაძლებელია მოწვევის (მთლიანი დოკუმენტის) და მისი სანოტარო წესით დამოწმების ფაქტის გადამოწმება სსიპ – საქართველოს ნოტარიუსით პალატის ინტერნეტ-გვერდის მეშვეობით. ამ შემთხვევაში ვიზის გამცემ ორგანოს მოწვევა შეიძლება წარედგინოს ასლის სახით. მოწვევის გამცემი პირი მოწვევის გაცემის მომენტში უნდა იმყოფებოდეს საქართველოში.

√ საქართველოს სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობის, საკონსულო დაწესებულებისა და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაცემული მოწვევა უნდა შეიცავდეს განსაზღვრულ სავალდებულო რეკვიზიტებს.[56]

√ მგზავრობის მიზნის, საქართველოში საცხოვრებლის არსებობის და ტრანზიტით გავლის შემთხვევაში – მესამე ქვეყანაში შესვლის გარანტიის დასადასტურებლად, ვიზის მაძიებელმა პირმა უნდა წარადგინოს დადგენილი დოკუმენტაცია.[57]

**გახსოვდეთ, რომ:**

- ვიზის გასაცემად საჭირო დამატებითი ინფორმაციის მოპოვების ან წარდგენილი დოკუმენტების/ინფორმაციის ნამდვილობისა და სისწორის დასადასტურებლად ვიზის გამცემი ორგანო უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები.
- საკონსულო თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვიზის მიღების მსურველ პირს მოსთხოვოს კონკრეტული სახის დოკუმენტის წარდგენა ან ვიზის გაცემის საკითხის გადაწყვეტისას გაითვალისწინოს/მიიღოს კონკრეტული სახის დოკუმენტი.
- განმცხადებელი ვალდებულია, ვიზის გამცემ ორგანოს წარუდგინოს ვიზის გაცემის საკითხის გადასაწყვეტად საჭირო ყველა დოკუმენტი/ინფორმაცია.

[56] იხ. საქართველოს მთავრობის დადგენილება #280 – საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესის დამტკიცების თაობაზე, დანართი #6: www.matsne.gov.ge

[57] იხ. საქართველოს მთავრობის დადგენილება #280 – საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესის დამტკიცების თაობაზე: www.matsne.gov.ge

**გარდა ამისა, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი ზოგადი მოთხოვნები წარსადგენ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით:**[58]

- ვიზის გასაცემად საჭირო დოკუმენტი საგარეო საქმეთა სამინისტროს უნდა წარედგინოს საქართველოს სახელმწიფო ან ინგლისურ ენაზე. სხვა უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებულ ქართულ ან ინგლისურენოვან თარგმანთან ერთად.
- ვიზის გასაცემად საჭირო დოკუმენტი წარმომადგენლობას უნდა წარედგინოს საქართველოს სახელმწიფო ან ინგლისურ ენაზე, ხოლო მოკლევადიანი ვიზის გასაცემად საჭირო დოკუმენტი შეიძლება წარედგინოს წარმომადგენლობის მიერ განსაზღვრულ ნებისმიერ უცხო ენაზე. ამ პუნქტით განსაზღვრულის გარდა, ნებისმიერ სხვა უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტი წარდგენილი უნდა იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებულ ქართულ ან ინგლისურენოვან თარგმანთან ერთად, ხოლო მოკლევადიანი ვიზის შემთხვევაში – შესაძლოა წარდგენილი იქნეს წარმომადგენლობის მიერ განსაზღვრულ ნებისმიერ უცხოენოვან თარგმანთან ერთად.
- სამგზავრო დოკუმენტი, რომელიც შეიცავს პირის პერსონალურ მონაცემებს ლათინური ტრანსლიტერაციით, შეიძლება წარდგენილი იქნეს თარგმანის გარეშე.
- საქართველოს მოკლევადიანი ვიზის გაცემის მიზნებისათვის ვიზის გამცემ ორგანოს დოკუმენტები (გარდა მოწვევისა) წარედგინება ლეგალიზებისა და აპოსტილით დამოწმების გარეშე, დედნებისა და მათი ასლების სახით. დოკუმენტის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში, ვიზის გამცემი ორგანო უფლებამოსილია მოითხოვოს დოკუმენტის ლეგალიზება ან აპოსტილით დამოწმება. დოკუმენტის დედნისა და ასლის ურთიერთშედარების შემდეგ, დოკუმენტის დედანი უბრუნდება განმცხადებელს, ხოლო ასლები რჩება ვიზის გამცემ ორგანოში ან დოკუმენტების მიღებაზე უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანოში. დოკუმენტის ასლზე კეთდება წარწერა დოკუმენტის დედნისა და ასლის იდენტურობის შესახებ, დაისმება საკონსულო დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის/საკონსულო თანამდებობის პირის ხელმოწერა და თარიღი.
- საქართველოს გრძელვადიანი ვიზის გასაცემად ვიზის გამცემ ორგანოს დოკუმენტები წარედგინება ლეგალიზებული ან აპოსტილით და-

[58] საქართველოს მთავრობის დადგენილება #280 – საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესის დამტკიცების თაობაზე; მე-20 მუხლი: www.matsne.gov.ge

მოწმებული დედნების ან ასლების სახით (თუ დოკუმენტი საჭიროებს ლეგალიზებას ან აპოსტილით დამოწმებას). დიპლომატიური და სპეციალური გრძელვადიანი ვიზების გასაცემად ვიზის გამცემ ორგანოს დოკუმენტების დედნები წარედგინება ლეგალიზების/აპოსტილით დამოწმების გარეშე, ხოლო დოკუმენტების ასლების წარდგენისას – ლეგალიზებული/აპოსტილით დამოწმებული ან სანოტარო წესით დამოწმებული.

- მოწვევა შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ან ინგლისურ ენაზე. მოსაწვევი პირის სახელის, გვარისა და სხვა გვარ(ებ)ის მონაცემები უნდა მიეთითოს მხოლოდ ინგლისურ ენაზე, ლათინური ტრანსლიტერაციით.

## სავიზო განაცხადის წარდგენის შემდგომი პროცედურები[59]

მას შემდეგ, რაც თქვენ წარადგენთ სავიზო განაცხადს და საჭირო ყველა დოკუმენტს, ვიზის გამცემი ორგანო დაიწყებს სავიზო განაცხადის დასაშვებობის საკითხის შემოწმებას და შეამოწმებს:

- წარდგენილია თუ არა სავიზო განაცხადი კანონმდებლობით დადგენილი ფორმით;
- წარდგენილია თუ არა სამგზავრო დოკუმენტი და აკმაყოფილებს თუ არა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;
- გადახდილია თუ არა ვიზის გასაცემად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სავიზო მოსაკრებელი/სახელმწიფო ბაჟი, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თუ ვიზის გამცემ ორგანოს არ წარედგინა სავალდებულოდ წარსადგენი რომელიმე დოკუმენტი, სავიზო განაცხადი არ ითვლება დასაშვებად და არ განიხილება. ამ დროს თქვენ კარგავთ თქვენ მიერ გადახდილ სავიზო მოსაკრებელს/სახელმწიფო ბაჟს.

ასეთ შემთხვევაში თქვენ გაქვთ უფლება, მოითხოვოთ წერილობითი დასაბუთებული უარი, რომლის საფუძველზეც შეგიძლიათ უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრება.

თუ სავიზო განაცხადი ჩაითვალა დასაშვებად, თქვენ გამოგეგზავნებათ/გადმოგეცემათ სამახსოვრო ბარათი, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან მტკიცებულებას, თუ მომდევნო ეტაპზე დაგჭირდათ გადაწ-

[59] საქართველოს მთავრობის დადგენილება #280 – საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესის დამტკიცების თაობაზე; 24-ე მუხლი.

ყვეტილების ან ქმედების გასაჩივრება. სამახსოვრო ბარათი არ გაიცემა დიპლომატიური და სპეციალური ვიზების, ასევე, e-VISA PORTAL-ის (იხ. https://www.evisa.gov.ge/GeoVisa/) მეშვეობით წარდგენილი სავიზო განაცხადის საფუძველზე მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის გაცემის შემთხვევაში.

## ვიზასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების ვადები:[60]

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა და საკონსულო დაწესებულება საქართველოს მოკლევადიანი ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ შესაბამისი სავიზო განაცხადის წარდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო საზღვარზე გაცემისას 2 სამუშაო დღის ვადაში.

საქართველოს მოკლევადიანი ელექტრონული ვიზა გაიცემა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური ვებ–გვერდის – e-VISA PORTAL-ის (იხ. https://www.evisa.gov.ge/GeoVisa/)- მეშვეობით სავიზო განაცხადის წარდგენიდან, არა უგვიანეს, 5 სამუშაო დღისა.

მოკლევადიანი საქართველოს ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოკლევადიანი საქართველოს ელექტრონული ვიზა გაიცემა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური ვებ-ვერდის – e-VISA PORTAL-ის (იხ. https://www.evisa.gov.ge/GeoVisa/) მეშვეობით წარდგენილი სავიზო განაცხადის საფუძველზე, შეიძლება გახანგრძლივდეს 30 კალენდარული დღით, თუ საჭიროა სავიზო განაცხადის შემდგომი შემოწმება. მოკლევადიანი საქართველოს ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოკლევადიანი საქართველოს ელექტრონული ვიზა გაიცემა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური ვებ-გვერდის – e-VISA PORTAL-ის (იხ. https://www.evisa.gov.ge/GeoVisa/) მეშვეობით წარდგენილი სავიზო განაცხადის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში შეიძლება შემცირდეს ხუთ სამუშაო დღემდე ან უფრო მოკლე პერიოდამდე.

მოკლევადიანი ელექტრონული ვიზის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური ვებ-გვერდის – e-VISA PORTAL-ის (იხ. https://www.evisa.gov.ge/GeoVisa/) მეშვეობით წარდგენილი სავიზო განაცხადის საფუძველზე გაცემის ვადა ხუთ დღეზე მოკლე პერიოდამდე

[60] უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონი, მე-8 მუხლი.

შეიძლება შემცირდეს, ასევე, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ გადაუდებელ შემთხვევებში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა და საკონსულო დაწესებულება D კატეგორიის (გარდა D5 კატეგორიისა) საიმიგრაციო გრძელვადიანი საქართველოს ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ შესაბამისი სავიზო განაცხადის წარდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. D5 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი სავიზო განაცხადის წარდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

### საქართველოს ვიზის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლებია:[61]

- თუ განმცხადებელს არ აქვს საქართველოში შემოსვლისათვის აუცილებელი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები;
- თუ განმცხადებელს აკრძალული აქვს საქართველოში შემოსვლა ან არ გადაუხდია ჯარიმა, რომელიც დაწესებულია საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე ყოფნისათვის;
- თუ განმცხადებელმა საქართველოს ვიზის მისაღებად ან მისი მოქმედების ვადის გასაგრძელებლად არასრული ან ყალბი მონაცემები ან დოკუმენტები წარადგინა;
- თუ განმცხადებელს არ აქვს ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევა ან საქართველოში ცხოვრებისათვის და უკან დასაბრუნებლად საკმარისი ფინანსური სახსრები;
- თუ საქართველოში უცხოელის ყოფნა საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს, საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მცხოვრები სხვა პირების ჯანმრთელობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას;
- თუ, საგარეო-პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, მიუღებელია მისი საქართველოში ყოფნა;
- თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი ვიზის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ კანონიერი საფუძვლის გარეშე დარჩება საქართველოში;
- თუ იგი არ იძლევა ინფორმაციას ან იძლევა ყალბ ინფორმაციას თავისი პიროვნებისა და მგზავრობის მიზნის შესახებ.

---

[61] უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი.

## 5. ბინადრობა[62]

### *5.1. ზოგადი ინფორმაცია*

ბინადრობის ნებართვა, მსგავსად ვიზისა, წარმოადგენს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოში ყოფნის კანონიერ საფუძველს.

როგორც ვიზის შემთხვევაში, იმისათვის, რომ მაქსიმალურად გაზარდოთ ბინადრობის ნებართვის მიღების შესაძლებლობა, უნდა დარწმუნდეთ, რომ სწორად შეარჩიეთ ბინადრობის ნებართვის სახეობა.[63]

**შემდეგი სახეობის დროებითი ბინადრობის ნებართვები, რომლებიც შეიძლება გაიცეს, არა უმეტეს, 6 წლის ვადით:**

- **შრომითი ბინადრობის ნებართვა,** რომელიც გაიცემა საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად, აგრეთვე თავისუფალი პროფესიის ადამიანზე;
- **სასწავლო ბინადრობის ნებართვა** საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მიზნით;
- **ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვა,** ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელის ოჯახის წევრებზე;
- **სპეციალური ბინადრობის ნებართვა** გაიცემა უცხოელზე, რომლის შესახებაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ იგი შეიძლება იყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლი ან დაზარალებული;
- **მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა 3 წლის ვადით.** მოქალაქეობის არმქონე პირზე, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლით ან, რომელიც 1993 წლის 31 მარტისთვის მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში, საქართველოს მოქალაქედ არ ჩაითვალა და 1993 წლის 31 მარტის შემდეგ არ მოხსნილა საქართველოში მუდმივი რეგისტრაციიდან;
- **საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვა** გაიცემა პირზე, რომელსაც საქართველოში დაუდგინდა მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი.

---

[62] საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, თავი IV.

[63] საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, მუხლი 15-16.

**მუდმივი ბინადრობის ნებართვის სახეობები, რომლებიც გაიცემა მუდმივი ცხოვრების უფლებით:**

- **მუდმივი ცხოვრების ნებართვა** გაიცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, მშობელზე, შვილზე, აგრეთვე უცხოელზე, რომელმაც საქართველოში იცხოვრა ბოლო 6 წლის განმავლობაში;
- **საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა** გაიცემა უცხოელზე, რომელმაც საქართველოში განახორციელა არანაკლებ 300'000 ლარის ოდენობის ინვესტიცია.

დროებითი ბინადრობის ნებართვისა და მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა გრძელდება იმავე პირობით, რომლებითაც ეს ნებართვები გაიცა.

- **დროებითი ბინადრობის ნებართვა,** გაიცემა უცხოელზე, რომელსაც „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს მსხვერპლის სტატუსი.

**მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა, რომელიც შეიძლება გაიცეს 1 წლის ვადით.**

- **მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა** გაიცემა უცხოელზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქვს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე – რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 35'000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში. აღნიშნული მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა წყდება, თუ უცხოელს შეუწყდება შესაბამის უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება.

## *5.2. სად უნდა წარადგინოთ დოკუმენტაცია*[64]

თუ თქვენ საქართველოში კანონიერი საფუძვლით იმყოფებით, ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად შეგიძლიათ მიმართოთ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ასევე, იუსტიციის სახლებს, საზოგადოებრივ ცენტრებს.

[64] საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, მუხლი 14.

## *5.3. წარსადგენი დოკუმენტაცია ბინადრობის ნებართვის მისაღებად, ვადები და პროცედურა*[65]

საქართველოში ბინადრობის ნებართვის მისაღებად უცხოელი განცხადებით მიმართავს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (ასევე იუსტიციის სახლებს ან საზოგადოებრივ ცენტრებს) – პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით.[66]

საქართველოში ბინადრობის ნებართვის მისაღებად არასრულწლოვნის ან ქმედუუნაროდ ცნობილი პირის განცხადებას წარადგენს მისი კანონიერი წარმომადგენელი.

განცხადება და თანდართული დოკუმენტები სააგენტოს შეიძლება წარედგინოს ელექტრონული ფორმით.

განცხადება და თანდართული დოკუმენტები სააგენტოს წარედგინება საქართველოს სახელწიფო ენაზე.

პასპორტი შეიძლება წარედგინოს სააგენტოს ქართულენოვანი თარგმანის გარეშე, თუ იგი შეიცავს უცხოელის პერსონალურ მონაცემებს ლათინური ტრანსლიტერაციით.

**როდის უნდა მიიღოთ პასუხი ბინადრობის გაცემასთან დაკავშირებით?**

თუ თქვენ ბინადრობის ნებართვის მისაღებად და ამ ნებართვის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად მიმართეთ სააგენტოს, განცხადების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარდგენიდან 30 დღეს.

უცხოელი ვალდებულია, საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღებიდან 1 თვის ვადაში აიღოს ბინადრობის მოწმობა.

სააგენტო ვალდებულია აცნობოს უცხოელს განცხადების განხილვის შედეგები ელექტრონული ფორმით.

65 საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, მუხლი 17.

66 მინდობილობის გაფორმის წესი მოცემულია გზამკვლევში, იხ. სარჩევი.

**ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლებია:[67]**

- წარადგინა ყალბი ან იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტაცია.
- შესაბამის განცხადებაში არასწორი მონაცემი მიუთითა ან დამალა მნიშვნელოვანი ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.
- არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად და მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ.
- აღარ არსებობს ის საფუძველი, რომლის გამოც მან მოიპოვა საქართველოში ყოფნის ნებართვა.
- საქმიანობა, რომელსაც ის ეწევა, საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.
- ჩადენილი აქვს დანაშაული მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ.
- იძებნება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის გამო ან მსჯავრდებულია შესაბამისი განცხადების წარდგენამდე ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩადენილი მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულის გამო ან მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის საქმის წარმოების დასრულებამდე.
- დაავადებულია ინფექციური ან სხვა დაავადებით, რომლის ხასიათმა, სიმძიმემ და ხანგრძლივობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას საქართველოს მოსახლეობას.

**ბინადრობის ნებართვაზე უარის შემთხვევაში განმეორებითი განცხადება**

თუ თქვენ უარი გეთქვათ საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, უფლება გაქვთ, იმავე საფუძვლით განმეორებით წარადგინოთ განცხადება პირველ განცხადებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არანაკლებ 1 თვის შემდეგ.

**საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღების შემდგომ სააგენტო გასცემს შესაბამის ბინადრობის მოწმობას.**

---

[67] საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, მუხლი 18



# 6. მოქალაქეობა[68]

## 6.1. ზოგადი ინფორმაცია. ვის უნდა მიმართოთ მოქალაქეობის მისაღებად

### a. რა არის საქართველოს მოქალაქეობა და როგორ მოიპოვება იგი?

საქართველოს მოქალაქეობა არის პირის სამართლებრივი კავშირი საქართველოსთან. იგი მიიღება ორი ძირითადი გზით: დაბადებით ან ნატურალიზაციით. არსებობს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების სპეციალური წესიც.

### b. რომელ ორგანოს უნდა მიართოთ საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად?

საქართველოს მოქალაქეობის დასადგენად და მისანიჭებლად შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურების ცენტრებს ან იუსტიციის სახლის ფილიალებს ან საზღვარგარეთ საკონსულო და დიპლომატიურ დაწესებულებებს, სააგენტოს მომსახურების ცენტრებს.

## 6.2. დაბადებით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება

### 1. ვინ მიიჩნევა დაბადებით საქართველოს მოქალაქედ?

საქართველოს მოქალაქეობას დაბადებით მოიპოვებს 1993 წლის 31 მარტის შემდეგ დაბადებული პირი, თუ:

---

[68] საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი.

საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 10 ივნისის #237 ბრძანებულება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადების, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობის და საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #508 დადგენილება.

- მისი დაბადების მომენტისათვის ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა;
- დაიბადა საქართველოს ტერიტორიაზე ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად (სუროგაციით) და მისი არც ერთი მშობლის მოქალაქეობის ქვეყანა მას საკუთარ მოქალაქედ არ მიიჩნევს;
- დაიბადა საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა შვილია;
- დაიბადა საქართველოს ტერიტორიაზე და ერთ-ერთი მშობელი საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირია, ხოლო მეორე მშობელი უცნობია.

## 6.3. საქართველოს მოქალაქეობის სპეციალური წესით მინიჭება

### a. ვის მიენიჭება საქართველოს მოქალაქეობა სპეციალური წესით?

- 1975 წლის 31 მარტამდე დაბადებული პირები, რომელებიც საქართველოში ცხოვრობდნენ არანაკლებ 5 წლისა (ჯამურად), 1993 წლის 31 მარტისთვის იმყოფებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და არ მიუღიათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;
- 1975 წლის 31 მარტის შემდეგ დაბადებული პირები, რომელებიც 1993 წლის 31 მარტისთვის ცხოვრობდნენ საქართველოშო და არ მიუღიათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;
- საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული პირები, რომლებმაც 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ დატოვეს საქართველოს ტერიტორია და არ მიუღიათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.

### b. რა დოკუმენტებია წარსადგენი საქართველოს მოქალაქეობის სპეციალური წესით მისანიჭებლად?

სპეციალური წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისას დაინტერესებულმა პირმა უფლებამოსილ ორგანოში უნდა წარადგინოს:

- დადგენილი ფორმის განცხადება
- ვინაობის/პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
- დაბადების მოწმობა
- ფოტოსურათი

- საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი
- საქართველოში ჯამურად არანაკლებ 5 წლის ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (პასპორტის, სამხედრო ბილეთის, შრომის წიგნაკის ასლი ან ცნობა სამუშაო ადგილიდან, ან/და იურიდიული ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი)
- რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

√ 1993 წლის 31 მარტისათვის საქართველოში ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (პასპორტის, სამხედრო ბილეთის, შრომის წიგნაკის ასლი ან ცნობა სამუშაო ადგილიდან, ან/და იურიდიული ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი) და დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, პასპორტი, მშობლების საპასპორტო მონაცემები) ასლი

**ან**

√ 1993 წლის 31 მარტისათვის საქართველოში ცხოვრების ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები და საქართველოში დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, პასპორტი, მშობლების საპასპორტო მონაცემები) ასლი

**ან**

√ 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ საქართველოს ტერიტორიის დატოვების ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტების (პასპორტი, სამხედრო ბილეთი, შრომის წიგნაკი, ანდა იურიდიული ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი) ასლები და საქართველოში დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, პასპორტი, მშობლების საპასპორტო მონაცემები) ასლი

**შენიშვნა:** დოკუმენტების წარმოდგენა მატერიალური ფორმით აუცილებელი არ არის, თუ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (იუსტიციის სახლი) მონაცემთა ელექტრონული ბაზა შეიცავს შესაბამის დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას.

## *6.4. ნატურალიზაციით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება*

ნატურალიზაციის სახეებია:

- საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭება
- საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭება
- საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭება
- საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭება

### 6.4.1. საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭება

#### a. რა შემთხვევაშია შესაძლებელი საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭება?

საქართველოს მოქალაქეობა ჩვეულებრივი წესით შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

- კანონიერ საფუძველზე უწყვეტად ცხოვრობს საქართველოში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენის დღემდე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. (შენიშვნა: დაინტერესებული პირი საქართველოში უწყვეტად მცხოვრებად ჩაითვლება, თუ მას წლის განმავლობაში ჯამში 90 დღეზე მეტი ვადით საქართველოს ტერიტორია არ დაუტოვებია. ამ ვადაში არ ითვლება საქართველოს ტერიტორიის ორ წლამდე ვადით დატოვება სწავლის მიზნით და მკურნალობის მიზნით საქართველოს ტერიტორიის დატოვება.)
- დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს სახელმწიფო ენა;
- დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები;
- საქართველოში მუშაობს, ან/და საქართველოში აქვს უძრავი ქონება, ან საქართველოს ტერიტორიაზე ეწევა სამეწარმეო საქმიანობას ან საქართველოს საწარმოში ფლობს წილს ან აქციებს.

#### b. რა დოკუმენტებია წარსადგენი საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მისანიჭებლად?

დაინტერესებულმა პირმა საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მისანიჭებლად უფლებამოსილ ორგანოში მატერიალური ფორმით უნდა წარადგინოს:

- დადგენილი ფორმის განცხადება
- პასპორტი ან მოქალაქეობისა და ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- დაბადების მოწმობა
- ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერ საფუძველზე უწყვეტად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ვიზა, ბინადრობის ნებართვა ან მოწმობა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის დამადასტურებელი თარიღ-დამღა)
- საქართველოში სამუშაო ადგილის ან/და უძრავი ქონების, ან საქართველოს ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობის, ან/და საქართველოს საწარმოში წილის ან აქციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- არასრულწლოვნის ორივე კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია
- 14-დან 18 წლამდე პირის თანხმობა, თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია
- ფოტოსურათი
- მომსახურეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი

**შენიშვნა #1:** დოკუმენტების წარდგენა მატერიალური ფორმით აუცილებელი არ არის, თუ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა შეიცავს შესაბამის დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას.

**შენიშვნა #2:** სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი ჩვეულებრივი წესით მოქალაქეობის მისანიჭებლად გაივლის ტესტირებას დადგენილ ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიის, სამართლის ძირითადი საფუძვლების შესამოწმებლად.

### 6.4.2. საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭება

#### a. რა შემთხვევაშია შესაძლებელი საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭება?

საქართველოს მოქალაქეობას გამარტივებული წესით მოიპოვებენ შემდეგი პირები:

- პირი, რომელიც დაქორწინებულია საქართველოს მოქალაქეზე და კანონიერ საფუძველზე უწყვეტად ცხოვრობს საქართველოში მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენის დღემდე ბოლო 2 წლის განმავლობაში.
- რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირი.[69]

## ხ. რა დოკუმენტებია წარსადგენი საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მისანიჭებლად?

დაინტერესებულმა პირმა საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მისანიჭებლად უფლებამოსილ ორგანოში მატერიალური ფორმით უნდა წარადგინოს:

- დადგენილი ფორმის განცხადება
- პასპორტი ან მოქალაქეობისა და ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- დაბადების მოწმობა
- საქართველოს მოქალაქესთან ქორწინების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო რეპატრიანტის შემთხვევაში, რეპატრიანტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი
- საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო 2 წლის განმავლობაში კანონიერ საფუძველზე უწყვეტად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ვიზა, ბინადრობის ნებართვა ან მოწმობა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის დამადასტურებელი თარიღ-დამღა)
- ფოტოსურათი
- მომსახურეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი

**შენიშვნა #1:** დოკუმენტების წარდგენა მატერიალური ფორმით აუცილებელი არ არის, თუ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა შეიცავს შესაბამის დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას.

**შენიშვნა #2:** სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი (გარდა რეპატრიანტისა) ჩვეულებრივი წესით მოქალაქეობის მისანიჭებლად გაივლის ტესტირებას დადგენილ ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიის, სამართლის ძირითადი საფუძვლების შესამოწმებლად.

---

[69] ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებული პირი.

**შენიშვნა #3:** საქართველოს პრეზიდენტის მიერ რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირისთვის საქართველოს მოქალაქეობის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილება ძალაშია გამოცემიდან 2 (ორი) წლის ვადაში. ბრძანებულება ძალადაკარგულად ითვლება აღნიშნულ ვადაში არასაპატიო მიზეზით სხვა ქვეყნის მოქალაქეობიდან გასვლის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

### 6.4.3. საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭება

#### a. რა შემთხვევაშია შესაძლებელი საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭება?

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან, რომლისთვისაც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

#### b. რა დოკუმენტებია წარსადგენი საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მისანიჭებლად?

დაინტერესებულმა პირმა საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მოქალაქეობის მისანიჭებლად უფლებამოსილ ორგანოში მატერიალური ფორმით უნდა წარადგინოს:

- დადგენილი ფორმის განცხადება
- პასპორტი ან მოქალაქეობისა და ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- დაბადების მოწმობა
- საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის არანაკლებ 2 რეკომენდაცია სხვა ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ
- არასრულწლოვნის ორივე კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია
- 14-დან 18 წლამდე პირის თანხმობა, თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია
- ფოტოსურათი
- მომსახურეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი

**შენიშვნა:** დოკუმენტების წარმოდგენა მატერიალური ფორმით აუცილებელი არ არის, თუ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა შეიცავს შესაბამის დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას.

### 6.4.4. საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭება

#### a. რა შემთხვევაშია შესაძლებელი საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭება?

საქართველოს მოქალაქეობა აღდგენის წესით მიენიჭება პირს, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა:

- არამართლზომიერად
- საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლით
- მშობლის/მშობლების არჩევანის შედეგად

**შენიშვნა:** პირს, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა მშობლის/მშობლების არჩევანის შედეგად შეუწყდა, საქართველოს მოქალაქეობა აღდგენის წესით მიენიჭება მხოლოდ მის მიერ სრულწლოვანების მიღწევისას.

#### b. რა დოკუმენტებია წარსადგენი საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მისანიჭებლად?

აღდგენის წესით საქართველოს მოქალაქეობის მისანიჭებლად დაინტერესებულმა პირმა უფლებამოსილ ორგანოში მატერიალური ფორმით უნდა წარადგინოს:

- დადგენილი ფორმის განცხადება
- პასპორტი ან მოქალაქეობისა და ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- დაბადების მოწმობა
- იმ დოკუმენტების ასლები, რომლებითაც დასტურდება, რომ დაინტერესებული პირი კანონის შესაბამისად ითვლებოდა საქართველოს მოქალაქედ
- არასრულწლოვნის ორივე კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია
- 14-იდან 18 წლამდე პირის თანხმობა, თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია
- ფოტოსურათი

- მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი
- აღდგენის წესით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების საფუძვლების გათვალისწინებით ერთ-ერთი დოკუმენტი: ა) საქართველოს მოქალაქეობის არამართლზომიერად შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტი; ბ) საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის დამადასტურებელი დოკუმენტი; გ) მშობლების არჩევნის შედეგად მოქალაქეობის შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტი

**შენიშვნა #1:** დოკუმენტების წარდგენა მატერიალური ფორმით აუცილებელი არ არის, თუ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა შეიცავს შესაბამის დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას.

**შენიშვნა #2:** სრულწლოვან ქმედუნარიან დაინტერესებულ პირს (გარდა იმ პირისა, რომელსაც მოქალაქეობა შეუწყდა არამართლზომიერად) აღდგენის წესით საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭება, თუ მან დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს სახელმწიფო ენა.

## *6.5. საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის პროცედურები*

### 6.5.1. ზოგადი ინფორმაცია

#### a. რა არის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძველი?

საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძვლებია საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა და საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა.

#### b. ვინ წარადგენს განცხადებას საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის (გასვლა/დაკარგვა) შესახებ?

საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ განცხადება უფლებამოსილ ორგანოში შეიძლება წარადგინოს:

- სრულწლოვანმა ქმედუნარიანმა პირმა პირადად
- არასრულწლოვანი პირის კანონიერმა წარმომადგენელმა, გარდა 16-იდან 18 წლამდე რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირისა
- 16-იდან 18 წლამდე რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფმა პირმა
- დაინტერესებული პირის წარმომადგენელმა სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე
- მხარდაჭერის მიმღები პირის მხარდამჭერმა

**შენიშვნა:** საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის ერთ-ერთი საფუძვლის აღმოჩენის შემთხვევაში კომპეტენტური ორგანოები სააგენტოს მიმართავენ წარდგინებით, პირისათვის საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საქმისწარმოების დაწყების შესახებ.

### c. რომელ ორგანოს წარედგინება განცხადება საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის (გასვლა/დაკარგვა) შესახებ?

დაინტერესებულმა პირმა განცხადება საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე შეიძლება წარადგინოს:

- იუსტიციის სახლის ან სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურში
- საზღვარგარეთ, საკონსულო დაწესებულებაში ან დიპლომატიურ წარმომადგენლობაში

## 6.5.2. საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა.

### a. ვის აქვს უფლება გავიდეს საქართველოს მოქალაქეობიდან?

საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს გავიდეს საქართველოს მოქალაქეობიდან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ: მას შეუსრულებელი აქვს საქართველოს წინაშე სამხედრო[70] ან სხვა ვალდებულება, ანდა იგი ბრალდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ან არსებობს მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება.

### b. რა დოკუმენტებია წარსადგენი საქართველოს მოქალაქეობიდან გასასვლელად?

საქართველოს მოქალაქეობიდან გასასავლელად დაინტერესებული პირი მატერიალური ფორმით უფლებამოსილ ორგანოს წარუდგენს:

- დადგენილი ფორმის განცხადებას
- საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტს
- სამხედრო ბილეთის ასლს ან ცნობას სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების, სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან ან სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ – თუ დაინ-

[70] „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, სამხედრო ვალდებულად ითვლება 18-იდან 27 წლამდე მამრობითი სქესის საქართველოს მოქალაქე.

ტერესებული პირი არის 18-იდან 27 წლამდე ასაკის მამრობითი სქესის საქართველოს მოქალაქე

- არასრულწლოვნის ორივე კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია
- 14-იდან 18 წლამდე პირის თანხმობა, თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია
- ფოტოსურათს
- მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარს

**შენიშვნა:** დოკუმენტების წარდგენა მატერიალური ფორმით აუცილებელი არ არის, თუ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა შეიცავს შესაბამის დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას.

### 6.5.3. საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა

#### a. რა შემთხვევაში დაკარგავს საქართველოს მოქალაქე მოქალაქეობას?

საქართველოს მოქალაქე დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას, თუ:

- საქართველოს კომპეტენტური ორგანოების ნებართვის გარეშე შევა სხვა ქვეყნის სამხედრო სამსახურში, პოლიციის ან უშიშროების სამსახურში
- საქართველოს მოქალაქეობას მოიპოვებს ყალბი დოკუმენტების წარდგენის გზით
- მიიღებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას

#### b. რა დოკუმენტებია წარსადგენი საქართველოს მოქალაქეობის დასაკარგად?

საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვით დაინტერესებული პირის მიერ უფლებამოსილ ორგანოში წარდგენილ განცხადებას უნდა დაერთოს:

- საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ფოტოსურათი
- მომსახურეობის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დაჩქარებული წესით მომსახურებისას)
- მოქალაქეობის დაკარგვის საფუძვლების გათვალისწინებით ერთ-ერთი საფუძველი: ა) უცხო სახელმწიფოს პოლიციის, სამხედრო ან

უშიშროების სამსახურებში საქართველოს კომპეტენტური ორგანოების უნებართვოდ შესვლის დამადასტურებელი დოკუმენტი; ბ) ყალბი დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი; გ) სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი

**შენიშვნა:** დოკუმენტების წარდგენა მატერიალური ფორმით აუცილებელი არ არის, თუ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა შეიცავს შესაბამის დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას.

## 7. საქართველოს მოქალაქის პასპორტის მიღების პროცედურები[71]

### a. რა არის საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტი?

პასპორტი არის პირადობისა და მოქალაქეობის დამადასტურებელი სამგზავრო დოკუმენტი, რომელიც მოქმედებს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ და შეიცავს ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელს, რომელზეც დატანილია პასპორტის მფლობელი პირის პერსონალური მონაცემები – ბიომეტრიული ფოტოსურათი, ხელმოწერა და თითის ანაბეჭდები.

---

[71] საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ საქართველოს კანონი

საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის #98 ბრძანება;

საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი;

სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი;

საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 10 ივნისის #237 ბრძანებულება;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადების, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობების და საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #508 დადგენილება.

### b. რა ასაკიდან გაიცემა საქართველოს მოქალაქის პასპორტი?

პასპორტი გაიცემა ნებისმიერი ასაკის საქართველოს მოქალაქეზე.

### c. ვინ შეიძლება მიმართოს საქართველოს მოქალაქის პასპორტის მისაღებად?

პასპორტის მიღების მოთხოვნით განცხადებას წარადგენს:

- დაინტერესებული სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი პირადად
- არასრულწლოვანი (18 წლამდე) პირის კანონიერი წარმომადგენელი (მშობელი, მეურვე ან მზრუნველი) გარდა 16-იდან 18 წლამდე რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირისა
- არასრულწოვანი პირი 14 წლის ასაკიდან, თუ მასზე გაცემულია პირადობის მოწმობა
- სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობის მქონე პირი, თუ დაინტერესებული საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირი პასპორტზე განცხადების წარდგენის მომენტისათვის იმყოფება საზღვარგარეთ და მასზე გაცემულია პასპორტი ბიომეტრიული მონაცემებით და ახალი პასპორტის გასაცემად ბიომეტრიული მონაცემების ხელმეორედ გამოყენება შესაძლებელია

### d. სად არის შესაძლებელი საქართველოს მოქალაქის პასპორტის მიღება?

საქართველოს მოქალაქის პასპორტის მიღება შესაძლებელია:

- იუსტიციის სახლის ფილიალებში
- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში
- საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებში

**შენიშვნა:** საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში მიღებული აქვს პასპორტი ბიომეტრიული მონაცემებით, შეუძლია მიიღოს საქართველოს მოქალაქის პასპორტი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდზე http://sda.gov.ge/?page_id=4118 ელექტრონული განაცხადის შევსების გზით ან მინდობილი პირის მეშვეობით, სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე. თუ საქართველოს მოქალაქეს არ აქვს მიღებული პასპორტი ბიომეტრიული მონაცემებით, პირადად უნდა მიმართოს საზ-

ღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას.

### e. რა დოკუმენტებია წარსადგენი საქართველოს მოქალაქის პასპორტის მისაღებად?

ბიომეტრიული პასპორტის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უფლებამოსილ სამსახურში მატერიალური ფორმით უნდა წარადგინოს:

**სრულწლოვნის შემთხვევაში:**

- პირადობის მოწმობა
- ბიომეტრიული ფოტოსურათი
- მომსახურეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი

**არასრულწლოვნის შემთხვევაში:**

- არასრულწლოვანი პირის დაბადების მოწმობა
- 14 წელს მიღწეული არასრულწლოვანის შემთხვევაში – პირადობის მოწმობა
- 16 წლამდე არასრულწლოვანი პირის ორივე კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა
- 16-იდან 18-წლამდე არასრულწლოვანი პირის პასპორტის გასაცემად საკმარისია ერთ-ერთი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირი იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში.

**შენიშვნა:** დოკუმენტების წარმოდგენა მატერიალური ფორმით აუცილებელი არ არის, თუ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა შეიცავს შესაბამის დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას.

### f. რა ვადით გაიცემა საქართველოს მოქალაქის პასპორტი?

ბიომეტრიული პასპორტის მოქმედების ვადაა 10 წელი, ხოლო 18 წლამდე პირზე გაცემული ბიომეტრიული პასპორტისა – 3 წელი.

## 8. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის გაცემის პროცედურები[72]

### a. რა არის საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა?

საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა არის საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი ძირითადი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის საქართველოს მოქალაქეობას, მის ვინაობას და საცხოვრებელ ადგილს.

### b. რა ასაკიდან გაიცემა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა?

საქართველოს მოქალაქე ვალდებულია 14 წლის ასაკის მიღწევიდან 6 თვის ვადაში აიღოს პირადობის ელექტრონული მოწმობა, ხოლო კანონიერი წარმომადგენლის სურვილის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობის დამზადება შესაძლებელია 14 წლამდე ასაკის პირებზეც.

### c. ვინ შეიძლება მიმართოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მისაღებად?

პირადობის ელექტრონული მოწმობის მისაღებად განმცხადებელი შეიძლება იყოს:

- სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი
- 14 წელს მიღწეული არასრულწლოვანი

---

[72] საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ საქართველოს კანონი;

საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის #98 ბრძანება;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადების, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობების და საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #508 დადგენილება.

- არასრულწლოვანი პირის (18 წლამდე) კანონიერი წარმომადგენელი (მშობელი, მხარდამჭერი ან მზრუნველი), გარდა 16-დან 18 წლამდე რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირისა
- მხარდაჭერის მიმღები პირის მხარდამჭერი

### d. სად არის შესაძლებელი საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მიღება?

პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მიღება შესაძლებელია:

- იუსტიციის სახლის ფილიალებში
- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში
- საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებებში

### e. რა დოკუმენტებია წარსადგენი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მისაღებად?

პირადობის მოწმობის მიღებისთვის დაინტერესებულმა პირმა უფლებამოსილ სამსახურში მატერიალური ფორმით უნდა წარადგინოს:

- დადგენილი ფორმის განცხადება, რომელსაც ავსებს ადგილზე
- ბიომეტრიული ფოტოსურათი
- დაბადების მოწმობა
- მომსახურეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი

**შენიშვნა #1:** დოკუმენტების წარმოდგენა მატერიალური ფორმით აუცილებელი არ არის, თუ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა შეიცავს შესაბამის დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას.

**შენიშვნა #2:** თუ პირადობის ელექტრონული მოწმობის გაცემასთან ერთად მოთხოვნილია პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მისამართზე რეგისტრაცია, დაინტერესებული პირის მიერ დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს პირის მისამართზე რეგისტრაციისთვის აუცილებელი ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი: ა) ბინის მესაკუთრის მიერ შევსებული თანხმობა; ბ) საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი; გ) დოკუმენტის მფლობელი პირის ბოლო ერთი თვის განმავლობაში

კონკრეტულ მისამართზე ცხოვრების ფაქტის თაობაზე ორი სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირის წერილობითი დასტური, რომელიც გამოხატული უნდა იქნეს განაცხადის მიღებაზე უფლებამოსილი თანამშრომლის წინაშე.

### f. რა ვადით გაიცემა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა?

საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა 18 წლამდე პირზე გაიცემა 4 წლის ვადით, 18 წელს მიღწეულ პირზე – 10 წლის ვადით.

## 9. თანამემამულის სტატუსი[73]

### *9.1. ზოგადი ინფორმაცია*

თანამემამულის სტატუსი წარმოადგენს უცხო სახელმწიფოს მოქალაქის საქართველოსთან სამართლებრივ კავშირს, რითაც მას გარკვეული პრივილეგიები ენიჭება.[74]

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მისაღებად, პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:[75]

- არის სრულწლოვანი პირი;
- არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც ხანგრძლივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში;
- არის სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, რომელსაც აქვს საქართველოდან წარმომავლობა ან/და, რომლის მშობლიური ენა მიეკუთვნება ქართველურ-კავკასიურ ენებს.

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელი პირის საქართველოდან წარმომავლობა ან/და მისი მშობლიური ენის ქართველურ-კავკასიური ენებისადმი კუთვნილება დასტურდება შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული სათანადო დასკვნით. შესაბამისი სახელმწიფო ორგანო უფლებამოსილია, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელი პირის საქართველოდან წარმო-

---

[73] უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონი.

[74] თანამემამულის პრივილეგიები იხ. ამავე გზამკვლევში: „პირის უფლებები საქართველოსთან სხვადასხვა სამართლებრივი კავშირის მიხედვით“.

[75] უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 4.

მავლობის ან/და დადასტურების მიზნით გამოიყენოს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მაძიებელი პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ან მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს მის საქართველოდან წარმომავლობას ან/და მისი მშობლიური ენის ქართველურ-კავკასიური ენებისადმი კუთვნილებას, ასევე, აღნიშნული პირის მიერ წარმოდგენილ იმ მოწმეთა ჩანაწერები, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან ან/და იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელიც დაინტერესებულია უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან დაკავშირებული საკითხებით.

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსი არასრულწლოვან პირს მიენიჭება ერთ-ერთი მშობლის განცხადების საფუძველზე.

## *9.2. სად უნდა წარადგინოთ დოკუმენტაცია*[76]

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მისაღებად უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელი პირი განცხადებას პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით წარუდგენს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. უცხოეთში მყოფ პირს შეუძლია განცხადება წარუდგინოს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას, რომელიც განცხადებას შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში გადაუგზავნის სააგენტოს.[77]

## *9.3. წარსადგენი დოკუმენტაცია თანამემამულის სტატუსის მისაღებად, ვადები და პროცედურა*[78]

### a. განცხადების წარდგენა:

- განცხადება თანამემამულის სტატუსის მისაღებად შესაძლებელია წარდგენილ იქნეს ელექტრონული ფორმით. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინტერნეტ-გვერდზე განთავსებულია განცხადების ფორმები რომლებიც უნდა შეივსოს;

[76] უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.

[77] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

[78] უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6

- განცხადების ფორმა ივსება ქართულ ან/და ინგლისურ ენაზე (ენებზე);
- თუ სააგენტო დაადგენს, რომ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელი პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტები არასრულია, მას განესაზღვრება გონივრული ვადა აღმოჩენილი ხარვეზის გამოსასწორებლად. სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში დოკუმენტის წარუდგენლობის შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია, განცხადება განუხილველად დატოვოს.

## b. შემდგომ ეტაპზე სააგენტო:

- 10 დღის ვადაში უგზავნის საქმის მასალებს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს, რათა დადგინდეს: 1. სტატუსის მაძიებლის საქართველოდან წარმომავლობა ან ქართულ-კავკასიური ენებისადმი კუთვნილება; 2. პირისათვის სტატუსის მინიჭების მიზანშეწონილობა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური);
- 2 თვის ვადაში აღნიშნული ორგანოები შესაბამის დასკვნებს უგზავნიან სააგენტოს;
- სტატუსის მაძიებლის მიერ განცხადების მიღებიდან 80 დღის ვადაში, თუ არ არსებობს პირზე უარის თქმის საფუძვლები, სააგენტო პირს ანიჭებს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსს;
- მოთხოვნის შემთხვევაში სააგენტო სტატუსის მაძიებელ პირზე გასცემს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტს – უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობას.

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მიღების უფლება ვრცელდება უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელი პირის ახლო ნათესავებზე. მათზე არ ვრცელდება საქართველოდან წარმომავლობის ან/და მათი მშობლიური ენის ქართველურ-კავკასიური ენებისადმი კუთვნილების დადასტურების ვალდებულება.

სააგენტო უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელ პირთან ურთიერთობს სააგენტოს ინტერნეტ-გვერდზე შესაბამისი შეტყობინების გამოქვეყნებით. სააგენტოსთვის განცხადების წარდგენისას პირი უფლებამოსილია მიუთითოს სააგენტოსთან კომუნიკაციის დამატებითი ფორმა – ელექტრონული ფოსტა. თუ ელექტრონული ფოსტა არის მითითებული პირთან კომუნიკაცია მიმდინარეობს სააგენტოს ინტერნეტ-გვერდისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

### c. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობა[79]

#### მოწმობის ვადა

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობა 20 წლამდე ასაკის პირზე გაიცემა 3 წლის ვადით. 20-იდან 65 წლამდე ასაკის პირზე – 10 წლის ვადით, ხოლო 65 წელზე მეტი ასაკის პირზე – უვადოდ. როცა უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობის მოქმედების ვადა გადის, პირი სააგენტოს მიმართავს ახალი მოწმობის გაცემის მოთხოვნით.

#### მოწმობის შეცვლა

სახელის, გვარის ან მოქალაქეობის შეცვლისას, აგრეთვე, ჩანაწერში უზუსტობის დადგენისას უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობის მფლობელი ვალდებულია, ამის შესახებ 30 დღის განმავლობაში აცნობოს სააგენტოს ან შესაბამის სახელმწიფო ორგანოს. ასეთ შემთხვევაში პირზე გაიცემა ახალი მოწმობა.

პირი უფლებამოსილია შეცვალოს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობა შემდეგ შემთხვევებში:

- მოწმობის მოქმედების ვადის გასვლისას
- გამოყენებისთის უვარგისობისას (გაცვეთა, დაზიანება) ან დაკარგვისას

#### მოწმობის ძალის დაკარგვა

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობა ძალას კარგავს.

### d. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლები[80]

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლებია:

- კომპეტენტური ორგანოს დასკვნა, რომ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელ პირს ჩადენილი აქვს საქართველოს ინტერესების საზიანო ქმედება; საქართველოს შინაგან საქმე-

---

[79] უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.

[80] უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 9

თა სამინისტროს ან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნა იმის შესახებ, რომ მაძიებელი პირისათვის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭება მიზანშეუწონელიასახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით;

- პირის მიერ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მისაღებად არასწორი მონაცემების ან ყალბი დოკუმენტების წარდგენა;
- შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ სააგენტოსთვის დასკვნის წარუდგენლობა დადგენილ ვადაში (დასკვნა, რომელიც ეხება პირის კავშირს საქართველოსთან და მის უსაფრთხოებას).

უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში პირს ეცნობება, რომ მას უარი ეთქვა უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭებაზე.

სააგენტო არ არის ვალდებული, დაასაბუთოს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება.

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრდეს სასამართლოში.

# ნაწილი III. სოციალური და პოლიტიკური უფლებები

## 10. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება

### *10.1. ზოგადი ინფორმაცია*



**a. შესავალი**

თუ გსურთ უცხოეთში მიღებული საგანმანათლებლო დოკუმენტის საქართველოში გამოყენება, საჭიროა მისი აღიარება სამშობლოში. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება არის კომპეტენტური ორგანოს მიერ უცხოეთში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხოეთში სწავლის პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარება (ცნობა).[81]

უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მისი შესაბამისობა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებულ შესაბამის კვალიფიკაციასთან.[82] შესაბამისობა სწავლის შედეგებისა და მინიჭებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით შეიძლება დადგინდეს სწავლის პერიოდის განსხვავების მიუხედავად.

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე: www.eqe.ge

**b. აღიარებას ექვემდებარება:**

- ზოგადი განათლება
- პროფესიული განათლება
- უმაღლესი განათლება

[81] უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2

[82] უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 50, პუნქტი 1

**c. საგანმანათლებლო დოკუმენტს წარმოადგენს:**

- საშუალო (სრული) ზოგადი განათლების ატესტატი და მისი დანართი
- საბაზო განათლების ატესტატი და მისი დანართი
- დაწყებითი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (შეფასებათა უწყისი)
- პროფესიული დიპლომი და მისი დანართი, შეფასებათა უწყისი
- უმაღლესი განათლების დიპლომი და მისი დანართი, შეფასებთა უწყისი
- მინიჭებული აკადემიური კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი

## *10.2. სად უნდა წარადგინოთ დოკუმენტაცია*

უცხო ქვეყნის დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობას ადასტურებს და საგანმანათლებლო დოკუმენტში ასახული კვალიფიკაციის შესაბამისობას საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან ადგენს **განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი**[83] (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი).[84]

უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე აბიტურიენტის ან სტუდენტის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტის საფუძველზე იღებს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

**განცხადების წარდგენა შესაძლებელია:**

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში
- განცხადების ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნა მისამართზე – info@eqe.ge;

---

[83] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის ¹89/ნ ბრძანება.

[84] განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონი.

- განცხადების ფოსტის საშუალებით გაგზავნა მისამართზე – (ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. N1)
- განცხადების ფაქსის საშუალებით გაგზავნა მისამართზე -(+995 322) 200 220

## *10.3. წარსადგენი დოკუმენტაცია განათლების აღიარებისთვის, ვადები და პროცედურა*

### a. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისათვის საჭიროა:

1. დადგენილი ფორმით შევსებული **განცხადების წარდგენა.** განცხადების ფორმის მოძიება შესაძლებელია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. N1) ან ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე – www.eqe.ge

   იმ შემთხვევაში, თუ განცხადება უცხო ენაზე ივსება, განმცხადებელმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უნდა წარადგინოს განცხადების სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

2. **საგანმანათლებლო დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის წარდგენა**

   შეიძლება წარდგენილ იქნეს საგანმანათლებლო დოკუმენტი ან მისი ასლი, როგორც აპოსტილით დამოწმებული ან ლეგალიზებული, ისე მის გარეშე.

3. განმცხადებლის **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (ასლის)** წარდგენა. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტია:

   - მოქალაქის პირადობის მოწმობა
   - მოქალაქის პასპორტი

   თუ განმცხადებელი უცხო ქვეყნის მოქალაქეა, მან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უნდა წარადგინოს უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტის ასლის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

   თუ განმცხადებელი არის მშობელი, მან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უნდა წარადგინოს შვილის დაბადების მოწმობის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი.

თუ განმცხადებელი არის მესამე პირი, მან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უნდა წარადგინოს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა).

4. **მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის** წარდგენა.

## 11. საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ლეგალიზაცია/აპოსტილით დამოწმება

### *11.1. ზოგადი ინფორმაცია*

საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტი რომ სხვა ქვეყანაში იქნეს გამოყენებული, საჭიროა მისი **ლეგალიზაცია**[85] ან **აპოსტილით დამოწმებას.**[86]

#### 11.1.1. ლეგალიზაცია

**ლეგალიზებული დოკუმენტი** ექვემდებარება იმ სახელმწიფოებში გამოყენებას, რომლებთანაც საქართველოს არა აქვს დადებული ლეგალიზაციის გამარტივებული პროცედურის ან/და ლეგალიზაციისაგან გათავისუფლების შესახებ საერთაშორისო შეთანხმება.

**ლეგალიზაციას** ექვემდებარება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები, ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში გაცემული დოკუმენტები.

#### 11.1.2. აპოსტილით დამოწმება

**აპოსტილით დამოწმებული დოკუმენტი** ექვემდებარება იმ სახელმწიფოებში გამოყენებას, რომლებიც მიერთებული არიან „უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნის გაუქმების შესახებ" ჰააგის 1961 წლის 5 ოქტომბრის კონვენციას.

[85] დოკუმენტის ლეგალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 14 ივლისის [1]406 ბრძანებულება.

[86] დოკუმენტის აპოსტილით დამოწმების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 14 ივლისის [1]404 ბრძანებულება.

**აპოსტილით დამოწმებას** ექვემდებარება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები, ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში გაცემული დოკუმენტები.

## *11.2. სად უნდა წარადგინოთ დოკუმენტაცია*

### 11.2.1. ლეგალიზაცია

*დოკუმენტის ლეგალიზაცია ხორციელდება ორ ეტაპად:*

1. უფლებამოსილი ორგანო ახდენს დოკუმენტზე არსებული ხელმოწერის ნამდვილობის, ხელმომწერი პირის უფლებამოსილების, ხოლო დოკუმენტის ბეჭდით ან შტამპით დამოწმების შემთხვევაში – მათი ავთენტურობის დამოწმებას.

   უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ლეგალიზაციის პირველი ეტაპის განხორციელებაზე უფლებამოსილი ორგანოა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომ – ცენტრი).

2. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ახდენს პირველ ეტაპზე განხორციელებული ლეგალიზაციის შტამპზე არსებული ხელმოწერის ნამდვილობის, ხელმომწერი პირის უფლებამოსილებისა და ბეჭდის ავთენტურობის დამოწმებას.

### 11.2.2. აპოსტილით დამოწმება

საქართველოში დოკუმენტების **აპოსტილით დამოწმებაზე** უფლებამოსილი ორგანოა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; იგი დამოწმებას ახდენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ორგანოების მიერ გაცემულ დოკუმენტებზე, ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში გაცემულ დოკუმენტებზე.

## *11.3. წარსადგენი დოკუმენტაცია განათლების აღიარებისთვის, ვადები და პროცედურა*

### 11.3.1. ლეგალიზაციისთვის საჭირო პროცედურები

**a. დოკუმენტის ლეგალიზაციისათვის განმცხადებელმა უნდა წარადგინოს:**

1. **დოკუმენტი, რომლის ლეგალიზაციაც უნდა მოხდეს;**

   შესაძლებელია წარდგენილი იყოს როგორც დოკუმენტის დედანი, ისე დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი.

2. **განცხადება** (განცხადების ფორმა ივსება ცენტრში);

3. **განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა** (ასლი);

   უცხოური პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში, განმცხადებელმა უნდა წარადგინოს დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

4. დოკუმენტის ლეგალიზაციის განხორციელებისათვის უფლებამოსილი ორგანოების მიხედვით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული **საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.**

   ქვითრის წარდგენა საჭირო არ არის, თუ მომსახურების საფასური გადახდილია უნაღდო ანგარიშსწორებით და ლეგალიზაციის პირველ ეტაპზე უფლებამოსილ ორგანოს აქვს შესაძლებლობა, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით შეამოწმოს ანგარიშსწორების ფაქტი.

**b. დოკუმენტის ლეგალიზებაზე უარი შეიძლება ითქვას, თუ:**

- დოკუმენტზე ტექსტის ამოკითხვა შეუძლებელია (ძნელად გასარკვევია);
- დოკუმენტები ხელმოწერილია ფანქრით;
- დოკუმენტის ასლები დაუმოწმებელია;
- დოკუმენტებში დაფიქსირებულია დაუმოწმებელი შესწორებები ან შეინიშნება გაყალბების ნიშნები;
- ვერ ხერხდება საჭირო ხელმოწერის, ბეჭდის ან შტამპის ნიმუშის მოძიება ან ვერ დგინდება დოკუმენტებზე არსებული ხელმოწერის

ნამდვილობა, ხელმომწერი პირის უფლებამოსილება და ბეჭდის ან შტამპის ავთენტურობა;

- დოკუმენტზე შეინიშნება მასთან კავშირის არმქონე მინაწერი, ბეჭედი ან შტამპი;
- დოკუმენტი ფორმით ან შინაარსით ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან/და გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ.

### 11.3.2. აპოსტილით დასამოწმებლად საჭირო პროცედურები

#### a. პროცედურები:

დოკუმენტის აპოსტილით დასამოწმებლად განმცხადებელმა უნდა წარადგინოს:

1. **დოკუმენტი, რომელზედაც უნდა დაისვას აპოსტილი;**

   შესაძლებელია წარდგენილი იყოს როგორც დოკუმენტის დედანი, ისე დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი.

2. **განცხადება** (განცხადების ფორმა ივსება ცენტრში);
3. **განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა** (ასლი);

   უცხოური პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში განმცხადებელმა უნდა წარადგინოს დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

4. დოკუმენტის აპოსტილით დამოწმებაზე უფლებამოსილი ორგანოების მიხედვით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ **გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.**

ქვითრის წარდგენა საჭირო არ არის, თუ მომსახურების საფასური გადახდილია უნაღდო ანგარიშსწორებით და ლეგალიზაციის პირველ ეტაპზე უფლებამოსილ ორგანოს აქვს შესაძლებლობა, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით შეამოწმოს ანგარიშსწორების ფაქტი.

**დოკუმენტის აპოსტილით დამოწმებაზე უარი შეიძლება ითქვას, თუ:**

- დოკუმენტზე ტექსტის ამოკითხვა შეუძლებელია (ძნელად გასარკვევია);
- დოკუმენტები ხელმოწერილია ფანქრით;

- დოკუმენტის ასლები დაუმოწმებელია;
- დოკუმენტებში დაფიქსირებულია დაუმოწმებელი შესწორებები ან შეინიშნება გაყალბების ნიშნები;
- ვერ ხერხდება საჭირო ხელმოწერის, ბეჭდის ან შტამპის ნიმუშის მოძიება ან ვერ დგინდება დოკუმენტებზე არსებული ხელმოწერის ნამდვილობა, ხელმომწერი პირის უფლებამოსილება და ბეჭდის ან შტამპის ავთენტიკურობა;
- დოკუმენტზე შეინიშნება მასთან კავშირის არმქონე მინაწერი, ბეჭდი ან შტამპი;
- აშკარაა, რომ დოკუმენტი ფორმით ან შინაარსით ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან/და გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ.

## 12. ხმის მიცემა არჩევნებში საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების მიერ

### *12.1. ზოგადი ინფორმაცია*

18 წლის ასაკს მიღწეულ, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, **მიუხედავად მისი ადგილსამყოფელისა,** აქვს საარჩევნო უფლება და შეუძლია მონაწილეობა მიიღოს **საქართელოს პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნებში.**

არჩევნებში მონაწილეობა უკიდურესად მნიშვნელოვანია, რადგან თითოეული მოქალაქის ხმა განსაზღვრავს იმას, თუ როგორი იქნება სახელმწიფო: **პარლამენტი,** ანუ საკანონმდებლო ხელისუფლება, ქმნის ქვეყნის ყველა სფეროში (ჯანდაცვა, განათლება, შრომა, გარემოს დაცვა, და ა.შ.) მარეგულირებელ კანონმდებლობას, ხოლო **პრეზიდენტი** არის საქართველოს სახლმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი და საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

საზღვარგარეთ იქმნება უბნები, არა ნაკლებ 20 და, არა უმეტეს 3'000 ამომრჩევლისთვის.[87]

საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო უბნების შექმნიდან, არა უგვიანეს, 5 დღისა, ცესკოს (ცენტრალური საარჩევნო კომისიის) ოფიცია-

[87] საქართველოს ორგანული კანონი – საარჩევნო კოდექსი, მუხლი 23, პუნქტები „7“ და „8“.

ლურ ვებ-გვერდზე (http://www.cesko.ge/ge/) აქვეყნებს საარჩევნო უბნების ნომრებს, საუბნო საარჩევნო კომისიების მისამართებს, ტელეფონის (ფაქსის) ნომრებს და სხვა რეკვიზიტებს.

საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეები ხმას აძლევენ ამომრჩეველთა **სპეციალური სიის** მეშვეობით.[88]

იმისათვის, რომ თქვენი მონაცემები შეტანილ იქნეს ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში და გქონდეთ არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, საჭიროა:

- იმყოფებოდეთ საკონსულო აღრიცხვაზე ან:
- თუ არ იმყოფებით საკონსულო აღრიცხვაზე, არჩევნების დღემდე, არა უგვიანეს 21-ე კალენდარული დღისა, გაიაროთ რეგისტრაცია თქვენს ადგილსამყოფელ ქვეყანაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიაში ან საკონსულო დაწესებულებაში.

საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში, არჩევნების დანიშვნიდან არჩევნების დღემდე, არა უგვიანეს 21-ე კალენდარული დღისა, ამომრჩეველი თავისუფლდება საკონსულო აღრიცხვისთვის დაწესებული საკონსულო მოსაკრებლის გადახდისგან.[89]

## *12.2. სად უნდა წარადგინოთ დოკუმენტაცია*[90]

საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების საკონსულო აღრიცხვას აწარმოებენ საკონსულო თანამდებობის პირები, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების საკონსულო ოლქების მიხედვით.

იმ ქვეყანაში, სადაც არ არის აკრედიტებული საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა და საკონსულო დაწესებულება, საკონსულო აღრიცხვას ახორციელებს სამინისტრო (საგარეო საქმეთა სამინისტრო).

საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების საკონსულო აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართ-

---

88 საქართველოს ორგანული კანონი – საარჩევნო კოდექსი, მუხლი 32.

89 საქართველოს ორგანული კანონი – საარჩევნო კოდექსი, მუხლი 32, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ე“.

90 საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანება #241, საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის წესის დამტკიცების შესახებ.

ველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

სააგენტო უფლებამოსილია, საკონსულო აღრიცხვაზე დააყენოს საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეები მათ ადგილსამყოფელ ქვეყანაში აკრედიტებული საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების მითითებით, ყველა სხვა შემთხვევაში – სამინისტროს მითითებით.

## 12.3. წარსადგენი დოკუმენტაცია საზღვარგარეთ ხმის მისაცემად (საკონსულო აღრიცხვაზე დადგომა), ვადები და პროცედურა[91]

### a. ვის შეუძლია დადგეს საკონსულო აღრიცხვაზე?

საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე უფლებამოსილია დადგეს საკონსულო აღრიცხვაზე.

საკონსულო თანამდებობის პირი არასრულწლოვან ან/და მეურვეობის და მზრუნველობის ქვეშ საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს საკონსულო აღრიცხვაზე აყენებს მშობლის, მეურვის, მზრუნველის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

### b. რა დოკუმენტაცია უნდა წარადგინოთ საკონსულო აღრიცხვაზე დასადგომად?

საკონსულო აღრიცხვაზე წარდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები:

- განცხადება-ანკეტა[92]
- თანმხლები უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში მოქმედი პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი
- 3 ფოტოსურათი (ზომა 3X4 სმ). ფოტოსურათის წარმოუდგენლობა არ შეიძლება იყოს საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების უარის თქმის მიზეზი.

---

[91] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანება #241, საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის წესის დამტკიცების შესახებ, მუხლები 4-7.

[92] იხ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანება #241, საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის წესის დამტკიცების შესახებ.

საზღვარგარეთ მყოფმა საქართველოს მოქალაქემ დამატებით უნდა წარადგინოს ადგილსამყოფელ ქვეყანაში მისი სამართლებრივად ყოფნის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ მოქალაქეს აქვს უფლება, ზემოაღნიშნული დოკუმენტის წარუდგენლობა არ შეიძლება გახდეს საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების უარის თქმის მიზეზი.

იმისათვის, რომ საკონსულო აღრიცხვაზე დადგეს, საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქე უფლებამოსილია, საკონსულო თანამდებობის პირს საფოსტო გზავნილის მეშვეობით მიაწოდოს მეურვისა და მზრუნველობის, ასევე, ადგილსამყოფელ ქვეყანაში სამართლებრივად ყოფნის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

სააგენტოს მიერ საკონსულო აღრიცხვაზე დაყენება ხდება საქართველოს მოქალაქის მიერ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით სააგენტოს ინტერნეტ-გვერდზე[93] განთავსებული ელექტრონული ფორმის განცხადება-ანკეტის[94] შევსების საფუძველზე, თუ ელექტრონული კომუნიკაცია იძლევა საშუალებას, განმცხადებლისა და განცხადება-ანკეტის მიღებაზე უფლებამოსილი პირის პირდაპირი ვიზუალური კონტაქტი შედგეს. სააგენტოს მიერ საკონსულო აღრიცხვისას არ მოითხოვება ადგილსამყოფელ ქვეყანაში სამართლებრივად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა. ასევე, არ მოითხოვება ანკეტისა და თანმხლები უცხოელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა.

თუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზიდან, ონლაინ რეჟიმში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სააგენტო ადასტურებს საქართველოს მოქალაქის საქართველოს ფარგლებს გარეთ ყოფნას, მაშინ სააგენტოს შეუძლია საკონსულო აღრიცხვაზე დააყენოს მოქალაქე განმცხადებლისა და განცხადება-ანკეტის მიღებაზე უფლებამოსილი პირის პირდაპირი ვიზუალური კონტაქტის გარეშეც. ამ შემთხვევაში ფოტოსურათის წარდგენა სავალდებულოა.

სააგენტოს მიერ რეგისტრირებულად ჩაითვლება ელექტრონული ფორმით წარდგენილი განცხადება-ანკეტა, თუ ამ უკანასკნელს განმცხადებლი პირდაპირი ვიზუალური კავშირის საშუალებით დაადასტურებს. სააგენტო უზრუნველყოფს ვიზუალური კონტაქტის ამსახველი ყველა ჩანაწერის ელექტრონული ფორმით შენახვას. თუ საკონსულო აღრიცხვაზე აჰყავთ მოქალაქე განმცხადებლისა და განცხადება-ანკეტის მიღებაზე უფლებამოსილი პირის პირდაპირი ვიზუალური კონტაქტის გარეშე, მაშინ განცხადება-ანკეტის რეგისტრა-

93 სააგენტოს ვებ-გვერდი: www.sda.gov.ge

94 იხ. სააგენტოს ელექტრონული ბმული: www.sda.gov.ge/?page_id=5351

ციას ადასტურებს განცხადება-ანკეტის მიღებაზე უფლებამოსილი პირი, აღნიშნულის შესახებ მოქალაქეს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ეგზავნება შეტყობინება.

თუ განმცხადებლის ვინაობასა ან საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებთან დაკავშირებით გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, საგენტოს შესაბამისი თანამდებობის პირი უფლებამოსილია, არ დაარეგისტრიროს საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების თხოვნით შემოსული განცხადება-ანკეტა.

საკონსულო აღრიცხვაზე დასაყენებლად წარმოდგენილი დოკუმენტების სისრულე დგინდება და მოწმდება საკონსულო თანამდებობის პირის მიერ.

იმ ქვეყანაში, სადაც არ არის აკრედიტებული საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა და საკონსულო დაწესებულება, საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქე ელექტრონული საშუალებების ან საფოსტო გზავნილის გამოყენებით წარუდგენს საგარეო საქმეთა სამინისტროს ელექტრონული ფორმის განცხადება-ანკეტას.

### c. დოკუმენტის წარდგენის შემდგომი პროცედურები:[95]

საკონსულო აღრიცხვაზე დასაყენებლად წარდგენილი დოკუმენტების სისრულის დადგენის შემთხვევაში, საკონსულო თანამდებობის პირი ხელის მოწერით და ბეჭდით ადასტურებს განცხადება-ანკეტას, რომელიც შემდგომ დარეგისტრირდება სამინისტროში შემოსული კორესპონდენციისათვის დადგენილი წესით.

საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქის მოთხოვნის შემთხვევაში მასზე გაიცემა საკონსულო აღრიცხვის ბარათი, რომელიც შემდგომ დარეგისტრირდება სამინისტროში გასული კორესპონდენციისათვის დადგენილი წესით.

სააგენტოს მიერ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული ელექტრონული განცხადება-ანკეტის რეგისტრაციის შემდეგ სააგენტოს შესაბამის თანამდებობის პირსა და განმცხადებელს შორის ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით პირდაპირი ვიზუალური კონტაქტის დამყარების შემთხვევაში, განმცხადებელს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ეგზავნება შეტყობინება საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების შესახებ.

---

[95] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანება #241, საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 6.

სააგენტოს მიერ საკონსულო აღრიცხვაზე აყვანილი პირი უფლებამოსილია, საკონსულო აღრიცხვის ბარათის გაცემის მოთხოვნით მიმართოს მის ადგილსამყოფელ ქვეყანაში აკრედიტებულ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას. საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება ვალდებულია, სააგენტოს მიერ საკონსულო აღრიცხვაზე აყვანილ პირზე გასცეს საკონსულო აღრიცხვის ბარათი.

საკონსულო აღრიცხვაზე მყოფ საქართველოს მოქალაქეს, რომელიც შემოვა საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო მიმოსვლისათვის დადგენილ სასაზღვრო გამტარი პუნქტის მეშვეობით, ავტომატურ რეჟიმში შეუჩერდება საკონსულო აღრიცხვა და შესაბამისი აღნიშვნა გაკეთდება სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.

საკონსულო აღრიცხვის შეჩერება გაუქმდება, თუ საქართველოს მოქალაქე დატოვებს საქართველოს ტერიტორიას საერთაშორისო მიმოსვლისათვის დადგენილ სასაზღვრო გამტარი პუნქტის მეშვეობით შემოსვლიდან ექვსი თვის განმავლობაში.

## d. საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნა[96]

საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნას ექვემდებარება:

- საქართველოს გარდაცვლილი მოქალაქე;
- საქართველოს მოქალაქე, რომელიც სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;
- საქართველოს მოქალაქე, რომელმაც შეიცვალა საკონსულო აღრიცხვა;
- საქართველოს მოქალაქე, რომელიც საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის თაობაზე განცხადებით მიმართავს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს;
- საქართველოს მოქალაქე, რომელსაც შეუჩერდა საკონსულო აღრიცხვა და, რომელმაც საერთაშორისო მიმოსვლისთვის დადგენილ სასაზღვრო გამტარი პუნქტის მეშვეობით საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლიდან ექვსი თვის ვადაში არ დატოვა საქართველოს ტერიტორია;
- საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნას ექვემდებარება მოქალაქე, რომელსაც ბოლო 5 წლის განმავლობაში არ მიუმართავს საზღვარგა-

[96] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანება #241, საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 7.

რეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და/ან საკონსულო დაწესებულებებისათვის, საკონსულო აღრიცხვის მონაცემთა განახლების ან სხვა მომსახურების გაწევის მიზნით, აგრეთვე 5 წლის განმავლობაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზის მიხედვით არ უფიქსირდება საქართველოს საზღვრის გადაკვეთა.[97]

**ხმის მიცემის პროცედურა საზღვარგარეთ გახსნილ უბნებზე ისეთივეა, როგორიც საქართველოში. დეტალური ინფორმაცია ხმის მიცემის პროცედურების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ როგორც საიას (www.gyla.ge) და ცესკოს (www.cesko.ge) ვებ-გვერდზე, ასევე, საქართველოს საარჩევნო კოდექსში (მუხლები 64-67), რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: matsne.gov.ge-ზე.**

**დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ საიას გვერდს სოციალურ ქსელში: www.facebook.com/GYLA.ge ან ეწვიეთ საიას ოფიციალურ ვებ-გვერდს: www.gyla.ge.**



## 13. ჯანმრთელობის დაცვის უფასო სახელმწიფო პროგრამები

### *13.1. ზოგადი ინფორმაცია – საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა[98]*

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა მოქმედებს 2013 წლის 28 თებერვლიდან და მისი მიზანია უზრუნველყოს საქართველოში სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობა იმ პირთათვის, რომელთაც არ აქვთ ჯანმრთელობის დაზღვევა.

**საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით შეგიძლიათ ისარგებლოთ,** თუ აკმაყოფილებთ შემდეგ კრიტერიუმებს:

- გაქვთ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, პირადობის ნეიტრალური მოწმობა, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი;

---

[97] საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანება #241, მუხლი 7, ქვეპუნქტი „ვ“.

[98] საქართველოს მთავრობის დადგენილება #36, საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ.

- ხართ საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე ან თავშესაფრის მაძიებელი პირი;
- ხართ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი და არ გაქვთ ჯანმრთელობის დაზღვევა;[99]
- ხართ ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ყოფილი მოსარგებლე.

**დაიმახსოვრეთ!**

**გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად საჭიროა საქართველოში ნებისმიერ პოლიკლინიკაში დარეგისტრირება. საქართველოს მიერ დაფინანსებული გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიღება შესაძლებელია მხოლოდ თქვენი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით საქართველოში.**

### პროგრამით ვერ ისარგებლებთ, თუ:

- 2013 წლის 1 ივლისამდე სარგებლობდით კერძო სადაზღვევო კომპანიის მომსახურებით;

  თუ სარგებლობდით კერძო დაზღვევით 2013 წლის 1 ივლისამდე და შემდგომ ამა თუ იმ მიზეზით შეგიწყდათ სადაზღვევო კონტრაქტი, მაშინ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, თქვენ მიიღებთ მინიმალური პაკეტით გათვალისწინებულ სამედიცინო მომსახურებას. მინიმალური პაკეტი მოიცავს ოჯახის ან უბნის ექიმის მომსახურებას, ასევე, ექთნის მომსახურებას უფასოდ. სრულად დაგიფინანსდებათ სისხლის საერთო და შარდის საერთო ანალიზები, გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება (ლიმიტი ერთეულ შემთხვევაზე – 15 000 ლარი), მშობიარობა (ლიმიტი 500 ლარი) და საკეისრო კვეთა (ლიმიტი 800 ლარი).[100]

---

[99] სამედიცინო მომსახურების პირობებს აღწერს საქართველოს მთავრობის დადგენილება #36, საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ; დანართი #1.4-‘(ვეტერანების პაკეტი): www.matsne.gov.ge

[100] საქართველოს მთავრობის დადგენილება #36, საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ; დანართი #1.2: www.matsne.gov.ge

- ხართ საბიუჯეტო სახსრებით დაზღვეული პირი, ან ბრალდებული/მსჯავრდებული და იმყოფებით პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.[101]

**საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია მიიღოთ შემდეგი სახის სამედიცინო მომსახურება:**

- გეგმური ამბულატორიული მომსახურება
- გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება
- გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება
- გეგმური ქირურგიული ოპერაციები
- ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია და სხივური თერაპია
- მშობიარობა

**საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში ვერ მიიღებთ ისეთ** სამედიცინო მომსახურებებს, როგორებიცაა:

- შესაბამისი წლის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების ფარგლებში დაფინანსებული ჯანდაცვითი პროგრამული მომსახურებები
- სამედიცინო ჩვენებისა და ექიმის დანიშნულების გარეშე მკურნალობა, თვითმკურნალობა
- საზღვარგარეთ გაწეული სამედიცინო მომსახურება
- სანატორიულ-კურორტული მკურნალობა
- ესთეტიკური ქირურგია, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობა
- სექსუალური დარღვევების, უშვილობის მკურნალობა
- ვირუსული ჰეპატიტის სპეციფიკურ ანტივირუსულ მკურნალობა
- თუ სამედიცინო მომსახურების საჭიროება დადგა თვითდაშავების, ტერორისტულ ან კრიმინალურ აქტებში მონაწილეობის ან არალეგალურად მოხმარებული ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად, გარდა გადაუდებელი სტაციონარული ან ამბულატორიული მომსახურების შემთხვევებისა

[101] აღნიშნულ პირთა სამედიცინო მომსახურების პირობებს აღწერს საქართველოს მთავრობის დადგენილება #36, საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ; დანართი #1.1-ით (საბაზისო პაკეტი): www.matsne.gov.ge

- თერაპიული პროფილის გეგმური ჰოსპიტალური მომსახურება
- ორგანოთა ტრანსპლანტაციის, აგრეთვე, ეგზოპროთეზირება

**საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამასთან და პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურებების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე – 1505.**

## *13.2. რეგისტრაცია სამედიცინო მომსახურების მისაღებად*

თუ გსურთ გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიღება, **თქვენ უნდა დარეგისტრირდეთ ნებისმიერ პოლიკლინიკაში – პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაში.** რეგისტრაციისთვის საჭიროა სამედიცინო დაწესებულებაში წარადგინოთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და შეავსოთ მოსარგებლის თანხმობის ფორმა. რეგისტრაციის შეცვლა შესაძლებელია 2 თვეში ერთხელ. **გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიღება შესაძლებელია მხოლოდ პაციენტის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.**[102]

გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მისაღებად არ არსებობს რაიმე შეზღუდვა სამედიცინო დაწესებულების არჩევისას. გადაუდებელი მომსახურების მისაღებად რეგისტრაცია საჭირო არ არის.

თუ გსურთ გეგმური ქირურგიული და ონკოლოგიური მომსახურების მიღება, უნდა მიმართოთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მატერიალიზებული ვაუჩერის/საგარანტიო წერილის მისაღებად.

## *13.3. ჯანმრთელობის დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამები*

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გარდა, შეგიძლიათ ისარგებლოთ ჯანმრთელობის დაცვის შემდეგი სახელმწიფო პროგრამებით[103]:

---

[102] იხ. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ სამედიცინო დაწესებულებათა ჩამონათვალი სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე, შემდეგ ბმულზე: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1149

[103] საქართველოს მთავრობის #650 დადგენილება, 2014 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის #723 დადგენილება.

- **სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა.** პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირებს.
- **ინფექციური დაავადებების მართვის სახელმწიფო პროგრამა.** პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს.
- **ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამა.** პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს, საქართველოში მყოფ ბაქტერიაგამომყოფ (მგბ+) პირებს და პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ პირებს, იდენტიფიკაციის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტის არქონის მიუხედავად.
- **აივ-ინფექცია/შიდსის სახელმწიფო პროგრამა.** პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს და პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ პირებს, იდენტიფიკაციის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტის არქონის მიუხედავად.
- **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა.** პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს.
- **დიაბეტის მართვის სახელმწიფო პროგრამა.** პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს.
- **ნარკომანიის სახელმწიფო პროგრამა.** პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს.
- **დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამა.** პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს, ასევე, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ სხვა პირებს, იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ქონის მიუხედავად.
- **ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის სახელმწიფო პროგრამა.** პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს.
- **იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა.** პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ იშვიათი დაავა-

დებების მქონე 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეებს; ჰემოფილიით და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიებით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდილთა ამბულატორიულ და სტაციონარული მომსახურების კომპონენტით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს.

- **სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირების სახელმწიფო პროგრამა.** პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირებს და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს.
- **სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამა.** პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ სოფლად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს, აგრეთვე, სპეცდაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებში რეგისტრირებულ მოსახლეობას.
- **რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა.** მოსარგებლე განისაზღვრება კონკრეტული პროგრამის მიხედვით.
- **სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმების სახელმწიფო პროგრამა.** პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს, მოქალაქეობის არმქონე პირებს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს.
- **ორსულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა.** პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს.
- **C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამა.** პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებს, ასევე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს.

**საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამასთან და პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურებების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე – 1505.**

# ნაწილი IV. საოჯახო საკითხები

## 14. მშობლის უფლების შეზღუდვა



მშობლის უფლების შეზღუდვას აქვს სპეციფიკური კავშირი მიგრაციასთან. ხშირად მშობლები ვერ თანხმდებიან შვილის ადგილსამყოფელი ქვეყნის შესახებ.

კერძოდ, ბევრია იმის მაგალითი, როდესაც არასრულწლოვანი ბავშვის რომელიმე მშობელი არ ასრულებს მშობლის უფლება მოვალეობებს (არ ზრუნავს ბავშვზე, არ ნახულობს მას), ამასთან, მშობლებს არ აქვთ ურთიერთობა ერთმანეთთან. ასეთ დროს არასრულწლოვანს შესაძლოა ხელი შეეშალოს საზღვარგარეთ გამგზავრებაში, რადგანაც არასრულწლოვანის საქართველოდან საზღვარგარეთ გამგზავრება საჭიროებს მშობლების თანხმობას. იმისათვის, რომ არასრულწლოვანს არ შეეშალოს ხელი საზღვარგარეთ გამგზავრებაში, მშობელს აქვს შესაძლებლობა მოითხოვოს მეორე მშობლის უფლებების ნაწილობრივი ან სრული შეზღუდვა.

### *14.1. მშობლის უფლების შეზღუდვის პროცედურები*

მშობლის უფლების შეზღუდვის მოთხოვნით უნდა მიმართოთ სასამართლოს. სასამართლოს შეუძლია შეზღუდოს მშობლების (ერთ-ერთი მშობლის) ერთი ან რამდენიმე უფლება და მოვალეობა, სხვა უფლება-მოვალეობებისაგან დამოუკიდებლად.

აღნიშნულ შემთხვევაში თქვენ სარჩელით უნდა მიმართოთ სასამართლოს თქვენი მეუღლის მიმართ და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1205-ე მუხლის თანახმად მოითხოვოთ მშობლის კანონიერი წარმომადგენლის უფლების შეზღუდვა.

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, აღარ იქნება საჭირო მშობლის თანხმობა შვილის საქართველოს საზღვრებს გარეთ გასვლის შემთხვევაში. გარდა ამისა, ბავშვის

მშობელს აღარ ექნება უფლება აიღოს შვილის დევნილის დახმარება და მისი აღების უფლება მიენიჭება მეორე მშობელს.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ რამდენადაც ეს შესაძლებელია, მშობელს უნარჩუნდება ბავშვის რჩენის ვალდებულება.



# 15. მემკვიდრეობა

## *15.1. ზოგადი ინფორმაცია*

მემკვიდრეობა არის გარდაცვლილი პირის ქონების გადასვლა სხვა პირებზე.

არსებობს მემკვიდრეობის რამდენიმე ფორმა, კერძოდ:

- **კანონით მემკვიდრეობა** (ქონების გადასვლა ოჯახის წევრებზე, როცა ქონება ავტომატურად გადადის მემკვიდრეებზე და ქონების გადასვლა არ საჭიროებს ანდერძის დაწერას);
- **ანდერძით მემკვიდრეობა** (ქონების გადასვლა იმ პირებზე, ვინც გარდაცვლილმა მიუთითა ანდერძში) და
- **უმკვიდრო ქონება** (როდესაც არ არსებობს მემკვიდრე და პირის ქონება გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში.

შესაძლებელია, რომ მოქმედებდეს როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრეობა ერთდროულად. ასეთი შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც გარდაცვლილს არ ჰყავს არც ერთი კანონით მემკვიდრე და მან ანდერძში მიუთითა ესა თუ ის პირი. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ პირს ჰყავს კანონით მემკიკვდრეები, მაგრამ მან გადაწყვიტა, მემკვიდრეობა დაუტოვოს სხვა პირებს, ამ შემთხვევაში მოქმედებს **სავალდებულო წილი,** კერძოდ:

**გარდაცვლილის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, მიუხედავად იმისა, თუ რა მიუთითა გარდაცვლილმა ანდერძში, ეკუთვნით სავალდებულო წილი. სავალდებულო წილი უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს ერგებოდა კანონით მემკვიდრეობის დროს.**[104]

[104] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თავი მეექვსე;

## განვიხილოთ თითოეული სახის მემკვიდრეობა:

### *ანდერძით მემკვიდრე*

ანდერძის მემკვიდრე შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, ვისაც მამკვიდრებელი მოიხსენიებს ანდერძში და, რომელიც იქნება ცოცხალი მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის ან, რომელიც ჩაისახა მამკვიდრებლის სიცოცხლეში და დაიბადა მისი გარდაცვალების შემდეგ. ასევე, იურიდიული პირი, რომელიც შექმნილი იყო სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის.

### *უმკვიდრო ქონება*

თუ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ან, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, ქონება ითვლება უმკვიდროდ და გადაეცემა სახელმწიფოს. ხოლო, თუ მამკვიდრებელი მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩენაზე იმყოფებოდა, მაშინ მათ საკუთრებაში.

### *კანონისმიერი მემკვიდრეობა*

კანონით მემკვიდრეობის დროს მემკვიდრეები არიან პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის და, აგრეთვე, მამკვიდრებლის შვილები, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ ცოცხალი დაიბადებიან.

**მნიშვნელოვანია!!!**
**წინა რიგის თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობა გამორიცხავს შემდგომი რიგის მემკვიდრეობას.**

### კანონით მემკვიდრეები არიან:

- **პირველ რიგში** – გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები).

  **ნაშვილები და მისი შთამომავლები,** როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებულნი არიან მშვილებლის შვილებთან და მათ შთამომავლებთან. ნაშვილები აღარ მიიჩნევა კანონით მემკვიდრედ მისი მშობლებისა და აღმავალი ხაზის სხვა ღვიძლი ნათესავების, აგრეთვე, დებისა და ძმების გარდაცვალების შემდეგ.

  **შვილიშვილები,** შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს გახ-

სნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, და თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა

**შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები ვერ გახდებიან მემკვიდრეები, თუ მათ მშობლებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე.**

**მშვილებელი** და მისი ნათესავები, როგორც ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მემკვიდრეები, გათანაბრებულნი არიან ნაშვილების მშობლებსა და სხვა ღვიძლ ნათესავებთან. ნაშვილების მშობლებს, აღმავალი ხაზის სხვა ღვიძლ ნათესავებსა და და-ძმებს აღარ ეკუთვნით კანონით მემკვიდრეობა ნაშვილების ან მისი შთამომავლების გარდაცვალების შემდეგ.

- **მეორე რიგში** – გარდაცვლილის დები და ძმები.

  **მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები** და მათი შვილები კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე იქნებოდა. ისინი თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ წილს, რომელიც კანონითი მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობლებს ერგებოდა.

- **მესამე რიგში** – ბებია და პაპა, ასევე, ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა, როგორც მამის, ისე დედის მხრიდან. ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებია და პაპა ცოცხლები აღარ არიან.

- **მეოთხე რიგში** – ბიძები (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდები და მამიდები.

- **მეხუთე რიგში** – ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო, თუ ეს უკანასკნელნი არ არიან, მაშინ მათი შვილები.

**გაითვალისწინეთ!!!**
**სამკვიდრო ქონება შეიცავს როგორც უშუალოდ ქონებას, ისე მოვალეობებს, რომლებიც გარდაცვლილს ჰქონდა სიკვდილის მომენტისთვის (მაგალითად, საბანკო კრედიტი, და ა.შ.)**

**თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი.**

## *15.2. სად უნდა წარადგინოთ დოკუმენტაცია მემკვიდრეობის მისაღებად*

განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ უნდა შეიტანოთ სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით **სანოტარო ორგანოში.**

### სამკვიდროს გახსნის ადგილი

სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება გარდაცვლილის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ იგი ცნობილი არ არის – სამკვიდროს ადგილსამყოფელი. თუ სამკვიდრო ქონება სხვადასხვა ადგილას იმყოფება, მაშინ სამკვიდროს გახსნის ადგილად მიიჩნევა უძრავი ქონების ან მისი ფასეული ნაწილის ადგილსამყოფელი, ხოლო თუ უძრავი ქონება არ არის – მაშინ მოძრავი ქონების ან მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელი.[105]

### საზღვარგარეთ დროებით მცხოვრებ პირთა სამკვიდროს გახსნის ადგილი

სამკვიდროს გახსნის ადგილს საქართველოს მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც დროებით ცხოვრობდა საზღვარგარეთ და იქ გარდაიცვალა, წარმოადგენს საზღვარგარეთ გამგზავრებამდე საქართველოში მისი საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ იგი ცნობილი არ არის, მაშინ – სამკვიდროს ან მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელი.

### საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრებ პირთა სამკვიდროს გახსნა

სამკვიდროს გახსნის ადგილად იმ პირთა გარდაცვალების შემდეგ, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ, ითვლება ის ქვეყანა, სადაც ისინი ცხოვრობდნენ.

**საქართელოს მოქალაქე, რომელიც საქართველოში ცხოვრობს, უცხო სახელმწიფოში სამკვიდროს მიიღებს საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.**

## *15.3. წარსადგენი დოკუმენტაცია მემკვიდრეობის მისაღებად, ვადები და პროცედურა*

### სამკვიდროს მიღება

მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის **სანოტარო ორგანოში** შეიტანს განცხადე-

105 სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1324, 1325, 1326;

ბას სამკვიდროს მიღების შესახებ ან **ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას,** რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო.

**სამკვიდრო მოწმობის მისაღებად ნოტარიუსთან თქვენ უნდა წარადგინოთ შემდეგი დოკუმენტები:**

- მამკვიდრებლის გარდაცვალების მოწმობა
- მემკვიდრესა და მამკვიდრებლის ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი (შვილის შემთხვევაში – დაბადების მოწმობის ასლი; ნაშვილების შემთხვევაში – შვილად აყვანის მოწმობა; მეუღლის შემთხვევაში – ქორწინების მოწმობის ასლი)
- ქონების მამკვიდრებლის საკუთრებაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (უძრავი ქონების შემთხვევაში – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; მოძრავი ქონების შემთხვევაში – შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი). თუ ქონება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, მაშინ ტექნიკური ბიუროს ცნობა-დახასიათება, თუ ვის სახელზეა ქონება ტექაღრიცხვის ბიუროს არქივის მიხედვით აღრიცხული; ცნობა საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის არარსებობის თაობაზე; პრივატიზაციის ხელშეკრულება, თუ ბინა მამკვიდრებელს გადაეცა სახელმწიფოსაგან უსასყიდლოდ; ყადაღის არარსებობის ცნობა საჯარო რეესტრიდან
- ცნობა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურიდან მამკვიდრებლის ბოლო რეგისტრაციის ადგილის შესახებ
- მემკვიდრეობის ფაქტობრივი ფლობით მიღების შემთხვევაში – მემკვიდრის რეგისტრაციის დამადასტურებელი ცნობა, რომელიც ემთხვევა სამკვიდრო ქონების მისამართს.

**გაითვალისწინეთ, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. თქვენ შეიძლება დაგჭირდეთ ნოტარიუსისათვის დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა.**

## სამკვიდროს მიღების ვადა

სამკვიდროს მიღების ვადაა ექვსი თვე სამკვიდროს გახსნის დღიდან, ანუ იმ დროიდან, როდესაც გარდაიცვალა მამკვიდრებელი ან გარდაცვლილად იქნა ცნობილი სასამართლოს მიერ. შესაბამისად, მემკვიდრემ სამკვიდროს მიღების განცხადებით ამ ექვსი თვის განმავლობაში უნდა მიმართოს ნოტარიუსს სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით, ანდა ფაქტობრივად შეუდგეს სამკვიდროს ფლობას ან მართვას.

## სამკვიდროს მიღების სპეციალური ვადები

თუ სამკვიდროს მიღების უფლება იმ შემთხვევაში წარმოიშობა, როცა სხვა მემკვიდრეები სამკვიდროს არ მიიღებენ, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის დარჩენილი დროის განმავლობაში, ხოლო, თუ ეს დრო სამ თვეზე ნაკლებია, გაგრძელებულ იქნეს სამ თვემდე.

## სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება

სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ექვსთვიანი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება მიჩნეული (მაგალითად, ავადმყოფობა, საზღვარგარეთ ყოფნა და ა.შ).

ვადის გასვლის შემდეგ სამკვიდრო შეიძლება მიღებულ იქნეს სასამართლოსათვის მიმართვის გარეშეც, თუ თანახმა იქნება სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრე.

## საკუთრების უფლების წარმოშობა სამკვიდროზე

მემკვიდრეს სამკვიდროზე საკუთრების უფლება წარმოეშვება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან, რომლის მისაღებადაც მან სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის ვადაში მიმართა ნოტარიუსს, ან ფაქტობრივად შეუდგა მის ფლობას ან მართავს.

√ სამკვიდროს გახსნის დროდ ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების დღე ან პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღე.

**სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის ვადის გასვლის შემდეგ ყველა მემკვიდრეს, რომლებმაც დადგენილ ვადაში მიმართეს ნოტარიუსს სამკვიდროს მისაღებად, გადაეცემა სამკვიდრო მოწმობა, სადაც ჩაიწერება, თუ რა ქონება მიიღო მან მამკვიდრებლისგან. ამის შემდეგ მემკვიდრეს უფლება აქვს, საჯარო რეესტრში მის საკუთრებად დაარეგისტრიროს სამკვიდრო მოწმობით მასზე გადასული ქონება.**

**ექვს თვეზე ადრე სამკვიდრო მოწმობა გაიცემა იმ შემთხვევებში, თუ სანოტარო ორგანოს მოეპოვება ცნობა, რომ, მოწმობის მთხოვნელ პირთა გარდა, სხვა მემკვიდრეები არ არიან.**

## შედავება სამკვიდროს მიღებასა ან უარის თქმაზე

სამკვიდროს მიღება ან მიღებაზე უარის თქმა შეიძლება სადავო გახდეს ორი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო, რომ ამისათვის არსებობს სათანადო საფუძველი.

## სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების დადასტურება

უძრავი ქონება ფაქტობრივი ფლობით მემკვიდრის მიერ მიღებულად ჩაითვლება, თუ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ იგი სარგებლობს ან ფლობს ამ უძრავ ქონებას.

მაგალითად, საცხოვრებელი ბინის შემთხვევაში, ცხოვრობს ამ ბინაში, ან მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ ქირით ან იჯარით აქვს გადაცემული ეს ქონება ვინმესთვის. იმ შეთხვევაში კი, როდესაც მემკვიდრე არ სარგებლობს სოფლად არსებული ქონებით, მაგრამ მოსავლელად აქვს იგი დატოვებული მეზობლის ან ნათესავისთვის, ესეც ითვლება სამკვიდროს ფაქტობრივად მიღებად. იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად მიიღებს ქონებას, ხოლო ნოტარიუსს მემკვიდრეობის საკუთრებაში დასარეგისტრირებლად მიმართავს სამკვიდროს მიღების ექვსთვიანი ვადის შემდეგ, ამასთან, ვერ წარადგენს სამკვიდროს ქონების მიხედვით რეგისტრაციის ცნობას, რაც დაადასტურებდა მის მიერ ქონების ფაქტობრივად დაუფლებას, ამ შემთხვევაში, მას მოუწევს სასამართლოსათვის მიმართვა სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღების დასადასტურებლად.

## სამკვიდროს ფაქტობრივად მიღების სასამართლოში დადასტურება

სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მემკვიდრეობის მიღების ფაქტის დასადასტურებლად, შეგიძლიათ მიმართოთ შესაბამის რაიონულ ან საქალაქო სასამრთლოს განცხადებით,[106] მემკვიდრეობის მიღების ფაქტის დადასტურების თხოვნით. მემკვიდრეობის ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტი უნდა დაადასტურონ სასამართლოზე თქვენ მიერ მოწმეებად მოწვეულმა პირებმა. სამკვიდროს ფაქტობრივად ფლობის დასადასტურებლად შეგიძლიათ სასამართლოს წარუდგინოთ თქვენ მიერ მემკვიდრეობით მიღებული ბინის მისამართზე ელექტროენერგიისა და გაზის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები, რომლებსაც იხდით მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ პერიოდულად.

## წარსადგენი დოკუმენტაცია სასამართლოში ფაქტობრივად მიღების დასადასტურებლად

სასამართლოში მემკვიდრეობის მიღების იურიდიული ფაქტის დასადასტურებლად განცხადება ნოტარიუსის წერილობითი უარის შემდეგ შეაქვს მამკვიდრებელს. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

---

[106] სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 312-ე მუხლის 312, მეორე ნაწილი, ,,თ” ქვეპუნქტის

- ნოტარიუსის წერილობითი უარი სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების დადასტურების შესახებ
- სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი
- მოწმეთა სახელები, გვარები და მისამართები
- მამკვიდრებლის გარდაცვალების მოწმობა
- მემკვიდრის პირადობის მოწმობის ასლი
- მამკვიდრებლისა და მემკვიდრის ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ქონების მამკვიდრებლის საკუთრებაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ცნობა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურიდან მამკვიდრებლის ბოლო რეგისტრაციის ადგილის შესახებ
- ასევე, სხვა ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს მემკვიდრეობის ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტს.

## 16. მხარდამჭერი პირის დანიშვნა ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო

### *16.1. ზოგადი ინფორმაცია*

უცხოეთიდან საქართველოში მიგრანტთა დაბრუნების მიზეზი ხშირად განპირობებულია მათი მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობით, რაც მათ არ აძლევთ შესაძლებლობას, ჩაერთონ აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამის გამო ისინი საჭიროებენ მესამე პირთა დახმარებას, რომლებიც უფლებამოსილნი იქნებიან, მათი სახელით შეასრულონ სამართლებრივი მოქმედებები და მიიღონ გადაწყვეტილებები.

**მხარდაჭერის მიმღები პირი შეიძლება იყოს:**

- პირი, ვისაც აქვს მყარი ფსიქიკური დარღვევა;
- პირი, ვინც განიცდის მყარ გონებრივ/ინტელექტუალურ დარღვევებს, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში.

### მხარდამჭერი პირი შეიძლება იყოს

- ოჯახის წევრი
- ნათესავი
- ახლობელი
- სპეციალისტი

### მხარდამჭერ პირად არ შეიძლება დაინიშნოს:

- პირი, რომელსაც არ მიუღწევია 18 წლის ასაკისთვის
- ვინც, სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო
- ვისაც, მშობლის უფლება ჩამოერთვა ან შეეზღუდა მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შესრულებისათვის თავის არიდების გამო
- პირი, რომელიც მეურვის, მზრუნველის ან მხარდამჭერის მოვალეობისაგან გათავისუფლებულია მისი არაჯეროვნად შესრულების გამო

### პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ სასამართლოს შეიძლება მიმართოს:

- უშუალოდ მხარდაჭერის მიღების მსურველმა პირმა
- მისი ოჯახის წევრმა
- კანონიერმა წარმომადგენელმა
- მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ
- ფსიქიატრიულმა ან სპეციალიზებულმა დაწესებულებამ

### პირს მხარდაჭერა შეიძლება დაენიშნოს შემდეგ სფეროებში:

- შრომითი საქმიანობა
- წვრილმანი გარიგების დადება
- სამეწარმეო საქმიანობა
- უძრავი ქონების მართვა/განკარგვა
- საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა
- მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვა
- მისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად და სხვა უფლებებისა და მოვალეობების განსახორციელებლად, რომლებსაც სასამართლო ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს.

**დროებითი მხარდამჭერის დანიშვნა:**

სასამართლო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, საქმის წარმოების დასრულებამდე დანიშნოს დროებითი მხარდამჭერი, თუ მიიჩნევს, რომ იმ პირს, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, შესაძლებელია მიადგეს შეუქცევადი ზიანი.

**დროებითი მხარდამჭერი შეიძლება იყოს:**

- პირის ოჯახის წევრი
- ნათესავი
- ახლობელი ან სპეციალისტი

## *16.2. სად უნდა წარადგინოთ დოკუმენტაცია მხარდამჭერის დასანიშნად*

პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადება შეიტანება სასამართლოში ამ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო, თუ ეს პირი სამკურნალო დაწესებულებაშია მოთავსებული სამკურნალო დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით.

## *16.3. წარსადგენი დოკუმენტაცია მხარდამჭერის დასანიშნად, ვადები და პროცედურა*

**პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადებაში უნდა აღინიშნოს:**

- სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეიტანება განცხადება
- სფერო, რომელშიც პირს მხარდაჭერა სჭირდება
- პირის მხარდაჭერის საჭიროება მისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით
- ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც განმცხადებელი ამყარებს თავის მოთხოვნას
- მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ მითითებულ გარემოებებს
- განმცხადებლის მოთხოვნა

- განმცხადებელმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფსიქიატრის, ფსიქოლოგისა და სოციალური ექსპერტის დასკვნები პირის ფსიქიკური მდგომარეობის და სოციალური ადაპტაციის შესახებ.

### პირის მხარდამჭერ პირად ცნობისას გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს:

- მხარდამჭერი პირის პიროვნულ თვისებებს
- მხარდამჭერის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების უნარს
- მხარდამჭერისა და მხარდაჭერის მიმღების ურთიერთდამოკიდებულებას
- მხარდაჭერის მიმღების ინტერესებს და ნებას
- მხარდაჭერის მიმღების არასრულწლოვანების შემთხვევაში – აგრეთვე მისი მშობლის მითითებას

### სასამართლოში მხარდაჭერის მიმღები პირის საქმის წარმოება მიმდინარეობს შემდეგი წესით:

პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ საქმეს სასამართლო განიხილავს ამ პირის და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობით.

**საქმის სასამართლოში განხილვისას მხარდაჭერის მიმღები პირის მონაწილეობა ზეპირ განხილვაში აუცილებელია.**

თუ პირს, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დაესწროს სასამართლო სხდომას, მისი მონაწილეობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კომუნიკაციის ელექტრონული ან სხვა საშუალების გამოყენებით, რომლითაც შესაძლებელი იქნება ამ პირთან მოსამართლის პირდაპირი კონტაქტი.

განცხადების წარმოებაში მიღებისთანავე სასამართლო ნიშნავს ექსპერტიზას.[107] ექპერტიზას ატარებს მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომელიც შედგება ფსიქიატრისაგან, ფსიქოლოგისაგან, ოკუპაციური თერაპევტისა და სოციალური მუშაკისაგან. ფასდება არა მხოლოდ ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა, არამედ მისი სოციალური უნარებიც.

[107] ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

პირს, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, უნდა ჰყავდეს ადვოკატი.

### შეღავათი სასამართლო ხარჯებზე, პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საქმის განხილვასთან დაკავშირებით

განმცხადებელი გათავისუფლებულია პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ საქმის განხილვასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

### პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს:

- უფლება, რომლით სარგებლობისთვისაც უწესდება პირს მხარდაჭერა, აგრეთვე მხარდაჭერის ფარგლები
- მხარდამჭერის (მხარდამჭერების) უფლებები და მოვალეობები
- მხარდამჭერის (მხარდამჭერების) მიერ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის ანგარიშის წარდგენის პერიოდულობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს
- მხარდაჭერის ვადა და მისი გადასინჯვის პერიოდულობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს

### პირის მხარდაჭერის მიმღებ პირად ცნობის თაობაზე საქმის წარმოების შეწყვეტა

პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით წარმოება წყდება, თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა უარყოფითია.

### პირის მხარდაჭერის ფარგლების შეცვლა

თუ არსებობს პირისათვის მხარდაჭერის ფარგლების შეცვლის საფუძველი, მხარდაჭერის მიმღების, მისი ოჯახის წევრის, მხარდამჭერის (მხარდამჭერების), ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულების, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს განცხადების შესაბამისად და ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება ამ პირისათვის მხარდაჭერის ფარგლების შეცვლის შესახებ.[108]

---

[108] ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ საქართველოს კანონი.

## პირისთვის მხარდაჭერის გაუქმება

თუ აღარ არსებობს პირისათვის მხარდაჭერის გაგრძელების საფუძველი, მხარდაჭერის მიმღების, მისი ოჯახის წევრის, მხარდამჭერის, ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულების, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს განცხადებისა და ჩატარებულიე ქსპერტიზის დასკვნის საფუძველზე სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება ამ პირისათვის მხარდაჭერის გაუქმების შესახებ.

## პირის მხარდამჭერის მიმღებ პირად ცნობის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება

პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრის შეტანიდან 5 დღის ვადაში ამოწმებს მის დასაშვებობას და იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

- გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ;
- განსახილველად იღებს სააპელაციო საჩივარს.

სააპელაციო საჩივარს სააპელაციო სასამართლო ზეპირი მოსმენით განიხილავს მისი განსახილველად მიღებიდან 2 თვის ვადაში და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- მთლიანად ან ნაწილობრივ აკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს;
- უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე

# ნაწილი V. ქონებრივი და სამეწარმეო საკითხები



## 17. სასოფლო-სამეურნეო მიწის პირველადი რეგისტრაცია საქართველოს მოქალაქის მიერ

### *17.1. ზოგადი ინფორმაცია*

სასოფლო სამეურნეო მიწის რეგისტრაცია აუცილებელია იმისთვის, რომ მიწა გახადოთ სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი (ანუ, რომ შეგეძლოთ მისი გაყიდვა, გაქირავება, გაჩუქება, იპოთეკით დატვირთვა, დაგირავება და ა.შ.)

მარეგისტრირებელი დოკუმენტის ხელზე არსებობა ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ მასში მითითებული მიწის ნაკვეთი თქვენი საკუთრებაა. საკუთრების უფლება უნდა დადასტურდეს საჯარო რეესტრში ასახვით.

### *17.2. სად უნდა წარადგინოთ დოკუმენტაცია სასოფლო-სამეურნეო მიწის დასარეგისტრირებლად*

კუთვნილ ქონებაზე საკუთრების უფლების დასარეგისტრირებლად უნდა მიმართოთ იუსტიციიის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ (რაიონულ) სამსახურს, იუსტიციის სახლს ან საზოგადოებრივ ცენტრს.

### *17.3. წარსადგენი დოკუმენტაცია სასოფლო-სამეურნეო მიწის სარეგისტრაციოდ, ვადები და პროცედურა*

უნდა არსებობდეს აღნიშნული მიწის თქვენს საკუთრებაში გადმოცემის ან მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი ერთ–ერთი დოკუმენტი:

- მიწის მიღება-ჩაბარების აქტი
- სარეგისტრაციო მოწმობა
- საგადასახადო სია
- მიწის განაწილების სია
- საკომლო წიგნის ამონაწერი
- სასამართლოს გადაწყვეტილება
- და სხვა



თუ მარეგისტრირებელი ან მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტები ხელზე არ გექნებათ, მაშინ ისინი უნდა გამოითხოვოთ შესაბამისი სამსახურებიდან (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, სახელმწიფო არქივი, მუნიციპალიტეტის გამგეობა, შემოსავლების სამსახური და სხვა).

მარეგისტრირებელი დოკუმენტი უნდა იყოს სრულყოფილი – ეტყობოდეს ხელმოწერები, ბეჭდები; სახელი და გვარი ისე უნდა იყოს მითითებული, როგორც პირადობის მოწმობაშია, არ უნდა იყოს მასში ციფრები და ასოები თვითნებურად გადასწორებული, მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული მიწის საკუთრებაში გადაცემის დადგენილების მიღების თარიღი უნდა უსწრებდეს მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და გაცემის თარიღს, უნდა იყოს მითითებული მიწის ნაკვეთის მდებარეობა და მეზობლები. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ალბათობით, რეგისტრაცია არ მოხდება და სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდება.

რეგისტრაციისთვის აუცილებელია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მარეგისტრირებელ დოკუმენტთან ერთად წარუდგინოთ დასარეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი ნახაზები ელექტრონული ფორმით, კოორდინატთა სისტემაში შესრულებული.

**სასოფლო-სამეურნეო მიწის პირველადი რეგისტრაცია უფასოა და მოსაკრებლის გადახდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში არ მოგიწევთ.**

თუ სასოფლო-სამეურნეო მიწის მარეგისტრირებელი პირველადი დოკუმენტი არსად აღმოჩნდა, მიწის რეგისტრაცია ფაქტიურად შეუძლებელი იქნება, თუმცა არსებობს გამონაკლისი შემთხვევაც, როდესაც ასეთი მიწა მდებარეობს თქვენს საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული (დარეგისტრირებული) უძრავი ქონების მოსაზღვრედ და ფარ-

თობით მასზე ნაკლებია ან ტოლი. ამ დროს, როგორც თვითნებურად დაკავებულ მიწაზე, საკუთრების მოწმობის გასაცემად უნდა მიმართოთ საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედ კომისიებს მუნიციპალიტეტში.

თუ მიწის პირველადი რეგისტრაცია შესრულებულია 2008 წლამდე და საჯარო რეესტრის ამონაწერში მიწის ფართობი მითითებულია როგორც დაუზუსტებელი, სასურველია დააზუსტოთ მიწის ნაკვეთის საზღვრები და ფართობი. ამისათვის საჯარო რეესტრში უნდა წარადგინოთ საკადასტრო აზომვითი ნახაზის როგორც ქაღალდი ისე, ელექტრონული ვერსია.ამის შემდეგ თქვენი მიწის ნაკვეთი აღირიცხება ერთიან საკადასტრო რუკაზე.

## 18. ინდ. მეწარმე – რეგისტრაცია

თუ საქართველოში დაბრუნების შემდეგ გინდათ ბიზნესის დაწყება და მეწარმე სუბიექტად დარეგისტრირება, უნდა მიმართოთ იუსტიციის სახლს, სადაც გაივლით შესაბამის პროცედურებს.



განვიხილავთ მეწარმე სუბიექტის ორ სახეს, კერძოდ: ინდივიდუალური მეწარმისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს) რეგისტრაციის წესს.

### ინდივიდუალური მეწარმე

ჯერ განვმარტოთ, რა არის სამეწარმეო საქმიანობა. ეს გახლავთ სუბიექტის მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მისაღებად, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

ინდივიდუალური მეწარმე (ინდ. მეწარმე), როგორც უკვე აღინიშნა, არის ერთ-ერთი სამეწარმეო სუბიექტი–ფიზიკური პირი, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, მეწარმედ არის რეგისტრირებული რეესტრში[109] და თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით.[110]

[109] http://www.reestri.gov.ge/pol

[110] მეწარმეთა შესახებ კანონის 2-ე მუხლი.

**მნიშველოვანია გახსოვდეთ!**

**მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია სავალდებულოა და მას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირდებიან, უმეტესად, ის ადამიანები, ვინც შედარებით უფრო წვრილი ბიზნესის დაწყებას აპირებენ, როგორებიცაა, მაგალითად: საცალო ვაჭრობა (მცირე ზომის მაღაზია), საცხობი, საყოფაცხოვრებო მომსახურება და სხვა.

ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაცია შეუძლია როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეს და მოქალაქეობის არმქონე პირებს. არასრულწლოვანი (18 წლამდე) პირის რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლებისა (მშობლები, მეურვე, მზრუნველი) და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობით.

როგორც უკვე აღინიშნა, ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციისათვის დაგჭირდებათ იუსტიციის სახლში ვიზიტი ან შეგიძლიათ ეწვიოთ შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს.

**მნიშვნელოვანია გახსოვდეთ!**

ინდივიდუალური მეწარმე საქმიან ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით. ინდივიდუალურ მეწარმე არ არის იურიდიული პირი.

ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციისთვის უნდა წარადგინოთ შემდეგი დოკუმენტები:[111]

- განცხადება (აღნიშნული ივსება შესაბამის ელექტრონულ პროგრამაში უშუალოდ დოკუმენტების მიმღები ოპერატორის მიერ);
- დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პირადობის მოწმობა, პასპორტი, ბინადრობის მოწმობა, პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი);
- მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

[111] მეწარმეთა შესახებ კანონის 54მუხლი.

**შენიშვნა!**

**ზემოჩამოთვლილი დოკუმენტების გარდა, კონკრეტულ შემთხვევაში, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ შეიძლება დამატებით მოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია, რაც აუცილებელია ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად.**

### რეგისტრაციის ვადა

ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაცია ხდება ერთ სამუშაო დღეში.

**გახსოვდეთ, რომ ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და სრულდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ ვადის ბოლო დღეს წარმოადგენს მომდევნო სამუშაო დღე.**

## 19. შპს – რეგისტრაცია

### შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც.[112]

პარტნიორთა უფლება-მოვალეობები და წილების თავდაპირველი განაწილების წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით). წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას პარტნიორთა ხმის უფლება ან/და პარტნიორთა შორის მოგების/ზარალის განაწილება არ არის მათი წილების პროპორციული.[113]

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება აქვთ დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.[114]

---

[112] მეწარმეთა შესახებ კანონის III თავი.

[113] მეწარმეთა შესახებ კანონის 46-ე მუხლი.

[114] მეწარმეთა შესახებ კანონის 47-ე მუხლი.

**გახსოვდეთ!**

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით.**

თუ თქვენ გადაწყვიტეთ, რომ დაარეგისტრიროთ შპს, მაშინ უნდა მიმართოთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოთ შემდეგი სახის დოკუმენტები:

- **განცხადება**
- **დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი** (პირადობის მოწმობა, პასპორტი, ბინადრობის მოწმობა, პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი)
- პირველადი რეგისტრაციის დროს: საწარმოს **ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული სარეგისტრაციო განაცხადი** (წესდება/პარტნიორთა შეთანხმება)
- **უძრავი ნივთის მესაკუთრის სათანადო ფორმით შედგენილი თანხმობა** ან უძრავ ნივთზე დაინტერესებული პირის სარგებლობის უფლების დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი დოკუმენტი
- **ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ** ნების გამომხატველი დოკუმენტი

**შენიშვნა:** კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დამატებით მოგთხოვონ ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაცია, რაც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად.

## რეგისტრაციის ვადა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაცია ხდება ერთ სამუშაო დღეში.

**შენიშვნა:** თუ დაინტერესებულ პირს სარეგისტრაციო წარმოებაში მონაწილეობის მიღება სურს არა პირადად, არამედ წარმომადგენლის მეშვეობით, მაშინ დამატებით უნდა წარადგინოთ სათანადო წესით დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.[115]

[115] მინდობილობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია აღნიშნულ გზამკვლევში, იხ. სარჩევი.

# 20. მართვის მოწმობა

## *20.1. ზოგადი ინფორმაცია – საქართველოს მოქალაქეები*



### უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობა საქართველოს მოქალაქეზე

უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის **მფლობელ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობაც, უფლება აქვს უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის მოქმედების ვადის ამოწურვამდე** გამოიყენოს აღნიშნული დოკუმენტი.

უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის მფლობელ **საქართველოს მოქალაქეს** უფლება აქვს, უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის მოქმედების ვადის ამოწურვამდე, **მაგრამ არა უმეტეს მისი საქართველოში შემოსვლიდან ერთი წლისა,** გამოიყენოს აღნიშნული დოკუმენტი.

### მართვის მოწმობის შეცვლა

მართვის მოწმობის შეცვლა შეიძლება შემდეგ შემთხვევებში:

- თუ ამას მოითხოვს მართვის მოწმობის მფლობელი;
- თუ უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის საფუძველზე გაიცემა ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობა;
- თუ მართვის მოწმობის მოქმედებას გაუვა ვადა;
- თუ მართვის მოწმობა დაზიანდა და გამოსაყენებლად უვარგისია;
- თუ მართვის მოწმობაში ასახული რომელიმე მონაცემი შეიცვალა ან საჭიროა უზუსტობის გასწორება;
- თუ საჭირო გახდა მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრში ასახული სარეგისტრაციო ჩანაწერების შეცვლა ან უზუსტობის გამოსწორება;
- თუ მართვის მოწმობაში აღნიშნული მონაცემები შეუსაბამობაშია მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრში ასახულ სარეგისტრაციო ჩანაწერებთან;

უცხო ქვეყნის მიერ გაცემული **მართვის მოწმობის მფლობელ საქართველოს მოქალაქეს** უფლება აქვს, **მართვის უფლების მისაღები გამოცდის გარეშე** შეცვალოს უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობა შესაბამისი კატეგორიის ან/და ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობით, მაგრამ, **არა უგვიანეს** შესაცვლელი მართვის მოწმობის მოქმედების ვადის ამოწურვისა.

## *20.2. სად უნდა წარადგინოთ დოკუმენტაცია მართვის მოწმობის შესაცვლელად (საქართველოს მოქალაქეები)*

უცხო ქვეყნის მიერ გაცემულ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის მოწმობების შეცვლას თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სააგენტო (საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო).

დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, მომსახურების გაწევის თაობაზე მიმართოს სააგენტოს ნებისმიერ საგამოცდო სამსახურს, მიუხედავად საქართველოში მისი საცხოვრებელი ადგილისა.

## *20.3. წარსადგენი დოკუმენტაცია მართვის მოწმობის შესაცვლელად, ვადები და პროცედურა (საქართველოს მოქალაქე)*

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულებებით სპეციალური წესი არ არის დადგენილი, სააგენტოს მიერ უცხო ქვეყნის მიერ გაცემული დოკუმენტი მიიღება, თუ იგი კანონმდებლობით დადგენილი წესით ლეგალიზებულია ან დამოწმებულია აპოსტილით.

> **გახსოვდეთ!**
>
> **დოკუმენტი არ საჭიროებს ლეგალიზაციას ან აპოსტილით დამოწმებას, თუ იგი შედგენილია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე.**

უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტი სააგენტოში წარდგენილი უნდა იქნეს ქართულად ნათარგმნი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლების სახით. საგამოცდო სამსახურის თანამშრომელი უფლებამოსილია მიიღოს უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტი სავალდებულო თარგმანის გარეშე, თუ იგი შედგენილია მისთ-

ვის გასაგებ ენაზე, ან, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტში და მართვის მოწმობაში პირის პერსონალური მონაცემები ლათინური ტრანსლიტერაციით არის შესრულებული.

**ზოგადად, მართვის მოწმობის შესაცვლელად პირმა საგამოცდო სამსახურში უნდა წარადგინოს:**

- განცხადება
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- შესაცვლელი მართვის მოწმობა
- საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი
- ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა

**საქართველოს მოქალაქემ უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის შესაცვლელად უნდა წარადგინოს:**

- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა
- უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობა
- მართვის მოწმობის დასტური (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული მართვის მოწმობა; დსთ-ს ქვეყნებში გაცემული დოკუმენტი არ საჭიროებს ლეგალიზაციას ან აპოსტილით დამოწმებას);
- საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა

**სატრანსპორტო საშუალებათა მართვის მოწმობის გაცემა (შეცვლა ან დაკარგულის აღდგენა) შესაძლებელია განხორციელდეს უცხო სახელმწიფოში მყოფი საქართველოს მოქალაქის მიერ ელექტრონული სახის დოკუმენტების სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსების (ატვირთვის) საფუძველზე.**

სატრანსპორტო საშუალებათა მართვის მოწმობის გაცემისათვის (შეცვლა ან დაკარგულის აღდგენა) დაინტერესებულმა პირმა სააგენტოს ვებ-გვერდზე უნდა განათავსოს (ატვირთოს):

- ელექტრონული სახის განცხადება (დაინტერესებულმა პირმა ზუსტად და სრულყოფილად უნდა შეავსოს ველებში მითითებული შესაბამისი მონაცემები)
- საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი

- შესაცვლელი მართვის მოწმობის ასლი
- ფოტოსურათი (500px-620px) jgp ფორმატში
- ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობისა და მისი სათანადო წესით დამოწმებული ქართულ ენაზე თარგმანის ასლები
- პირადი ხელმოწერის ელექტრონული ასლი
- შესაბამისი მომსახურებისათვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები ან მათი ასლები

### გაცემული მართვის მოწმობის მიღება შეუძლია:

- დაინტერესებულ პირს
- დაინტერესებული პირის მიერ ვებ-გვერდზე განთავსებულ (ავტვირთულ) ელექტრონულ განცხადებაში მითითებულ პირს (განცხადებაში მითითებული უნდა იქნეს აღნიშნული პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი)
- სათანადოდ დამოწმებული, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირს
- დაინტერესებული პირის მიერ მითითებულ საფოსტო/საკურიერო მომსახურების განმხორციელებელ დაწესებულებას (ამ დაწესებულების თანამშრომელს)

### გახსოვდეთ!

**ელექტრონული განცხადების შემთხვევაში მართვის მოწმობის მიღებაზე უფლებამოსილი პირები ვალდებული არიან, მართვის მოწმობის მისაღებად გამოცხადდნენ სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფში მართვის მოწმობის გაცემიდან, არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა (აღნიშნულ ვადაში სააგენტოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში მართვის მოწმობა განადგურდება და მისი აღდგენა შესაძლებელი იქნება დადგენილი პროცედურების თავიდან გავლით).**

### გახსოვდეთ!

შეცვლილი, უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობა კარგავს იურიდიულ ძალას და ბარდება სააგენტოს.

## *20.4. უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მართვის მოწმობა – ზოგადი ინფორმაცია*

უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის მფლობელ **უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს** უფლება აქვს უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის მოქმედების ვადის ამოწურვამდე, მაგრამ, არა უმეტეს მისი საქართველოში ბოლო შემოსვლიდან ერთი წლისა, საქართველოს ტერიტორიაზე მონაწილეობა მიიღოს საგზაო მოძრაობაში როგორც მძღოლმა.

უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის მფლობელ უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება აქვს მართვის უფლების მისაღები გამოცდის გარეშე შეცვალოს უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობა შესაბამისი კატეგორიის ან/და ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობით, მაგრამ, არა უგვიანეს შესაცვლელი მართვის მოწმობის მოქმედების ვადის ამოწურვისა.

## *20.5. სად უნდა წარადგინოთ დოკუმენტაცია მართვის მოწმობის შესაცვლელად (უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი)*

უცხო ქვეყნის მიერ გაცემულ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის მოწმობების შეცვლას თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სააგენტო (საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო).

დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, მომსახურების გაწევის თაობაზე მიმართოს სააგენტოს ნებისმიერ საგამოცდო სამსახურს, მიუხედავად საქართველოში მისი საცხოვრებელი ადგილისა.

## *20.6. წარსადგენი დოკუმენტაცია მართვის მოწმობის შესაცვლელად, ვადები და პროცედურა (უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი)*

უცხო ქვეყნის მოქალაქემ ან მოქალაქეობის არმქონე პირმა უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის შესაცვლელად უნდა წარადგინოს:

- განცხადება
- პასპორტი ან ბინადრობის მოწმობა

- უცხო ქვეყნის მიერ გაცემული შესაცვლელი მართვის მოწმობა
- მართვის მოწმობის დასტური
- საქართველოში რეგისტრაციის ან დროებითი რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი ან იმ შემთხვევაში, თუ პირს საქართველოში არ გააჩნია რეგისტრაციის ან დროებითი რეგისტრაციის ადგილი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი დოკუმენტი
- საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა

**გახსოვდეთ!**

უცხო ქვეყნის მიერ გაცემული ის მართვის მოწმობა, რომლის სანაცვლოდაც ამ მუხლით განსაზღვრული წესით გაიცემა ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობა, კარგავს იურიდიულ ძალას და უნდა ჩაბარდეს სააგენტოს!

## *20.7. დაკარგული მართვის მოწმობა*

### მართვის მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში:

მართვის მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში პირი ვალდებულია, ის აღადგინოს დაკარგვიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

### დაკარგული მართვის მოწმობის აღსადგენად დაინტერესებულმა პირმა სააგენტოში უნდა წარადგინოს:

- განცხადება დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენის თაობაზე
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები
- ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა

გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალური გამონაკლისებისა, აკრძალულია დაკარგული უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის აღდგენა.

# ნაწილი VI. სისხლის სამართლის საკითხები

## 21. არალეგალური მიგრაცია




არალეგალური მიგრაცია საფრთხის შემცველია მრავალი მიზეზის გამო. მიგრანტის არაოფიციალური სტატუსი აფერხებს მის წვდომას ჯანდაცვის მომსახურებაზე, ლეგალურად დასაქმებაზე და, შესაბამისად, კარიერულ განვითარებაზე. მეტიც, არალეგალური მიგრაცია შესაძლოა საფრთხის შემცველიც იყოს და ტრეფიკინგით დასრულდეს. ამიტომ, მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ გამგზავრებამდე თითოეული პირი ინფორმირებული იყოს ამის თაობაზე, რათა თავიდან აიცილოს როგორც არალეგალური მიგრაცია, ისე ტრეფიკინგი.

### რა შემთხვევაში ითვლება პირი არალეგალურ მიგრანტად?

1. როდესაც იგი ქვეყნის საზღვარს კვეთს საერთაშორისო მიმოსვლისთვის განკუთვნილი სასაზღვრო გამშვები პუნქტის გვერდის ავლით, რაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება.

2. როდესაც პირი ქვეყანაში შედის ყალბი დოკუმენტის გამოყენებით. ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება, შეძენა, შენახვა, გასაღების ან გამოყენების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სისხლის სამართლის დანაშაულია.




3. როდესაც პირი ქვეყანაში რჩება ვიზის ან დროებითი ბინადრობის ნებართვის გარეშე.

4. როდესაც პირი კარგავს ქვეყანაში ლეგალურად ყოფნის უფლებას – ნებართვის განუახლებლობის გამო.

5. როდესაც პირი მუშაობს ოფიციალური ნებართვის გარეშე.

### როგორ უნდა მოიქცეს არალეგალური მიგრანტი, რომელმაც სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა?

დაბრუნების მსურველმა პირმა უნდა მიმართოს:

- საქართველოს საელჩოს ან საკონსულო დაწესებულებას[116]
- ადგილსამყოფელი ქვეყნის საიმიგრაციო სამსახურს

გარდა ამისა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია მხარდაჭერას უწევს საზღვარგარეთ მყოფ მიგრანტებს დაბრუნების პროცესში. დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: www.informedmigration.ge/cms/

## 22. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისთვის

**საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისთვის საქართველოს მოქალაქეს და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით შემდეგ შემთხვევებში:**

- თუ მან საზღვარგარეთ ჩაიდინა **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია;**
- თუ მან საზღვარგარეთ ჩაიდინა **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად არ ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია,** მაგრამ ეს არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ

[116] დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ამ გზამკვლევში, იხ. სარჩევი.

მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ანდა, თუ ამ დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით;

- თუ მან საზღვარგარეთ ჩაიდინა **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით კოდექსის 221-ე,[117] 338-ე,[118] 339-ე[119] ან 339 პრიმა[120] მუხლით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად არ ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია.**

## 23. ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმები

### რა არის „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“?

ადამიანით ვაჭრობა, ანუ ტრეფიკინგი, არის საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაული: ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურით ან სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღებად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია; ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ან მიღება ექსპლუატაციის მიზნით.

ამასთან, ტრეფიკინგის მსხვერპლის თანხმობას მის ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ ენიჭება.[121]

- ტრეფიკინგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას, აღნიშნული სასჯელი კიდევ უფრო მძიმდება. მეტიც, წინასწა-

[117] კომერციული მოსყიდვა.

[118] ქრთამის აღება.

[119] ქრთამის მიცემა.

[120] ზეგავლენით ვაჭრობა.

[121] ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 3 და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 1431 და 1432

რი შეცნობით ტრეფიკინგის მსხვერპლის ან დაზარალებული პირის ისეთი მომსახურებით სარგებლობა, რომელიც წარმოადგენს ექსპლუატაციას, ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ოთხ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.[122]

## ვინ არის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი?

ადამიანით ვაჭრობის ანუ ტრეფიკინგის მსხვერპლი არის პირი, რომელსაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი და, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიენიჭება ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მინიჭების საკითხს წყვეტს საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფი, პირის მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა თავშესაფრისთვის ან შესაბამისი დაწესებულებისათვის მიმართვიდან, არა უგვიანეს 48 საათისა. სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, პირს ენიჭება უფლება მიიღოს მსხვერპლთათვის განკუთვნილი მომსახურება (თავშესაფარი, სამედიცინო დახმარება, და ა.შ.).

## რისთვის არის საჭირო ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი?

პირს, რომელსაც მიენიჭება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სტატუსი, აქვს უფლება, მიიღოს უფასო მომსახურება, კერძოდ:[123]

- დროებითი თავშესაფარი
- სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება
- უფასო იურიდიული კონსულტაცია

გარდა ამისა, ტრეფიკინგის მსხვერპლს/დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიყენებული მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანის ანაზღაურება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, თუ შეუძლებელია ტრეფიკინგის მსხვერპლისთვის/დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მასზე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერ-

---

[122] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 1433.

[123] ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 18.

პლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი გასცემს კომპენსაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით.[124]

## გაითვალისწინეთ!

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან შემდეგი ქმედებებისათვის:[125]

- საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა[126]
- ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება[127]

**ტრეფიკინგის მსხვერპლს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში მონაწილეობისათვის, თუ იგი იძულებული იყო, ასე მოქცეულიყო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად, დაზარალებულად ყოფნის გამო.**

## ვის უნდა მიმართოს ტრეფიკინგის მსხვერპლმა დახმარების მისაღებად?

ტრეფიკინგის მსხვერპლმა უნდა მიმართოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს (შემდგომში – ფონდი) ან მიმართოს საქართველოს საკონსულოს, საელჩოს ან პოლიციას, რომელთაც აქვთ მსხვერპლის დამისამართების ვალდებულება.

**ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,**
**დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი**

**+(995 32) 2 100 229 (ცხელი ხაზი)**
**ელ. ფოსტა: atipfund@moh.gov.ge**
**ვებ-გვერდი: www.atipfund.gov.ge**

**ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი, ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო**
**+(995 32) 2 411 714 (ცხელი ხაზი)**

---

[124] ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 16.

[125] ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 15.

[126] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება.

[127] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება.

საზღვარგარეთ არსებული საქართველოს საკონსულოებისა და საელჩოების საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია აღნიშნულ გზამკვლევში.[128]

## 24. ნარკოდანაშაული

**ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანა, უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან (6) ცხრა (9) წლამდე. დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას პატიმრობის ვადა შესაძლოა განისაზღვროს თხუთმეტიდან (15) ოც წლამდე ან უვადოდ.[129]**

როგორც აღნიშნული წესიდან ჩანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა კრძალავს საქართველოში გარკვეული ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების შემოტანას. ხშირად სხვა ქვეყნიდან დაბრუნებულ მიგრანტებს შემოუტანიათ საზღვარგარეთ ექიმის მიერ გამოწერილი სამკურნალო საშუალება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით ითვლება ნარკოტიკულ საშუალებად ან ფსიქოტროპულ ნივთიერებად, რის გამოც მათ შექმნიათ გარკვეული სამართლებრივი პრობლემები. ამ პრობლემების მაქსიმალურად შესამცირებლად, უნდა ვიცოდეთ შემდეგი ინფორმაცია:

**ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესები:[130]**

ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროების მიზნით ნებადართულია ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებების 31 დღის მარაგის შემოტანა **მკაცრად განსაზღვრული წესების დაცვით და საქართველოდან გატანა:***

---

[128] იხ. სარჩევი.

[129] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თავი XXXIII.

[130] ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონი; ნარკოტიკული საშუალებების შესახებ გაეროს 1961 წლის ერთიანი კონვენცია; ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ 1971 წლის კონვენცია.
ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 ივნისის #01-32/ნ ბრძანება.

* გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ აღნიშნული სია მუდმივად ცვალებადია. ამიტომ, გამგზავრებამდე შეამოწმეთ შესაძლო ცვლილებები შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით: http://rs.ge/5980

### სია II – ბრუნვისთვის შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებები

| # | ნივთიერების დასახელება | ქიმიური დასახელება |
|---|---|---|
| 1 | 2 ს - ბ<br>2 C-B | 4-bromo-2,5-dimethoxyphenethylamine |
| 2 | ალილპროდინი<br>ALLYLPRODINE | 3-allyl-1-methyl-4-phenyl-4-propionoxypiperidine |
| 3 | ალფაპროდინი<br>ALPHAPRODINE | α-1,3-dimethyl-4-phenyl-4-propionoxypiperidine |
| 4 | ალფენტანილი<br>ALFENTANIL | N-[1-[2-(4-ethyl-4,5-dihydro-5-oxo-1H-tetrazol-1-yl)ethyl]-4-(methoxymethyl)-4-piperidinyl]-N-phenylpropanamide |
| 5 | ამინეპტინი<br>AMINEPTINE | 7-[(10,11-dihydro-5H-dibenzo[a,d]cyclohepten-5-yl) amino]heptanoic acid |
| 6 | ამობარბიტალი<br>AMOBARBITAL | 5-ethyl-5-isopentylbarbituric acid |
| 7 | ამფეტამინი<br>AMFETAMINE (amphetamine) | (±)-α-methylphenethylamine |
| 8 | ანილერიდინი<br>ANILERIDINE | 1-p-aminophenethyl-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester |
| 9 | აცეტილდიჰიდროკოდეინი<br>ACETYLDIHYDROCODEINE | (derivative of codein)<br>(კოდეინის წარმოებული) |
| 10 | ბუპრენორფინი<br>BUPRENORPHINE | 2l-cyclopropyl-7- α -[(S)-1-hydroxy-1,2,2-trimethylpropyl]-6,14- endo-ethano-6,7,8,14-tetrahydrooripavine |
| 11 | ბუტალბიტალი<br>BUTALBITAL | 5-allyl-5-isobutylbarbituric acid |
| 12 | ბუტორფანოლი<br>BUTORPHANOL | 17-cyclobutylmethyl-morphinan-3,14-diol |
| $12^1$ | გამა-ოქსიერბო მჟავა<br>GHB | γ-hydroxybutyric acid |

| | | |
|---|---|---|
| 13 | გლუტეთიმიდი<br>GLUTETHIMIDE | 2-ethyl-2-phenylglutarimide |
| 14 | დექსამფეტამინი<br>DEXAMFETAMINE<br>(dexamphetamine) | (+)-α-methylphenethylamine |
| 15 | დექსტრომორამიდი<br>DEXTROMORAMIDE | (+)-4-[2-methyl-4-oxo-3,3-diphenyl-4-(1-pyrrolidinyl) butyl]morpholine<br>(dextro-rotatory isomer of moramide)<br>(მორამიდის მარჯვნივ მბრუნავი იზომერი) |
| 16 | დექსტროპროპოქსიფენი<br>DEXTROPROPOXYPHENE | α -(+)-4-dimethylamino-1,2-diphenyl-3-methyl-2-butanol propionate<br>(Dextro-rotary isomer of propoxyphene)<br>(პროპოქსიფენის მარჯვნივ მბრუნავი იზომერი) |
| 17 | დიეთილთიამბუტენი<br>DIETHYLTHIAMBUTENE | 3-diethylamino-1,1-di-(2'-thienyl)-1-butene |
| 18 | დიმეთილთიამბუტენი<br>DIMETHYLTHIAMBUTENE | 3-dimethylamino-1,1-di-(2'-thienyl)-1-butene |
| 19 | დიმენოქსადოლი<br>DIMENOXADOL | 2-dimethylaminoethyl-1-ethoxy-1,1-diphenylacetate |
| 20 | დიოქსაფეტილ ბუტირატი<br>DIOXAPHETYL BUTYRATE | ethyl-4-morpholino-2,2-diphenylbutyrate |
| 21 | დიპიპანონი<br>DIPIPANONE | 4,4-diphenyl-6-piperidine-3-heptanone |
| 22 | დიფენოქსილატი<br>DIPHENOXYLATE | 1-(3-cyano-3,3-diphenylpropyl)-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester |
| 23 | დიფენოქსინი<br>DIFENOXIN | 1-(3-cyano-3,3-diphenylpropyl)-4-phenylisonipecotic acid |
| 24 | დიჰიდროკოდეინი<br>DIHYDROCODEINE | (derivative of morphine)<br>(მორფინის წარმოებული) |

| | | |
|---|---|---|
| 25 | დრონაბინოლი<br>DRONABINOL<br>ამ საერთაშორისო არარეგისტრირებული სახელით აღინიშნება delta-9-tetrahydro-cannabinol-ის მხოლოდ ერთი სტერეოქიმიური იზომერი, კერძოდ, (-)-trans-delta-9-tetrahydro-cannabinol-ი<br>This international non-proprietary name refers to only one of the stereochemical variants of delta-9-tetrahydrocannabinol, namely (-)-trans-delta-9-tetrahydrocannabinol | (6aR,10aR)-6a,7,8,10a-tetrahydro-6,6,9-trimethyl-3-pentyl-6*H*-dibenzo [b,d]pyran-1-ol |
| 26 | დროტებანოლი<br>DROTEBANOL | 3,4-dimethoxy-17-methylmorphinan-6ნ,14-diol |
| 27 | ეთილმორფინი<br>ETHYLMORPHINE | 3-ethylmorphine<br>(derivative of morphine)<br>(მორფინის წარმოებული) |
| 28 | ეტოქსერიდინი<br>ETOXERIDINE | 1-[2-(2-hydroxyethoxy)-ethyl]-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester |
| 29 | ზიპეპროლი<br>ZIPEPROL | α - (α -methoxybenzyl)-4- (β - methoxyphenethyl)-1-piperazineethanol |
| 30 | თებაინი<br>THEBAINE | (an alkaloid of opium; also found in Papaver bracteatum)<br>(ოპიუმის ალკალოიდი; მას აგრეთვე შეიცავს მცენარე Papaver bracteatum) |
| 31 | თებაკონი<br>THEBACON | Acetyldihydrocodeinone (acetylatedenol form of hydrocodone) |

| | | |
|---|---|---|
| 32 | კათინი<br>CATHINE (+)-norpseudoephedrine | (+)-(S)- α -[(S)-1-aminoethyl]benzyl alcohol |
| 33 | კლონიტაზენი<br>CLONITAZENE | 2-(p-chlorobenzyl)-1-diethylaminoethyl-5-nitrobenzimidazole |
| 34 | კოდეინი<br>CODEINE | 3-methylmorphine<br>(derivate of morphine, alkaloid contained in opium & poppy straw)<br>(მორფინის წარმოებული; ალკალოიდი, რომელსაც შეიცავს ოპიუმი და ყაყაჩოს ნამჯა) |
| 35 | კოკაინი<br>COCAINE | methyl ester of benzoylecgonine (an alkaloid found in coca leaves or prepared by synthesis from ecgonine)<br>(ალკალოიდი, რომელსაც შეიცავს კოკას ფოთლები ან რომელიც მიიღება სინთეზური გზით ეკგონინიდან) |
| 36 | ლევამფეტამინი<br>LEVAMFETAMINE (levamphetamine) | (–)-(R)- α -methylphenethylamine(amphetamine(-)isomer |
| 37 | ლევომეტამფეტამინი<br>LEVOMETHAMPHETAMINE | (–)-*N*,α-dimethylphenethylamine |
| 38 | ლევორფანოლი<br>LEVORPHANOL | (-)-3-hydroxy-N-methylmorphinan |
| 39 | მეთაქვალონი<br>METHAQUALONE | 2-methyl-3-o-tolyl-4(3*H*)-quinazolinone |
| 40 | მეთადონი<br>METHADONE | 6-dimethylamino-4,4-diphenyl-3-heptanone |
| 41 | მეთილფენიდატი<br>METHYLPHENIDATE | methyl α-phenyl-2-piperidine acetate |
| 42 | მეტამფეტამინი<br>METAMFETAMINE (methamphetamine) | (+)-(S)-N,α-dimethylphenethylamine |

| | | |
|---|---|---|
| 43 | მეტამფეტამინის რაცემატი<br>METAMFETAMINE RACEMATE<br>(methamphetamine racemate) | (±)-N,α-dimethylphenethylamine |
| 44 | მეკლოქვალონი<br>MECLOQUALONE | 3-(o-chlorophenyl)-2-methyl-4(3*H*)-quinazolinone |
| 45 | მორფინი<br>MORPHINE | the principal alkaloid of opium and of opium poppy<br>(ოპიუმის ან ოპიუმის (დამაძინებელი) ყაყაჩოს ძირითადი ალკალოიდი) |
| 46 | ნალბუფინი<br>NALBUPHINE | (–)-17-(cyclobutylmethyl)- 4,5 α - epoxymorphinan- 3,6 α,14-triol hydrochloride |
| 47 | ნიკოდიკოდინი<br>NICODICODINE | 6-nicotinyldihydrocodeine<br>(derivative of morphine)<br>(მორფინის წარმოებული) |
| 48 | ნიკოკოდინი<br>NICOCODINE | 6-nicotinylcodeine<br>(derivative of morphine)<br>(მორფინის წარმოებული) |
| 49 | ნიკომორფინი<br>NICOMORPHINE | 3,6-dinicotinylmorphine<br>(derivate of morphine)<br>(მორფინის წარმოებული) |
| 50 | ნორკოდეინი<br>NORCODEINE | N-demethylcodeine<br>(derivative of morphine)<br>(მორფინის წარმოებული) |
| 51 | ნორმეთადონი<br>NORMETHADONE | 6-dimethylamino-4,4-diphenyl-3-hexanone |
| 52 | ნორპიპანონი<br>NORPIPANONE | 4,4-diphenyl-6-piperidino-3-hexanone |
| 53 | ორიპავინი<br>ORIPAVINE | 3-O-demethylthebaine |
| 54 | ოპიუმი სამედიცინო<br>OPII MEDICINALIS | |

| | | |
|---|---|---|
| **55** | ოქსიკოდონი<br>OXYCODONE | 14-hydroxydihydrocodeinone (derivate of morphine) (მორფინის წარმოებული) |
| **56** | პანტოპონი<br>PANTOPON | |
| **57** | პაპავერიტუმი (ომნოპონი)<br>PAPAVERITUM (OMNOPON) | |
| **58** | პეთიდინი<br>PETHIDINE | 1-methyl-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester |
| **59** | პენტაზოცინი<br>PENTAZOCINE | (2*R**,6*R**,11*R**)-1,2,3,4,5,6-hexahydro-6,11-dimethyl-3-(3-methyl-2-butenyl)-2,6-methano-3-benzazocin-8-ol |
| **60** | პენტობარბიტალი<br>PENTOBARBITAL | 5-ethyl-5-(1-methylbutyl)barbituric acid |
| **61** | პირიტრამიდი<br>PIRITRAMIDE | 1-(3-cyano-3,3-diphenylpropyl)-4-(1-piperidino)piperidine-4-carboxylic acid amide |
| **62** | პროპირამი<br>PROPIRAM | N-(1-methyl-2-piperidinoethyl)-N-2-pyridylpropionamide |
| **63** | რაცემორფანი<br>RACEMORPHAN | (±)-3-hydroxy-N-methylmorphinan |
| **64** | რემიფენტანილი<br>REMIFENTANIL | 1-(2-methoxycarbonylethyl)-4-(phenylpropionylamino)-piperidine-4-carboxylic acid methyl ester |
| **65** | სეკობარბიტალი<br>SECOBARBITAL | 5-allyl-5-(1-methylbutyl)barbituric acid |
| **66** | სუფენტანილი<br>SUFENTANIL | N-[4-(methoxymethyl)-1-[2-(2-thienyl)ethyl]-4-piperidyl]propionanilide |
| **67** | ტილიდინი<br>TILIDINE | (±)-ethyl-trans-2-(dimethylamino)-1-phenyl-3-cyclohexene-1-carboxylate |

| | | |
|---|---|---|
| 68 | ტრამადოლი<br>TRAMADOL | (1R,2R)-rel-2-[(dimethylamino)methyl]- 1-(3-methoxyphenyl)cyclohexanol |
| 69 | ტრიმეპერიდინი<br>TRIMEPERIDINE | 1,2,5-trimethyl-4-phenyl-4-propionoxypiperidine |
| 70 | ფენადოქსონი<br>PHENADOXONE | 6-morpholino-4,4-diphenyl-3-heptanone |
| 71 | ფენაზოცინი<br>PHENAZOCINE | 2'-hydroxy-5,9-dimethyl-2-phenethyl-6,7-benzomorphan |
| 72 | ფენეტილინი<br>FENETYLLINE | 7-[2-[(α-methylphenethyl)amino]ethyl]theophylline |
| 73 | ფენმეტრაზინი<br>PHENMETRAZINE | 3-methyl-2-phenylmorpholine |
| 74 | ფენტანილი<br>FENTANYL | 7-[2-[(α-methylphenethyl)amino]ethyl]theophylline |
| 75 | ფენციკლიდინი<br>PHENCYCLIDINE (PCP) | 1-(1-phenylcyclohexyl)piperidine |
| 76 | ფლუნიტრაზეპამი<br>FLUNITRAZEPAM | 5-(o-fluorophenyl)-1,3-dihydro-1-methyl-7-nitro-2*H*-1,4-benzodiazepin-2-one |
| 77 | ფოლკოდინი<br>PHOLCODINE | morpholinylethylmorphine (derivative of morphine) (მორფინის წარმოებული) |
| 78 | ციკლობარბიტალი<br>CYCLOBARBITAL | 5-(1-cyclohexen-1-yl)-5-ethylbarbituric acid |
| 79 | ჰიდროკოდონი<br>HYDROCODONE | dihydrocodeinone (derivative of morphine) (მორფინის წარმოებული) |
| 80 | ჰიდრომორფინოლი<br>HYDROMORPHINOL | 14-hydroxydihydromorphine (derivative of morphine) (მორფინის წარმოებული) |
| 81 | ჰიდრომორფონი<br>HYDROMORPHONE | dihydromorphinone (derivative of morphine) (მორფინის წარმოებული) |

| | | |
|---|---|---|
| 82 | ჰიდროქსიპეთიდინი<br>HYDROXYPETHIDINE | 4-m-hydroxyphenyl-1-methylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester |

## სია III – ფსიქოტროპული ნივთიერებები

| # | ნივთიერების დასახელება | ქიმიური დასახელება |
|---|---|---|
| 1 | ალობარბიტალი<br>ALLOBARBITAL | 5,5-diallylbarbituric acid |
| 2 | ალპრაზოლამი<br>ALPRAZOLAM | 8-chloro-1-methyl-6-phenyl-4H-s-triazolo[4,3-a][1,4]benzodiazepine |
| 3 | ამინორექსი<br>AMINOREX | 2-amino-5-phenyl-2-oxazoline |
| 4 | ამფეპრამონი<br>AMFEPRAMONE<br>(DIETHYLPROPION) | 2-(diethylamino)propiophenone |
| 5 | ბარბიტალი<br>BARBITAL | 5,5-diethylbarbituric acid |
| 6 | ბენზფეტამინი<br>BENZFETAMINE<br>(benzphetamine) | *N* -benzyl-*N*, α -dimethylphenethylamine |
| 7 | ბრომაზეპამი<br>BROMAZEPAM | 7-bromo-1,3-dihydro-5-(2-pyridyl)-2H-1,4-benzodiazepin-2-one |
| 8 | ბროტიზოლამი<br>BROTIZOLAM | 2-bromo-4-(o-chlorophenyl)-9-methyl-6*H*-thieno[3,2-*f*]-*s*-triazolo[4,3-*a*][1,4]diazepine |
| 9 | ბუტობარბიტალი<br>BUTOBARBITAL<br>(BUTOBARBITAL) | 5-butyl-5-ethylbarbituricacid |
| 10 | დელორაზეპამი<br>DELORAZEPAM | 7-chloro-5-(o-chlorophenyl)-1,3-dihydro-2*H*-1,4- benzodiazepin-2-one |
| 11 | დიაზეპამი<br>DIAZEPAM | 7-chloro-1,3-dihydro-1-methyl-5-phenyl-2*H*-1,4-benzodiazepin- 2-one |

| | | |
|---|---|---|
| **12** | ეთილ ლოფლაზეპატი<br>ETHYL LOFLAZEPATE | ethyl 7-chloro-5-(o-fluorophenyl)-2,3-dihydro-2-oxo-1*H*-1,4-benzodiazepine-3-carboxylate |
| **13** | ეთილამფეტამინი<br>ETILAMFETAMINE<br>(N-ETHYLAMPHETAMINE) | *N* -ethyl-α-methylphenethylamine |
| **14** | ეთინამატი<br>ETHINAMATE | 1-ethynylcyclohexanolcarbamate |
| **15** | ეთქლორვინოლი<br>ETHCHLORVYNOL | 1-chloro-3-ethyl-1-penten-4-yn-3-ol |
| **16** | ესტაზოლამი<br>ESTAZOLAM | 8-chloro-6-phenyl-4*H*-*s*-triazolo[4,3-a][1,4]benzodiazepine |
| **$16^{1}$** | ეფედრინი<br>EPHEDRINE | ([R-(R*,S*)]--[1-(methylamino) ethyl]benzenemethanol |
| **17** | ვინილბიტალი<br>VINYLBITAL | 5-(1-methylbutyl)-5-vinylbarbituric acid |
| **18** | ზოლპიდემი<br>ZOLPIDEM | N,N,6-trimethyl-2-p-tolylimidazo[1,2-a]pyridine-3-acetamide |
| **19** | თიანეპტინი<br>TIANEPTINE | (*RS*)-7-(3-chloro-6-methyl-6,11-dihydrodibenzo [c,f][1,2]thiazepin-11-ylamino) heptanoic acid S,S-dioxide |
| **20** | კამაზეპამი<br>CAMAZEPAM | 7-chloro-1,3-dihydro-3-hydroxy-1-methyl-5-phenyl-2*H*-1,4-benzodiazepin-2-one dimethylcarbamate (ester) |
| **21** | კეტაზოლამი<br>KETAZOLAM | 11-chloro-8,12b-dihydro-2,8-dimethyl-12b-phenyl-4*H*-[1,3]oxazino[3,2-d][1,4]benzodiazepin-4,7(6H)-dione |
| **22** | კეტამინი<br>KETAMINE | (*RS*)-2-(2-Chlorophenyl)-2-(methylamino)cyclohexanone |

| | | |
|---|---|---|
| 23 | კლობაზამი<br>CLOBAZAM | 7-chloro-1-methyl-5-phenyl-1H-1,5-benzodiazepine- 2,4(3H,5H)-dione |
| 24 | კლონაზეპამი<br>CLONAZEPAM | 5-(o-chlorophenyl)-1,3-dihydro-7-nitro-2*H*-1,4-benzodiazepin- 2-one |
| 25 | კლორაზეპატი<br>CLORAZEPATE | 7-chloro-2,3-dihydro-2-oxo-5-phenyl-1*H*-1,4-benzodiazepine-3-carboxylic acid |
| 26 | კლოტიაზეპამი<br>CLOTIAZEPAM | 5-(o-chlorophenyl)-7-ethyl-1,3-dihydro-1-methyl-2*H*- thieno[2,3-e]-1,4-diazepin-2-one |
| 27 | კლოქსაზოლამი<br>CLOXAZOLAM | 10-chloro-11b-(o-chlorophenyl)-2,3,7,11b-tetrahydro-oxazolo- [3,2-d][1,4]benzodiazepin-6(5H)-one |
| 28 | ლეფეტამინი<br>LEFETAMINE (SPA) | (–)-*N,N*-dimethyl-1,2-diphenylethylamine |
| 29 | ლოპრაზოლამი<br>LOPRAZOLAM | 6-(o-chlorophenyl)-2,4-dihydro-2-[(4-methyl-1-piperazinyl) methylene]-8- nitro-1*H*-imidazo[1,2-a][1,4]benzodiazepin-1-one |
| 30 | ლორაზეპამი<br>LORAZEPAM | 7-chloro-5-(o-chlorophenyl)-1,3-dihydro-3-hydroxy-2*H*-1,4-benzodiazepin-2-one |
| 31 | ლორმეტაზეპამი<br>LORMETAZEPAM | 7-chloro-5-(o-chlorophenyl)-1,3-dihydro-3-hydroxy-1-methyl- 2*H*-1,4-benzodiazepin-2-one |
| 32 | მაზინდოლი<br>MAZINDOL | 5-(p-chlorophenyl)-2,5-dihydro-3*H*-imidazo[2,1-a]isoindol-5-ol |
| 33 | მედაზეპამი<br>MEDAZEPAM | 7-chloro-2,3-dihydro-1-methyl-5-phenyl-1*H*-1,4- benzodiazepine |
| 34 | მეზოკარბი<br>MESOCARB | 3- (α -methylphenethyl)-*N*-(phenylcarbamoyl)sydnone imine |
| 35 | მეთილფენობარბიტალი<br>METHYLPHENOBARBITAL | 5-ethyl-1-methyl-5-phenylbarbituric acid |

| | | |
|---|---|---|
| 36 | მეთიპრილონი<br>METHYPRYLON | 3,3-diethyl-5-methyl-2,4-piperidine-dione |
| 37 | მეპრობამატი<br>MEPROBAMATE | 2-methyl-2-propyl-1,3-propanedioldicarbamate |
| 38 | მეფენორექსი<br>MEFENOREX | N -(3-chloropropyl)-a-methylphenethylamine |
| 39 | მიდაზოლამი<br>MIDAZOLAM | 8-chloro-6-(o-fluorophenyl)-1-methyl-4*H*-imidazo[1,5-a][1,4]benzodiazepine |
| 40 | (ამოღებულია – 29.07.2014, N2561) | |
| 41 | ნიმეტაზეპამი<br>NIMETAZEPAM | 1,3-dihydro-1-methyl-7-nitro-5-phenyl-2*H*-1,4-benzodiazepin- 2-one |
| 42 | ნიტრაზეპამი<br>NITRAZEPAM | 1,3-dihydro-7-nitro-5-phenyl-2*H*-1,4-benzodiazepin-2-one |
| 43 | ნორდაზეპამი<br>NORDAZEPAM | 7-chloro-1,3-dihydro-5-phenyl-2*H*-1,4-benzodiazepin-2-one |
| 43[1] | ნორეფედრინი<br>NOREPHEDRINE | (R*,S*)-μ-(1-aminoethyl)benzenemethanol |
| 44 | ოქსაზეპამი<br>OXAZEPAM | 7-chloro-1,3-dihydro-3-hydroxy-5-phenyl-2*H*-1,4- benzodiazepin-2-one |
| 45 | ოქსაზოლამი<br>OXAZOLAM | 10-chloro-2,3,7,11b-tetrahydro-2-methyl-11b- phenyloxazolo[3,2-d][1,4]benzodiazepin-6(5*H*)-one |
| 46 | პემოლინი<br>PEMOLINE | 2-amino-5-phenyl-2-oxazolin-4-one |
| 47 | პინაზეპამი<br>PINAZEPAM | 7-chloro-1,3-dihydro-5-phenyl-1-(2-propynyl)-2*H*-1,4-benzodiazepin-2-one |
| 48 | პიპრადროლი<br>PIPRADROL | 1,1-diphenyl-1-(2-piperidyl)methanol |

| | | |
|---|---|---|
| 49 | პიროვალერონი<br>PYROVALERONE | 4'-methyl-2-(1-pyrrolidinyl)valerophenone |
| 50 | პრაზეპამი<br>PRAZEPAM | 7-chloro-1-(cyclopropylmethyl)-1,3-dihydro-5-phenyl-2*H*-1,4-benzodiazepin-2-one |
| 51 | პრეგაბალინი<br>PREGABALIN | (S)-3-(aminomethyl)-5-methylhexanoic acid |
| 52 | რელადორმი<br>RELADORM | Cyclobarbital 0.1g + Diazepam 0.001g |
| 53 | სეკბუტაბარბიტალი<br>SECBUTABARBITAL | 5-sec-butyl-5-ethylbarbituric acid |
| 54 | ტემაზეპამი<br>TEMAZEPAM | 7-chloro-1,3-dihydro-3-hydroxy-1-methyl-5-phenyl-2H-1,4-benzodiazepin-2-one |
| 55 | ტეტრაზეპამი<br>TETRAZEPAM | 7-chloro-5-(1-cyclohexen-1-yl)-1,3-dihydro-1-methyl-2*H*-1,4-benzodiazepin-2-one |
| 56 | ტრიაზოლამი<br>TRIAZOLAM | 8-chloro-6-(o-chlorophenyl)-1-methyl-4*H*-s-triazolo[4,3-a][1,4] benzodiazepine |
| 57 | ფენაზეპამი<br>PHENAZEPAM | 7-Bromo-5-(2-chlorophenyl)-1,3-dihydro-2*H*-1,4-benzodiazepin-2-one |
| 58 | ფენდიმეტრაზინი<br>PHENDIMETRAZINE | (+)-(2S,3S)-3,4-dimethyl-2-phenylmorpholine |
| 59 | ფენკამფამინი<br>FENCAMFAMIN | *N* -ethyl-3-phenyl-2-norbornanamine |
| 60 | ფენობარბიტალი<br>PHENOBARBITAL | 5-ethyl-5-phenylbarbituric acid |
| 61 | ფენპროპორექსი<br>FENPROPOREX | (±)-3-[(a-methylphenylethyl) amino]propionitrile |
| 62 | ფენტერმინი<br>PHENTERMINE | $\alpha$ ,$\alpha$-dimethylphenethylamine |

| | | |
|---|---|---|
| 63 | ფლუდიაზეპამი<br>FLUDIAZEPAM | 7-chloro-5-(o-fluorophenyl)-1,3-dihydro-1-methyl-2*H*-1,4-benzodiazepin-2-one |
| 64 | ფლურაზეპამი<br>FLURAZEPAM | 7-chloro-1-[2-(diethylamino)ethyl]-5-(o-fluorophenyl)-1,3- dihydro-2*H*-1,4-benzodiazepin-2-one |
| 64[1] | ფსევდოეფედრინი<br>PSEUDOEPHEDRINE | ([S-(R*,R*)]--[1-(methylamino)ethyl] benzenemethanol) |
| 65 | ქლორდიაზეპოქსიდი<br>CHLORDIAZEPOXIDE | 7-chloro-2-(methylamino)-5-phenyl-3*H*-1,4-benzodiazepine-4-oxide |
| 66 | ჰალაზეპამი<br>HALAZEPAM | 7-chloro-1,3-dihydro-5-phenyl-1-(2,2,2-trifluoroethyl)-2*H*-1,4-benzodiazepin-2-one |
| 67 | ჰალოქსაზოლამი<br>HALOXAZOLAM | 10-bromo-11b-(o-fluorophenyl)-2,3,7,11b- tetrahydrooxazolo[3,2-d] [1,4]benzodiazepin-6(5*H*)-one |

ფიზიკური პირის მფლობელობაში ინდივიდუალური საჭიროებისათვის არსებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების სხვა ქვეყნის ტერიტორიიდან შემოტანა არ განიხილება როგორც იმპორტი.

### ინდივიდუალური საჭიროებისათვის სხვა ქვეყანაში შეძენილი ნარკოტიკული საშუალებების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოში შემოსატანად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტაცია:

ფიზიკური პირის მიერ ინდივიდუალური საჭიროებისათვის სხვა ქვეყანაში შეძენილი ნარკოტიკული საშუალებების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოში შემოსატანად საქართველოს საგადასახადო ორგანოებს საბაჟო დეკლარაციასთან ერთად წარედგინება:

- ინგლისურ ენაზე თარგმნილი, უფლებამოსილი ორგანოს მიერ იმ ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით დამოწმებული რეცეპტის ქსეროასლი, საიდანაც მოემგზავრება ფიზიკური პირი. რეცეპტში მითითებული უნდა იყოს ფიზიკური პირის სახელი, გვარი, სქესი, ასაკი, დიაგნოზი, ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტ-

როპული ნივთიერების სავაჭრო და გენერიული დასახელება, წამლის დოზირებული ფორმა, ტაბლეტის (აბის), ამპულის და ა.შ. რაოდენობა, წამლის მიღების წესი და დანიშნული მკურნალობის კურსის ხანგრძლივობა (იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ქვეყნის რეცეპტის ფორმა არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნული მონაცემების შევსებას, მაშინ აღნიშნული მონაცემები შეიტანება რეცეპტისა და სერტიფიკატის ნამდვილობის დამადასტურებელ, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტში;

- ინგლისურ ენაზე თარგმნილი, შესაბამისი ორგანოს მიერ იმ ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით დამოწმებული რეცეპტის გამომწერი ექიმის სერტიფიკატი, საიდანაც მოემგზავრება ფიზიკური პირი;
- რეცეპტისა და სერტიფიკატის ნამდვილობის დამადასტურებელი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტი, რომელსაც გასცემს შესაბამისად უფლებამოსილი იმ ქვეყნის ორგანო, საიდანაც მოემგზავრება ფიზიკური პირი. დოკუმენტში აღნიშნული უნდა იყოს ამ ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი, საკონტაქტო პირი, ტელეფონი და დანიშნულების ქვეყანა.

### მნიშვნელოვანია:

აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება საქართველოს მოქალაქის მიერ ინდივიდუალური საჭიროებისათვის გატანილი რაოდენობიდან ნაშთად დარჩენილი ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემოტანაზე. ამ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს წარედგინება საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ დამოწმებული ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოდან გატანის დოკუმენტი.

### დაიმახსოვრეთ:

საქართველოს საგადასახადო ორგანოები აკონტროლებენ ავადმყოფის მიერ წარდგენილი საბუთების სრულყოფილებას, წარმოდგენილ დოკუმენტში მითითებული ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების სახეობისა და რაოდენობის შესაბამისობას ფაქტობრივად შემოტანილ ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების სახეობასა და რაოდენობასთან, ხოლო შესაბამისობის შემთხვევაში აღნიშნულ დოკუმენტს ამოწმებენ ბეჭდით, ხელმოწერით და უბრუნებენ ფიზიკურ პირს.

**თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე – ფიზიკური პირი ვერ ტოვებს საქართველოს ტერიტორიას და ამავე დროს ამოეწურა მკურნალობისათვის საჭირო ნარკოტიკული საშუალებების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერებების მარაგი,** მაშინ მისი უზრუნველყოფა შესაბამისი სამკურნალო საშუალებებით ხდება ტერიტორიული პრინციპით, დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რისთვისაც ავადმყოფი მიმართავს შესაბამის სამედიცინო დაწესებულებას, წარუდგენს საგადასახადო ორგანოს მიერ დამოწმებულ დოკუმენტს, რაც, თავის მხრივ, ამ დაწესებულებისათვის წარმოადგენს ფიზიკური პირის აღრიცხვაზე აყვანისა და მისთვის ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების დანიშვნის საფუძველს.

ფიზიკური პირის მფლობელობაში ინდივიდუალური საჭიროებისათვის არსებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოს ტერიტორიიდან სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე გატანა არ განიხილება როგორც ექსპორტი.

**ინდივიდუალური საჭიროებისათვის შეძენილი ნარკოტიკული საშუალებების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოდან გასატანად პირმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

- ფიზიკური პირის მიერ ინდივიდუალური საჭიროებისათვის შეძენილი ნარკოტიკული საშუალებების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოდან გასატანად საქართველოს საგადასახადო ორგანოებს საბაჟო დეკლარაციასთან ერთად წარედგინება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ გაცემული ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოდან გატანის დოკუმენტი.

**სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოდან გატანის დოკუმენტის მისაღებად, პირმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოდან გატანის დოკუმენტის მოსამზადებლად ფიზიკურმა ან სხვა უფლებამოსილმა პირმა სააგენტოში უნდა წარადგინოს:

